

178
1980 / 2

ISSN 0132-5961



საქართველო

საგარეო ურთიერთობების
საქართველო



178

თბილისი - 1980

საქართველოს საბჭოთა

№ 4

ივლისი
აგვისტო

1980 წელი

მურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი**

შ ი ნ ა ა რ ს ი

ღირსეულად შევხედეთ სკკპ XXVI ყრილობას	3
ა. შუშანაშვილი — სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის შრომისა და ბრძოლის ათი წელი	4
ო. საბაიშვილი — იურიდიული სამსახური — თანამედროვე ამოცანათა დონეზე	14
დ. მახარაძე — სოციალისტური საკუთრების დაცვების საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ	25

კანონის კომენტარი

გ. ბაბილაშვილი — სიახლენი კანონმდებლობაში ავტომანქანის გატაცებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ	30
------------------------------------------------------------------------------------------------	----

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სამართალი

მ. კალაოვი, ნ. ბრონევა — დამნაშავეობის შესახებ სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების ზოგიერთი საკითხი	35
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

თ. ცაგურია — ბინის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი	41
ე. მისკარაძე — საქართველოს სსრ მმჩის ინსტრუქციაში საჭიროა ზოგიერთი ცვლილების შეტანა	44

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

დ. სულაქველიძე — დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ნებასათვის	46
ა. მონიავა — ბინის უფლება და მისი საკანონმდებლო წესით სრულყოფის გზები	54

აბაკი შერეთლის დაბადების 140 წლისთავისათვის

ვ. შერეთელი — აბაკი შერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი	65
-------------------------------------------------------------------	----

განმარტებული მართვლი სწავლული იურისტები

ო. კაციტაძე — გ. ქ. სოსელია	69
ინფორმაცია	71

СОДЕРЖАНИЕ



Достойно встретим XXVI съезд КПСС	3
А. Шушанашвили — Десять лет труда и борьбы в деле укрепления социалистической законности	4
Т. Сабашвили — Юридическая служба на уровне новых задач	14
Д. Махарадзе — О судебной практике по делам хищения социалистической собственности	23

КОММЕНТАРИИ ЗАКОНА

Дж. Бабилашвили — Новое в законодательстве об ответственности за угон автомашины	30
----------------------------------------------------------------------------------	----

НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЙ ПРОГРЕСС И ПРАВО

М. Калоев, Н. Бронева — Некоторые вопросы автоматизированной обработки социологической информации о преступности	35
------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

ЗАКОНОДАТЕЛЬНЫЕ ПРЕДЛОЖЕНИЯ

Т. Цагурия — О проекте Основ жилищного законодательства	41
Е. Мискарян — О необходимости введения некоторых изменений в Инструкцию ЗАГСа Грузинской ССР	44

ПЕРВЫЕ ШАГИ В НАУКЕ

Д. Сулаквелидзе — О психологической природе добровольного отказа от совершения преступления	46
П. Мониава — Право на жилище и пути его усовершенствования в законодательном порядке	54

К 140-ой ГОДОВЩИНЕ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ АКАКИЯ ЦЕРЕТЕЛИ

В. Метревели — Политические и юридические взгляды А. Церетели	65
---------------------------------------------------------------	----

ВЫДАЮЩИЕСЯ ГРУЗИНСКИЕ УЧЕНЫЕ-ЮРИСТЫ

О. Кацитадзе — Г. К. Соселия	69
------------------------------	----

ИНФОРМАЦИЯ	71
------------	----



სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩხია, ა. შუშანაშვილი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

რედაქციის მისამართი, თბილისი, ალშანოვის კრ. 103. ტ. 95.58.97, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად. 26.V.80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.IX.80 წ.,
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. საარტიცხო-საგამოცემლო თაზაბი 7,5
შეკვ. № 1491 ტირაჟი 15550. უე 08591



ლირსეულად შეხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას

1979 წლის ივნისში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება 1980 წლის 28 თებერვალს მოწვეულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა. პლენუმის შედეგებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ ამ პლენუმზე მთელი საბჭოთა ხალხის, კომუნისტებისა და უპარტიოების დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. მოწინავე შრომითი კოლექტივების თაოსნობით უკვე გაჩაღდა ჭეშმარიტად საერთო-სახალხო ბრძოლა მათე ხუთწლიან დასახული ამოცანების ვადამდე შესრულებისათვის, პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ჩვენი მშობლიური პარტიის ყოველი ყრილობა დიდ როლს ასრულებს არა მარტო სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებაში, არამედ მსოფლიოს მუშათა, კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობის განვითარებაში. ყრილობის შედეგები გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე, კავშირების ისტორიულ პროგრესზე. მის გადაწყვეტილებებს ანგარიშს უწევენ კომუნისტების დაუძინებელი მტრებიც, ეჭვი არ არის, რომ სკკპ მორიგი XXVI ყრილობაც ახალ ნიშანსვტად აქცევა ჩვენი პარტიის ისტორიაში.

დიდი და პასუხსაგებო ამოცანები აქვთ გადასწყვეტი რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებს სკკპ XXVI ყრილობასთან დაკავშირებით. პროკურატურა, სასამართლო ორგანოები, იუსტიციის დაწესებულებები მოვალენი არიან ყრილობის წინ კიდევ უფრო სრულყოფილ თვისადაც საქმიანობა, მკაცრად ადევნონ თვალყური, რომ ყველა თანამდებობის პირი განუხრებლად და უყოყმანოდ ასრულებდეს საბჭოთა კანონის მოთხოვნებს, რომ სახელმწიფო დისციპლინას იცავდნენ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, რათა თითოეულმა სამეურნეო ხელმძღვანელმა მეტი პასუხისმგებლობა იგრძნოს გეგმებისა და დავალებების დროზე შესრულებისათვის. პროდუქციის ხარისხისათვის, მატერიალური რესურსების და სახსრების უაირათიანი და ჯონივრული ხარჯვისათვის.

პროკურატურის და არბიტრაჟის ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ კოლხერობული მიწოდების დადგენილ ვადებში შესრულებას, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვას, ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და ფინანსური რესურსების რაციონალურ და მომჭირნეობით გამოყენებას. საჭიროა ყოველმხრივ ამაღლდეს იურიდიული სამსახურის როლი ეკონომიკის განვითარებაში, მეურნეობის გაძლიარებაში, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში. ამისათვის უნდა გავზარდოთ სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა დავალებათა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მწკაცრ რეაგირება მოვანდინოთ უდისციპლინობა, უყარათობის ფაქტებზე.

დიდი ამოცანები დგას ქართველი სწავლული იურისტების წინაშეც. ისინი მოვალენი არიან განაზოგადონ საბჭოთა სახელმწიფოებრობის ბოლო წლების გამოცდილება, შეიმუშაონ რეკომენდაციები საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისათვის. განმტკიცონ საქმიანი თანამშრომლობა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მათ თეორიული დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. მეცნიერმა იურისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სოციალისტური დემოკრატიის და კანონიერების პრინციპების, თეორიის საკითხების დამუშავებას, სახალხო დებუტატთა საბჭოების როლის ამაღლებას თანამედროვე ეტაპზე.

ახალი ამოცანების შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გარდაქმნა დიდად არის დამოკიდებული პროკურორის, გამომძიებლის, მოსამართლის, ადვოკატის პაროვნებაზე, მათს შეგნებასა და კულტურაზე, მომზადებასა და პარტიულობაზე. ამის საფუძველზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს კადრების სწორად წერჩევისა და აღზრდას, მათ იდეურ წრთობას, თეორიულ მომზადებასა და პროფესიულ ოსტატობას. ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები პირადად უნდა იძლეოდენ კანონიერების ზუსტად დაცვის მაგალითს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბოლოდროინდელ ყრილობებზე დიდი ყურადღება ექცევა კანონიერების, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის საკითხებს. უნდა ვითქროთ, რომ სკკპ XXVI ყრილობა, რომელიც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მადების შემდეგ ეწყობა, ბევრ ახალ პრობლემას დაუსაწავს სამართალმაცველ ორგანოებს, შეაიარაღებს მათ ახალი თეორიული დებულებებითა და უმნიშვნელოვანესი მითითებებით. ეს ხელს შეუწყობს ახალი ვითარებისა და ამოცანების შესაბამისად დამსაშვეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, მთელი ჩვენი საქმიანობის გარდაქმნასა და გაუმჯობესებას.

ჭ. მარტინის სსს. სსმ.

სოციალისტური კანონიკების განმგებლობისათვის შრომისა და ბრძოლის ათი წელი

ა. შუშანაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

1970 წლის 30 ივლისს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში აღინიშნა, რომ უნდა ამაღლდეს სასამართლოებისა და იუსტიციის სხვა დაწესებულებებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის დონე, მიღწეულ იქნეს ამ ორგანოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფა, გარდაიქმნას მუშაობა კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის ხაზით, გაძლიერდეს მეთოდოლოგიური დახმარება სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის უკეთ ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად, გაუმჯობესდეს სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობა, სათანადო კადრებით განმტკიცდეს სასამართლოს, იუსტიციის ორგანოები და დაწესებულებები. ამ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად სხვა ღონისძიებებთან ერთად საჭიროდ იქნა მიჩნეული კვლავ შექმნილიყო სსრ კავშირის იუსტიციის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო, რომლის რეორგანიზაცია განხორციელდა 1956—1963 წლებში და, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამ რეორგანიზაციას არავითარი დადებითი შედეგები არ მოჰყოლია. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით შეიქმნა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო. იმავე წლის 23 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შექმნის შესახებ. ცოტა მოგვიანებით შეიქმნა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება.

განვილილი ათი წელი მოწმობს, რომ სავესებით გამართლდა პარტიისა და მთავრობის წინასწარხედვა. იუსტიციის სამინისტროს შექმნამ დიდად შეუწყობა ხელი სკკპ XXIV და XXV ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებების შესრულებას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, ხალხის მართლშეგნებასა და სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის ახლად შექმნილი სამინისტროს საქმიანობა იმთავითვე ხელსაყრელ პირობებში წარიმართა. ეს იყო პერიოდი, როცა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა პრინციპული ღონისძიებები, რომლებმაც არსებითად შეცვალა რესპუბლიკაში სოციალური ცხოვრების კლიმატი, გააჯანსაღა ხალხის სამართლებრივი განწყობილება, შშრომელებს დაუბრუნა კანონიერებისა და სამართლიანობის რწმენა. მიუხედავად საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა, რაც საკმაოდ მკაცრად აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, იუსტიციის სამინისტრომ თავი გაართვა მის წინაშე მდგომ ამოცანებს და გარკვეული წვლილი შეიტანა პარტიის

და მთავრობის მიერ სოციალისტური კანონიერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციაში.

განვიხილო პერიოდში რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო მოქმედი კანონმდებლობის სისტემატიზაცია. ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა, საკონდიფიკაციო და საინფორმაციო საქმიანობის სრულყოფა. ამ მხრივ გაწეული მუშაობის თვალსაზრისით შედეგია რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადება, რომელიც სამინისტრომ განახორციელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის დადგენილების საფუძველზე. ეს იყო უაღრესად რთული და შრომატევადი სამუშაო. კრებულის მომზადებლად გადამუშავდა და გაანალიზდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მიღებული ყველა საკანონმდებლო აქტი და მთავრობის დადგენილება. გადაისინჯა დაახლოებით 45 ათასი აქტი, რომლებიც წესრიგში იქნა მოყვანილი და დარგობრივად დალაგდა. კრებულზე მუშაობის პროცესში შეჯერდა ერთი და იგივე საკითხზე სხვადასხვა დროს მიღებული აქტები, შეტანილ იქნა წინადადებები ნორმატიულ აქტებს შორის გამოვლენილი წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად, მოძველებული, ფაქტიურად, ძალადაკარგული აქტების და დადგენილებების გასაუქმებლად. ამგვარად გადამუშავებულმა საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულმა მასალამ თავი მოიყარა კრებულის 38 ტომში ქართულ და რუსულ ენებზე, ე. ი. კრებული ერთ ენაზე მოიცავს 19 ტომს და თითოეული ტომის საშუალო მოცულობა შეადგენს 25—30 ნაბეჭდ თაბახს. ტომში მასალა დალაგებულია თავებად და პარაგრაფებად, ყველა ტომს თან ახლავს ქრონოლოგიური და საგნობრივი საძიებელი, რაც აადვილებს კრებულის პრაქტიკულ ხმარებას. კრებულის ტომების თითქმის ნახევარი უკვე დაისტამბა და დაეგზავნა ხელმომწერებს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით თუ ვიმჯგელებთ, კრებულმა დიდი მოწონება დაიმსახურა და აქტიურად ეხმარება მოქალაქეებს, სამინისტროებს, უწყებებსა და დაწესებულებებს თავიანთი საქმიანობისა და უფლება-მოვალეობათა კანონიერების საფუძველზე განხორციელებაში. გარდა ამისა, კრებული წარმოადგენს სამართლებრივ ბაზას კანონთა წიგნის შესაქმნელად, რაც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ხორციელდება როგორც კავშირის მასშტაბით ისე მოკავშირე რესპუბლიკებში.

სამინისტრო აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს ყველა ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის შემუშავებაში, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება საკავშირო სამართალშემოქმედებითი გეგმების შესაბამისად. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რესპუბლიკაში მიღებულია მიწის, შრომის, შრომა-გასწორების, წყლის, წიაღის, ტყის კოდექსები, კანონები ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, ნოტარიატის, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, მინასტრთა საბჭოს შესახებ და ა. შ. რასაკვირველია, ეს კანონები დამუშავდა შესაბამისი საკავშირო აქტების საფუძველზე, მაგრამ სამუშაო ჩვენც საკმაოდ გვეკონდა, რათა მიღებულ კანონებში სწორად ასახულიყო და განსაზღვრულიყო რესპუბლიკის თავისებურებანი, საკავშირო კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები. მაგალითად, საქართველოს სსრ ტყის კოდექსს საკავშირო საფუძველბთან შედარებით დამატა 10 ახალი მუხლი, ხოლო 14 მუხლში სხვაგვარად აისახა ცალკეული დებულებები.

საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში ახალი ეტაპი დაიწყო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მიღებით. როგორც ამხანაგს ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის რიგგარეშე შეშვიდე სესიაზე აღნიშნა, „კონსტიტუციის მიღება აუცილებელს ხდის შეტანის იქნეს მიმდინარე კანონმდებლობაში მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები“. რესპუბლიკის კანონმდებლობის კონსტიტუციებთან შესაბამისობაში მოსაყვანად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილებები, დამატკიცეს გეგმები. იუსტიციის სამინისტრო უშუალოდ ამზადებს ან მონაწილეობს აღნიშნული გეგმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში, ამზადებს და შეაქვს წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში კონსტიტუციებიდან გამოდინარე ცვლილებებისა და შესწორებების შეტანის შესახებ. გარდა ამისა, სამინისტრო ახანაღვებს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ცალკეულ საკითხებზე და ამის საფუძველზე შეაქვს წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ. უკვე მიღებულია და წარმატებით მოქმედებს სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტები ავტომობილტრანსპორტის გატაცებისათვის, სახელმწიფო და პირადი საკუთრების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაქლიფრების შესახებ.

განვილო პერიოდში სასამართლოებზე ორგანიზაციულა ხელმძღვანელობის ხაზით სამინისტროს ძირითადი ყურადღება მიმართული იყო მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის ამაღლების, სასამართლოს პროცესუალური საქმიანობის გაუმჯობესების, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებისადმი. სამინისტრო ამოწმებდა სახალხო სასამართლოების საქმიანობას, ცალკეულ კატეგორიის საქმეებზე განაზოგადებდა სასამართლო პრაქტიკას, მკაცრ რეაგირებას ახდენდა მართლმსაჯულების განხორციელებისას დაშვებულ დარღვევებზე. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე არჩევებიდან, რომელიც 1976 წლის აპრილში ჩატარდა, დღემდე თორმეტი სახალხო მოსამართლე განთავისუფლდა თანამდებობიდან კანონიერების უხეში დარღვევისა და მუშაობაში არსებული სხვა სერიოზული ნაკლოვანებებისათვის. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოსამართლეთა სწავლებას, ახლად არჩეული მოსამართლეებისადმი პრაქტიკულ დახმარებას, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას.

ლონისძიებებმა, რომლებიც ხორციელდებოდა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსთან კავშირით და შეთანხმებით, დადებითი შედეგები მოგვითანა. 1979 წელს 1975 წელთან შედარებით გაუქმებული განაჩენების რიცხვი შემცირდა 18 პროცენტით, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებებისა — 12 პროცენტით. სამჯერ და მეტად შემცირდა უკანონოდ მსჯავრდადების შემთხვევები ორჯერ გაიზარდა დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, სასამართლო სააღსრულებო წარმოების საფუძველზე ამოღებულია ვაფლანგვა-დატაცებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის 48 პროცენტი.

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გააქტიურდა სასამართლოების პროცესუალური და პრობაგანდისტული საქმიანობა. ამჟამად ყველა მეოთხე სისხლის სამართლის საქმე განიხილება გამსვლელ სესიაზე საზოგადოებრივი ბრალ-

მდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით. ყოველი მეხუთე საქმის გამო სასამართლოებს გამოაქვთ კერძო ვანჩინება იმ კონკრეტული მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის თაობაზე, რომლებმაც ხელი შეუწყო დახმავლის ჩადენას. მოსამართლეები პერიოდულად აბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს, კითხულობენ ლექცია-მოსხენებებს, ფართოდ იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდისათვის.


კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლას, მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას ხელს უწყობს სამინისტროსთან არსებული სასამართლო კრიმინალისტიკური ლაბორატორიის საქმიანობა, სადაც ამ ბოლო დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საექსპერტო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ლაბორატორიის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

„მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით იუსტიციის სამინისტროს ევალება მეთოდიკური ხელმძღვანელობა და კოორდინაცია გაუწიოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტების დარგში.

განვლილ პერიოდში სოციალისტური კანონიერების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ფართოდ განმარტების პარალელურად, დიდი მუშაობა განხორციელდა რესპუბლიკაში სამართალმშრდელობითი სისტემის შესაქმნელად, რომელიც ძირითადად უკვე ჩამოყალიბდა. საბჭოთა სამართლის საფუძვლებს სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების 110 ათასამდე მოსწავლე, ყველა არაიურიდიულ უმაღლეს სასწავლებელში იკითხება იურიდიული დისციპლინა, სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებში გაერთიანებულია 3 ათასამდე მსმენელი, სოციალისტური კანონიერების საკითხებზე რესპუბლიკაში ყოველწლიურად იკითხება 20 ათასამდე ლექცია, ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში ქვეყნდება ათასზე მეტი მასალა და სტატია, რადიოთი და ტელევიზიით გადაიცემა სამასამდე საუბარი და გამოსვლა.

იუსტიციის სამინისტრო სისტემატურად ახალიზებს რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობას, სწავლობს მოსახლეობის ხვადასხვა ფენის მართლმეგნების დონეს, ამოწმებს სამართლებრივი აღზრდისა და პროპაგანდის მდგომარეობას სამინისტროებში, ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, ამუშავებს და იძლევა რეკომენდაციებს სამართალმშრდელობითი საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებზე. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ხშირად ეწყობა სამართლებრივ თემებზე ხუთდღიური, დეკადები, კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები და ა. შ. ადგილებზე დიდ მუშაობას ეწევიან სამართლებრივი პროპაგანდას სკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოები, რომლებსაც უშუალოდ პარტიის რაიკომებისა და ქალაქკომების მდივნები უდგანან სათავეში.

განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სახელმწიფო ნოტარიატის, ადვოკატურისა და მმჩის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. რესპუბლიკაში ყოველწლიურად ერთ მილიონამდე სანოტარო მოქმედება სრულდება, წარმოებს თითქმის ამდენივე სამოქალაქო მდგომარეობის



რეობის აქტის რეგისტრაცია, ადვოკატები იურიდიულ დახმარებას უწყევნ 20 ათასამდე კაცს. აღნიშნული ორგანიზები დიდ გავლენას ახდენენ ხალხის მართლშეგნებაზე და მათი გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა ნიშნავს საბჭოთა ადამიანების მომსახურების გაუმჯობესებას.

„სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 მარტის დადგენილებით, რომელიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 დეკემბრის ამავე სახელწოდების დადგენილების შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს დაეგალა სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობისადმი მეთოდოლოგიური ზედმძღვანელობა, იურიდიული სამსახურის დასახმარებლად სათანადო მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

განვილი პერიოდში სამინისტრომ დიდი მუშაობა გასწია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის როლის ასამაღლებლად, სამეურნეო ურთიერთობის განმტკიცებაში სამართლებრივი საშუალებების ფართოდ გამოყენების უზრუნველსაყოფად. სამინისტრო ეცნობოდა სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობას სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში. შემოწმების შედეგები განიხილებოდა კოლეგიის სხდომებში. ა და თათბირებზე შესაბამისი სამინისტროსა და უწყებების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. იურიდიული სამსახურის განმტკიცების, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე დამუშავდა ორმოცამდე მეთოდოლოგიური ხასიათის რეკომენდაცია, გაიმართა თბუთმეტამდე რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, ხუთასზე მეტმა ლურისკონსულტმა კვალიფიკაცია აიმაღლა სამინისტროს მუდმივმოქმედ კურსებზე.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახური რიცხობრივად გაიზარდა და ორგანიზაციულად განმტკიცდა. ბოლო ათ წელიწადში იურისკონსულტთა რიცხვი თითქმის სამჯერ გაიზარდა. ამჟამად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ათას ორასზე მეტი იურისკონსულტი მუშაობს. სავრძობლად შეიცვალა სამინისტროებისა და უწყებების ზედმძღვანელთა დამოკიდებულება იურიდიული სამსახურისადმი, ბევრი ხელმძღვანელი დარწმუნდა ამ სამსახურის სარგებლიანობასა და ეფექტიანობაში და თვითონ ზრუნავს მისი ავტორიტეტის განსამტკიცებლად. სამართლებრივი საშუალებები სულ უფრო აქტიურად გამოიყენება სამეურნეო ურთიერთობის განსამტკიცებლად, წარმოება-დაწესებულებების კანონიერი უფლებების დასაცავად. იურისკონსულტები დიდ მუშაობას ეწევიან საბჭოთა კანონმდებლობის პრობაგანდისათვის, აქტიურად ეხმარებიან ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოების ავტორიტეტი, მათი საქმიანობის ავ-კარგი საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია კადრებზე, მათთან მუშაობის სტილსა და მეთოდებზე. რა კარგი გეგმებიც უნდა დავსახოთ, რა მაღალფარდოვნადაც უნდა ვილაპარაკოთ ჩვენი საქმიანობის გარდაქმნასა და გაუმჯობესებაზე, ყველაფერი ფუჭ მოწოდებად და ლოზუნგად დარჩება, თუ სისტემატურად არ ვმუშაობთ კადრებთან, იმათთან, ვინც უშუალოდ ახდენს ჩვენი

გეგმებისა და მოთხოვნების რეალიზაციას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, რომელიც სპეციალურად კადრებთან მუშაობის საკითხებს მიეძღვნა, ამხანაგმა ე. ა. შვევარდნაძემ აღნიშნა: „ადამიანები, კადრები ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე ძვირფასი, ყველაზე დიდი კაპიტალი, ოქროს ფონდია და ადამიანები, კადრები, ჩვენი უდიდესი საზრუნავი უნდა იყოს“.

საკადრო პოლიტიკაში დაშვებული სერიოზული დარღვევებისა და ნაკლოვანებებისათვის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ბევრჯერ იქნა გაკრიტიკებული. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1976 წლის თებერვალში ამ საკითხზე მიიღო სპეციალური დადგენილება. 1979 წლის 15 მაისს ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა სამინისტროს ანგარიში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ხაზით გაწეული მუშაობის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ წლებში სამინისტროს საკადრო საქმიანობაში მოხდა დიდი ძვრები. ამასთან აღინიშნა ამ დარგში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებიც და დაისახა გზები უმოკლეს ვადაში მათს აღმოსაფხვრელად.

სამინისტრომ მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა მართლაც დიდი მუშაობა გასწიეს პარტიის მითითებათა შესასრულებლად, კადრებთან მუშაობის, კადრების შესწავლისა და აღზრდის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ ბოლო დროს უფრო გეგმიურად და გონივრულად გამოიყენება კადრების აღზრდისა და სწავლების ისეთი ფორმები როგორც არის: სემინარები, კონფერენციები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, ახალგაზრდა სპეციალისტებისადმი გამოცდილი მუშაობების შეფობა და ა. შ. სამინისტროსთან არსებულ მულტიმომოქმედ კურსებზე, რომელიც 1971 წლის ნოემბრიდან მოქმედებს, კვალიფიკაცია აღმაღლა სისტემის 1748 მუშაკმა, მათ შორის 227 სახალხო მოსამართლემ, 222 ნოტარიუსმა, 328 სასამართლოს აღმასრულებელმა, 465 ადვოკატმა და ა. შ. პირველად კავშირში სამინისტროს კურსებზე მოეწყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იურიდიული დისციპლინების მასწავლებლების, სახალხო მსაჯულების, ამხანაგური სასამართლოების წევრებისა და სახალხო რაზმელების გადამზადება. ეს გამოცდილება მოიწონეს და გაიზიარეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებმაც. სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს საშუალო იურიდიული განათლების სპეციალისტების მომზადებასა და განაწილებაში. ყოველწლიურად ეწყობა დათვალიერება-კონკურსები საუკეთესო სანოტარო კანტორის, იურიდიული კონსულტაციის, სასამართლოს კანცელარიის სახელის მოსაპოვებლად. ამას წინათ მოეწყო სასამართლოს აღმასრულებლების და ნოტარიუსების ატესტაცია, რამაც ხელი შეუწყო როგორც ამ მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლებას, ისე სამინისტროს კადრების რეზერვის გაფართოებას. უფრო ქმედითი და სამართლიანი გახდა სამინისტროს დისციპლინური პრაქტიკა, რომელიც გასული ათი წლის მანძილზე ამა თუ იმ ზომითა და ფორმით შეეხო სისტემის მუშაკების თითქმის 80 პროცენტს. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. ათი წლის მანძილზე აშენდა 31 სახალხო სასამართლოს შენობა, 42 შენობა კაპიტალურად შეკეთდა, სანოტარო კანტორებისა და იურიდიული კონსულტაციების თითქმის 60 პროცენტმა მიიღო კეთილმოწყობილი ბინა.

პარტია და მთავრობა დიდად აფასებენ სამინისტროს სისტემის მუშაკების რთულ და საპატიო შრომას. ათი წლის მანძილზე 18 მუშაკს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის წოდება, 12 დაჯილდოვდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო საგელით, 5 კაცმა მიიღო სსრ კავშირის ორდენები და მედლები.

რასაკვირველია, განვიღო პერიოდში იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში იყო შეცდომები, ნაკლოვანებები, ხარვეზები, წამოიჭრა ბევრი ახალი საკითხი და პრობლემა, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ შესწავლას, გააზრებულ მიდგომასა და გადაწყვეტას.

ამჟამად იუსტიციის სისტემის მუშაკები რესპუბლიკის მშრომლებთან ერთად ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. უდავოა, რომ ყრილობების მუშაობაში და მიღებულ გადაწყვეტილებებში სათანადო ადგილი დაეთმოთ კანონიერებისა და მართლწესრიგის, ჩვენი სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების შემდგომი სრულყოფისა და განმტკიცების საკითხებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმზე, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარტიის მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჯნევმა აღნიშნა, რომ აუცილებელია შემდგომშიც ვიფიქროთ, თუ როგორ განვახორციელოთ შრომის და სახელმწიფო დისციპლინა.

ყრილობისწინა პერიოდში ჩვენი მთავარი ამოცანაა ობიექტურად, შეუღამაზებლად და გადაუჭარბებლად შევაფასოთ გაწეული მუშაობა, ღრმად და ყოველმხრივ გავაანალიზოთ ჩვენი ნაკლოვანებანი, გამოვავლინოთ და ავხსნათ ამ ნაკლოვანებათა მიზეზები, დავსახოთ და განვახორციელოთ ეფექტიანი ღონისძიებანი მათს აღმოსაფხვრელად.

საკანონმდებლო საქმიანობის დარგში ჩვენი მთავარი საზრუნავი იქნება რესპუბლიკის კანონთა წიგნის მომზადება. სამინისტროს და, საერთოდ, რესპუბლიკის იურისტების წინაშე ამაზე უფრო საპატიო და რთული ამოცანა არ მდგარა და არ დგას. კანონთა წიგნის მომზადების ხარისხსა და ავტორიანობაში გამოჩნდება ჩვენი ორგანოების, რესპუბლიკის იურისტების კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი, სამართლებრივი კულტურისა და მეცნიერების დონე. კანონთა წიგნზე მუშაობის ორგანიზაცია ისე უნდა მოეწყოს, რომ წიგნის შინაარსის, სტრუქტურის, მასში შესატანი საკანონმდებლო აქტების თიობაზე შესაბამისი სამინისტროები, უწყებები თუ სამეცნიერო დაწესებულებები მარტო უსიტყვო თანხმობას კი არ იძლეოდნენ, არამედ აქტიურად მონაწილეობდნენ წიგნთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში, აყენებდნენ თავიანთ რეკომენდაციებსა და წინადადებებს. როგორც კანონთა წიგნის მომზადებაში, ისევე მიმდინარე სამართალშემოქმედებითს საქმიანობაში უფრო ფართოდ უნდა ჩაებათ პრაქტიკული მუშაკები, მეტი ყურადღებით უნდა ვადევნებდეთ თვალს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს, დროულად და გაბედულად ვაყენებდეთ წინადადებებს მოქმედ კანონმდებლობაში საჭირო ცვლილებებისა და დამატებების შესატანად, საჭიროა უფრო მეტად ვეხმარებოდეთ სასამართლოსა და იუსტიციის ადგილობრივ ორგანოებს საკადრული ცვალებებისა და დამატებების შესატანად, საჭიროა უფრო მეტად ვაძლიერებდეთ მათ ნორმატიული მასალითა და იურიდიული ლიტერატურით.



სასამართლოებისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ხაზით კვლავ ძირითად ამოცანად რჩება მართლმსაჯულების სწორად განხორციელების, თითოეული კონკრეტული საქმის გამო კანონიერი და სამართლიანი განაჩენისა და გადაწყვეტილების დადგენის უზრუნველყოფა. მართლმსაჯულების ხარისხზე ჩვენ ვმსჯელობთ, და, ალბათ, მომავალშიც ვიმსჯელებთ პროცენტების მოშველიებით, სტატისტიკური მეთოდებისა და შედარებების გამოყენებით. მაგრამ ნაღბი სასამართლოების საქმიანობას პროცენტებით კი არ აფასებს, არამედ კონკრეტული მაგალითებით, სასამართლოების მიერ განხილული და გადაწყვეტილი საქმეებით. სასამართლო პრაქტიკიდან უნდა აღმოიფხვრას ისეთი შეშუსხვევები, როდესაც საშიშ დამნაშავეს ედარდება აშკარად ლმობიერი სასჯელი, ზოლო მცირე მნიშვნელობის ჩამდენი ისჯება ზედმეტად მკაცრად, როდესაც შინაარსითა და ხასიათით აბსოლუტურად იდენტური სამოქალაქო დავები ერთსა და იმავე სასამართლოში სხვადასხვანაირად წყდება. დიდი მუშაობა მოგველის დანაშაულით მიყენებული ზარალის დროულად და სრულად ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი როლის, კანონით გათვალისწინებული პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტიანობის ასამაღლებლად, იმის მისაღწევად, რომ სასამართლოს გამსვლელი სესია, კერძო განჩინება, საქმის განხილვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობა სტატისტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და კარგი მიუშაობის ილუზიების შექმნას კი არ ემსახურებოდეს, არამედ სამართალდარღვევებთან ბრძოლის, კანონიერების ფაქტობრივად განმტკიცების ინტერესებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სასამართლოებში საქმეების განხილვის ვადების დაცვას. დასამალი არ არის, რომ ვადების დაცვისადმი ცენტრალური კონტროლის სისტემა, რომელიც სამინისტროში შემოვიღეთ, მაინცდამაინც გამართულად ვერ მუშაობს, ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ საქმის სასამართლო განხილვის გაჭიანურების ამბავს ჩვენ პრესის ფურცლებიდან ან დანტერგებულ პირთა საჩივრებიდან ვიგებთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სოციალისტური საკუთრების დაცვების, მექრთამეობის, წამატებების, სპეკულაციის, ლოთობის, მუქთახობის, ხელიგნობის, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას, ამ ბრძოლაში ფართოდ გამოიყენონ შრომიითი კოლექტივებისა და საზოგადოებრიობის დახმარება, მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ სხვა სამართალდამცველ ორგანოებთან.

რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების გრანდიოზული გეგმები მოითხოვს სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების შემდგომ გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის როლისა და მნიშვნელობის შემდგომ ამაღლებას. სამინისტრო თავისი უფლებებისა და კომპეტენციის ფარგლებში კვლავაც იბრძოდეს იურიდიული სამსახურის ორგანიზაციული განმტკიცებისა და ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების სფეროების გაფართოებისათვის. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ იურიდიული სამსახური აქტიურად და შესამჩნევად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი წარწონების ეფექტიანობის ამაღლებას, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, საიურნეო

კანონმდებლობის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში სამართლებრივ საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენებას.

სერიოზული ღონისძიებების განხორციელება მოგვიწევს მოქალაქეთა სამართლებრივი მომსახურების გასაუმჯობესებლად, ნოტარიატის, ადვოკატურისა და მმჩის ორგანოებში მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად. ზოგიერთ ამ ორგანოში დაბალია მოსახლეობის მომსახურების კულტურა, აღმოფხვრილი არ არის საქმის გაჭიანურების, კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევის, მოქალაქეებისადმი აგდებული დამოკიდებულების ფაქტები. არცთუ იშვიათად სანოტარო მოქმედებებსა და მოქალაქეთა სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მიღმა იმალება ბოროტმოქმედების, ანგარების, სახელმწიფოს მოტყუების, მომგვეჭვლობის ფაქტები. ზოგი ადვოკატი მცდარ რჩევასა და განმარტებას აძლევს მოქალაქეებს, ღრმად არ სწავლობს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ადგენს უსაფუძვლო საჩივრებსა და შუამდგომლობებს, გამოიწვევად იქცევა სასამართლო პროცესზე.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს სამართლის პროპაგანდისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობა. „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აპრილის დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებები სავსებით ეხება სამართალმზრდელობით საქმიანობასაც. სამართლებრივ თემებზე წაკითხული ლექცია-მოხსენებები, რადიო და ტელეგადაცემები, პრესაში გამოქვეყნებული წერილები ყოველთვის არ არის მიზანმიმართული, სისტემატური. ნაკლები ყურადღება ეთმობა სამართლებრივი ნორმების განმარტებას, პროპაგანდისტული ღონისძიებები გადატვირთულია კაჟისტიკით, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკიდან აღებული მაგალითებით. სათანადო დონეზე არ დგას იურიდიული დისციპლინების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ტექნიკუმებში. პროფტექნიკურ სასწავლებლებში, არაიურიდიულ უმაღლეს სასწავლებლებში. ამ საგნებს ხშირად ასწავლიან არასპეციალისტები, პირები, რომლებიც თვითონ ვერ ერკვევიან საბჭოთა სამართლის ელემენტარულ ცნებებში.

საფუძვლიანად უნდა გარდაიქმნას სამართალმზრდელობითი საქმიანობა შრომითს კოლექტივებში. მთელ რიგ სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო საწარმოებში ამ საქმიანობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ იურიდიული საკონსულტაციო პუნქტები ზოგან მხოლოდ ქალაქებზე არსებობს. სამართალმზრდელობითი და პროპაგანდისტული მუშაობა არ იგეგმება. შრომითს კოლექტივებში სამართლებრივი ხასიათის შემთხვევითი ღონისძიებები, ცხადია, ვერ ქმნას სათანადო საზოგადოებრივ კლიმატსა და განწყობას.

უნდა გაფართოვდეს სამართლებრივი აღზრდისა და სწავლების ფრონტი. სამართალმზრდელობითი ქსელი მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობას. რესპუბლიკაში 150 ათასამდე სახალხო რაზმელია, 30 ათასზე მეტი ამხანაგური სასამართლოს წევრი, 12 ათასამდე სახალხო მსაჯული, ხოლო სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებში და სამართლებრივი სწავლების სხვა ფორმებში გაერთიანებულია აღნიშნული კონტინგენტის 10 პროცენტზე ნაკლები, რომ აღარაფერი ვთქვათ საბჭოთა და სამეურნეო აქტივის მრავალრიც-

ხოვან არმიანზე, რომელიც სინამდვილეში სამართლებრივი აღზრდისა და სწავლების გარეშეა დატოვებული.

მომხდარი პოზიტიური ძვრების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და გამოსასწორებელი კადრებთან მუშაობის ხაზით. უნდა დამუშავდეს და დაინერგოს სისტემის მუშაკების პოლიტიკური და საქმიანი თვისებების შესწავლის უფრო საიმედო და ოპტიმალური სისტემა. სწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის არ კმარა პირად საქმეში არსებული დოკუმენტებისა და მუშაობის მაჩვენებლების გადათვალისწინება, აუცილებელია თვითონ მუშაკის გაცნობა და შეცნობა, მისი საზოგადოებრივი ავტორიტეტის, ცხოვრებისეული პოზიციების და პრინციპების ცოდნა.

უნდა ამაღლდეს კადრების აღსაზრდელად გაწეული მუშაობის ეფექტურობა. ამ მიმართულებით განხორციელებული საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ღონისძიებები ყოველთვის ვერ იძლევა საჭირო ეფექტსა და შედეგს, იმიტომ რომ იგი წმირად კონკრეტული, მიზანმიმართული არ არის ჩვენ ყოველთვის როდი ვიცით, ვის რა და როგორ უნდა ვასწავლოთ, როგორ შევამოწმოთ და შევაფასოთ ღონისძიება, მისი ხარისხი, როგორ დავაჯავშინოთ ისინი ჩვენს პრაქტიკულ ამოცანებთან.

უფრო სრულყოფილი და სამართლიანი უნდა გახდეს ჩვენი დისციპლინური პრაქტიკა, აუცილებელია მივალწიოთ, რომ სათანადო შეფასებისა და რეაგირების გარეშე არ რჩებოდეს ჩვენი მუშაკების მიერ კანონიერების დარღვევის არც ერთი ფაქტი. ამასთან უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ კადრებზე, მათი სამსახურებრივი თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, საზოგადოებრივი ავტორიტეტის ამაღლებაზე, მოწინავე მუშაკების წაზღისებაზე. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კადრების სიწმინდისათვის ბრძოლას, იმის უზრუნველყოფას, რომ საზოგადოებას სამართლებრივ მომსახურებას უწყვედეს, კანონიერების სადარაჯოზე იდგეს, მართლმსაჯულებას ახორციელებდეს მხოლოდ სპეტაკი, კეთილსინდისიერი, მაღალი ზნეობისა და პარტიულობის მქონე მუშაკი.

სამინისტრო მომავალშიც განახორციელებს ღონისძიებებს პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა სამართალდამცველ დაწესებულებებთან ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან საქმიანი, პრინციპული კონტაქტების განმტკიცებისათვის. სოციალისტური კანონიერება ერთიანია თავისი შინაარსით და მისი განმტკიცებისათვის ბრძოლაც უნდა იყოს ერთიანი, ერთიანი ფრონტითა და მიზნებით წარმართული.

სკკბ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოები და აზუსტებენ თავიანთ გეგმებს და ყველაფერს იღონებენ მათს განსახორციელებლად. რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად.

იურიდიული სამსახური—თანამედროვე ამოსანათა ღონეა

თ. საბიაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი
მუშაობის განყოფილების უფროსი

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოების, აგრეთვე დაწესებულებების იურიდიული სამსახური ორგანიზაციულად საგრძობლად განმტკიცდა. საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ იურისტთა რიცხვი ბოლო ხუთ წელიწადში ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა და დღეისათვის 1200-ს გადააჭარბა. იურიდიული სამსახურის ავტორიტეტის ამაღლებამ ხელი შეუწყო სოციალისტური კანონიერების დაცვას. სამართლებრივ საშუალებებს სულ უფრო აქტიურად იყენებენ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, უყიარათონის წინააღმდეგ საბრძოლველად, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ეკონომიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. სახალხო მეურნეობის ბევრ ობიექტზე კარგად არის დაცული სოციალისტური საკუთრება. სამართლებრივი საშუალებები ფართოდ გამოიყენება პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა განაღდებასათვის. იურისტ-კონსულტები აქტიურად იცავენ საწარმოების, დაწესებულებების და მოქალაქეთა უფლებებს, მათ კანონიერ ინტერესებს. გაფართოვდა და გაუმჯობესდა საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა.

საგრძნობ წარმატებას ნიღწია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის იურიდიულმა სამსახურმა, რომელიც დღეისათვის 318 იურისტ-კონსულტს აერთიანებს. მათი საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობა ათეული მილიონი მანეთით განისაზღვრება. 1978—1979 წლებში სოფლის იურისტ-კონსულტების მეშვეობით ამოღებულ იქნა 44 მილიონი მანეთის დებიტორული დავალიანება, მათ შორის თითქმის ხუთი მილიონი მანეთის ვადაგადაცილებული. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ამავე პერიოდში დაუბრუნდა უკანონოდ შიტაცებული 540 ჰექტარი მიწის სავარგული. მარტო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულებისათვის კონტრაგენტებს გადაახდევინეს 440.349 მანეთი. ერთი იურისტ-კონსულტის ეფექტიანობამ 1978 წელს შეადგინა 51.986 მანეთი, ხოლო 1979 წელს — 108.718 მანეთი.

განსაკუთრებით კარგ შეფასებას იმსახურებს გორისა და ქობულეთის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებთან არსებული სამეურნეობათა-შორისო იურიდიული ჯგუფების მუშაობა, რომელთა დადებითი გამოცდილება განაზოგადა იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ.

საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ იურიდიული სამსახური ყოველწლიურად კონტრაგენტებს დიდ თანხას ახდევინებს სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის იურიდიული განყოფილება აქტიურად იყენებს სამართლებრივ საშუალებებს სახელმწიფო ქონების დაცვისათვის.

გაუმჯობესდა სამართლებრივი მუშაობა აკრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებში, „სახკომსოფლტექნიკაში“, „სანმომარაგებაში“. რესპუბლიკის რაიადმასკომების ნახევარზე მეტი უზრუნველყოფილია შტატისანი იურიდიული სამსახურით, ხოლო თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს აქვთ იურიდიული განყოფილებები. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების უმრავლესობაში შექმნილია შტატგარეშე იურიდიული განყოფილებები.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ცუდად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 ივლისის № 416 დადგენილება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. უბრველეს ყოვლისა ეს აიხსნება იმით, რომ ხშირად ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები ვერ ერკვევიან საბჭოთა კანონმდებლობის ძირითად მოთხოვნებში. ბევრ მსხვილ საწარმოს და დაწესებულებას არა აქვს იურიდიული სამსახური, ან ემსახურება ერთი იურისტი. ამას ისიც ემატება, რომ ზოგჯერ ადმინისტრაცია სათანადოდ არ აფასებს იურიდიულ სამსახურს. სადირექტივო ორგანოთა არაერთგზისი მოთხოვნის მიუხედავად ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ იურიდიული განყოფილებები საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის, სოციალური უზრუნველყოფის, სატყეო მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, განათლების, კულტურისა და კავშირგაბმულობის სამინისტროებს. ასეთივე მდგომარეობაა მეტწილად სახელმწიფო კომიტეტებსა და სხვა უწყებებში. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ნაწილს კვლავ არა აქვს იურიდიული სამსახური, რასაც ისინი ხშირად ხსნიან იურისკონსულტის შტატის შემოდების შეუძლებლობით. ამიტაც აიხსნება, რომ ისინი ჯერ კიდევ იღებენ კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებებს.

სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელები არ აქცევენ საკმარის ყურადღებას, რათა დაქვემდებარებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი იყვნენ იურიდიული სამსახურით. მაგალითად, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამინისტროს, რომელშიც შედის 106 იურიდიული პირის უფლების მქონე ორგანიზაცია და სადაც მუშაკთა საერთო რიცხვი შეადგენს თითქმის 45.000-ს მხოლოდ 18 იურისკონსულტი ემსახურება. სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემაში 26.000-ზე მეტი მუშამოსამსახურეა გაერთიანებული, იურისკონსულტი კი ოთხია. ძალზე მცირეა იურისკონსულტთა რიცხვი კავშირგაბმულობის, განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის და ზოგიერთ სხვა სამინისტროსა თუ უწყებაში.

გასაკვირი არ არის ის, რომ ამ სამინისტროების და უწყებების სისტემაში დაბალ დონეზეა სახელშეკრულებო მუშაობა, არ უკეთდება სათანადო ანალიზი დებიტორული დავალიანების წარმოშობის მიზეზებს, რის გამოც ვერ იღებენ ზომებს მათ სალიკვიდაციოდ. არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული სამართლებრივი საშუალებები სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათ-

ვის. დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში შესუსტებულია ბრძოლა მიწერებისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ.

1977 წელს რეგისტრირებულია სოციალისტური საკუთრების ხელყოფის 1076 შემთხვევა. ზიანმა შეადგინა 3.720 ათასი მანეთი, 1978 წელს გამოვლენილია 2.106 დატაცებისა და დანაკლისის ფაქტი, რომლის საერთო თანხაა 3.443 ათასი მანეთი. არამწარმოებლურმა ხარჯებმა შეადგინა თითქმის შვიდი მილიონი მანეთი.

1979 წლის დასაწყისისათვის მრეწველობაში დებიტორულმა დავალიანებამ მიაღწია 95.947 ათას მანეთს, ხოლო ცხრა თვის შემდეგ იგი ავიდა 107.647 ათას მანეთამდე. 1979 წელს სოციალისტური საკუთრების გაფლანგვითა და დატაცებით სახელმწიფოს მიადგა ზარალი 9.578.206 მანეთის რაოდენობით. არამწარმოებლური ხარჯები შეადგენს 5.339 ათას მანეთს.

სამშენებლო ბანკის მიერ 1978—79 წლებში მოწყობილმა შემოწმებებმა ცხადყო, რომ მთელი რიგი დამკვეთი და მოიჯარადრე სამინისტროები და უწყებები არაჯეროვნად ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1977 წლის 7 ივნისის დადგენილებას „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მიწერებისა და თვალის ახვევის ფაქტების ლიკვიდაციისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისადმი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ“. ამ საქმეში სუსტია იურიდიული სამსახურის როლიც.

1978 წელს სამშენებლო ობიექტებზე საკონტროლო აზომვები განხორციელდა 265,11 მილიონი მანეთის შესრულებულ სამუშაოებზე, რაც მთელი სამუშაოს 66,1 პროცენტს შეადგენს. გამოვლინდა 2757,9 ათასი მანეთის მიწერები. 1979 წლის პირველ ნახევარში საკონტროლო აზომვები განხორციელდა 105 მილიონი მანეთის შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, რაც მთელი სამუშაოების 68,2 პროცენტს შეადგენს. გამოვლინდა 1,45 მილიონი მანეთის მიწერა.

სახალხო მეურნეობის ცალკეულ ობიექტებზე იურიდიული სამსახური ჯეროვნად არ იყენებს სამართლებრივ საშუალებებს კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. არცთუ იშვიათად მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე ინიშნებიან ნდობადაკარგული და წარსულში ნასამართლვეი პირები. საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების ცხინვალის საწარმოო უბნის უფროსად და მატერიალურ პასუხისმგებელ თანამდებობაზე დაინიშნა რ. გრიჭუროვი, რომელიც ადრე გასამართლებული იყო სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის და მსჯავრდარებული იყო 13 წლის თავისუფლების აღკვეთით. ამავე საზოგადოების პრეზიდენტის მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე თითქმის სამი წელი 1979 წლის მარტამდე მუშაობდა წინათ ორჯერ ნასამართლვეი ე. გორგაძე. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების გამგედ ასევე მუშაობდა წინათ ნასამართლვეი ი. სურგულაძე. კადრების არასწორად შერჩევამ და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტებამ ხელი შეუწყო საზოგადოების სისტემაში სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებას.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში, რომლის იურიდიული განყოფილება ბოლო ხანს შემცირდა და



ორი სამტატო ერთეულითა განისაზღვრება, არ აღირიცხება სისტემაში სახელშეკრულებო მუშაობის მონაცემები. იურიდიული სამსახური არც კი ცდილობს გაარკვიოს დებიტორული დავალიანებების წარმოშობის მიზეზი და აქედან გამომდინარე ვერც იღებს ზომებს მათ შესამცირებლად ან სალიკვიდაციოდ, ამით არის გამოწვეული, რომ 1978 წლის 1 იანვრისათვის სისტემაში დებიტორული დავალიანება შეადგენდა 3.679.400 მანეთს, 1979 წლის იანვრისათვის კი 3.678.700 მანეთს, იმავე წლის 1 აპრილისათვის კი 4.337.800 მანეთს მიადწია. სუსტად არის გამოყენებული სამართლებრივი საშუალებები სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათვის. მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-დატაცებით, დანაკლისებითა და საქონლის გაფუჭებით სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა 1978 წლის 1 იანვარს შეადგინა 348.800 მანეთი, 1979 წლის 1 იანვარს — 350.800 მანეთი, ხოლო გასული წლის 1 აპრილს — 332.000 მანეთი. იურიდიულ სამსახურს კი არავითარი ღონისძიებები არა აქვს განხორციელებული.

რესპუბლიკის საწარმოები ჯეროვნად არ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს სახელშეკრულებო დისციპლინის განსამტკიცებლად. გასული წლის 9 თვეში საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მიწოდების ხელშეკრულებები დაარღვიეს 11.358-ჯერ. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პრეტენზიების საერთო რიცხვმა 8.050 შეადგინა და გადახდევინებულა 11.828 ათასი მანეთი. მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა 3.282-ჯერ დაარღვიეს ნედლეულის, მასალების და საკომპლექტო ნაწარმის მიწოდების ხელშეკრულება. ამის გამო მათ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს სახით გადახდათ 6.513 ათასი მანეთი. ასეთი დარღვევები ხშირია მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროების საქვეუწყებო ორგანოების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების მხრივ.

1979 წელს მარტო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 3.206-ჯერ დაარღვიეს მიწოდების ხელშეკრულება, რისთვისაც სანქციის სახით გადაიხადეს 3.942 ათასი მანეთი. კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 2.542-ჯერ დაარღვიეს მიწოდების ხელშეკრულება, რისთვისაც გადახდათ 905 ათასი მანეთი. უდავო პრეტენზიებს ხშირად ნებაყოფლობით არ აკმაყოფილებენ, რაც იწვევს დროის ზედმეტ დაკარგვასა და სახელმწიფო ბაჟის გადახდას.

რესპუბლიკის 887 საწარმოდან 740 საწარმოს, ე. ა. 84 პროცენტს, 1979 წელს დაეგმილი ჰქონდა პროდუქციის მიწოდება გეგმა-გრაფიკის გათვალისწინებით. ამ საწარმოთა წილად მოდიოდა რეალიზებული პროდუქციის 95 პროცენტზე მეტი. მათ გასული წლის ვერც ერთ თვეში ვერ უზრუნველყვეს მიწოდების გეგმა-გრაფიკის მოლიანად შესრულება. იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, თვიდან თვემდე იზრდებოდა (იანვარში — 115, ექვს თვეში — 169, ცხრა თვეში — 206, ათ თვეში — 239). თუ ამგვარ საწარმოთა ჯგუფი წილი 1979 წლის ბოლოსათვის 19,3 პროცენტი იყო, 1979 წლის 9 თვის მონაცემებით ეს ციფრი 27, ხოლო 10 თვეში 32,3 პროცენტამდე ავიდა. სახელმწიფო არბიტრაჟმა 1979 წელს პროდუქციის მიუწოდებლობისა და დაგვიანებით მიწოდების გამო განიხილა 3.191 საქმე და გადაახდევინა 11.762 ათასი მანეთი.

ზუგდიდის ჩაის საწნებ ფაბრიკას გასული წლის მეორე კვარტალში პროდუქციის მიუწოდებლობის და დაგვიანებით მიწოდების გამო პირგასამტეხლოს

6599

გ. შარვაშიძე ხაზ. სსს.
სა. ხაზაშვიძე

სახით გადახდა 107 ათასი მანეთი, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკას 58 ათასი მანეთი და სხვ.

რესპუბლიკაში ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის პირობებში, სამართლებრივ საშუალებებს აქტიურად ვერ იყენებენ პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, რაც გულისხმობს საგეგმო, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის მტკიცედ დაცვას. დაქვეითებულია იურიდიული სამსახურის როლი პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემაში. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა 1979 წელს განიხილა 3.233 დავა პროდუქციის ხარისხის და კომპლექტურობის დარღვევის შესახებ და საწარმოებს გადახდათ 4.771 ათასი მანეთის ჯარიმა. ხარისხის თაობაზე დავათა უმრავლესობა მოდის ფართო მოხმარების სამრეწველო ნაწარმზე, რომელიც გამოშვებულია მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოთა მიერ. პრეტენზიები უხარისხობის გამო წარედგინა ფეხსაცმლის, ქსოვილების, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, გალანტერიისა და სხვა ნაწარმს.

ხშირია სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოების მიერ უხარისხო ხილბოსტნეულის და ციტრუსის მიწოდების ფაქტები.

უხარისხო სასურსათო პროდუქციას უშვებენ აგრეთვე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოები.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო სუსტად იყენებს სამართლებრივ საშუალებებს მშენებლობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. 1976 წელს უხარისხო მშენებლობით სახელმწიფოს მიადგა 55 ათასი მანეთის, 1977 წელს — 69 ათასი მანეთის, 1978 წლის 9 თვეში კი 139 ათასი მანეთის ზარალი. გასული წლის ცხრა თვეში ამ მიზეზით გამოწვეულმა ზარალმა 79 ათასი მანეთი შეადგინა. აქვე დიდი რაოდენობით არის გაწეული არამწარმოებლური ხარჯები: 1976 წელს 618 ათასი მანეთი, 1978 წელს 4.907 ათასი მანეთი. 1977 წლის III კვარტლის ბოლოსათვის ხუთწლიდით დაგეგმილს დააკლდა 175 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. რესპუბლიკაში შვიდი სახლ-თსაშენებელი კომბინატის მშენებლობაზე დაიხარჯა 47,5 მილიონი მანეთი, 1978 წელს კი მათ მხოლოდ 22,7 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვეს. ეს მაშინ, როდესაც მათი საშუალო წლიური ძირითადი საწარმოო ფონდები 38,4 მილიონ მანეთს შეადგენდა.

უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის და უხარისხო მშენებლობისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაბალი ეფექტიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იურიდიული სამსახური ვერ აღწევს ამ საქმეში კონკრეტულად დამნაშავე პირთა დასჯას. ჯარიმებს და პირგასამტეხლოებს თითქმის ყოველთვის იხდის საწარმო, ხოლო ბრალეული პირისაგან მისი ანაზღაურების საკითხი რეგრესის წესით თითქმის არასდროს არ ისმება.

თეატრალური საზოგადოების თბილისის საწარმოო კომბინატს უხარისხოების გამო 1978 წელს უკან დაუბრუნდა სარეალიზაციოდ გაგზავნილი 182.438 მანეთის პროდუქცია. არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდების გამო კომბინატს 1978 წელს ჯარიმის სახით გადახდა 22.300 მანეთი. აქედან მატერიალური პასუხისმგებლობა ხელუხისვის ერთი მესამედის რაოდენობით მხოლოდ ორჯერ დაეკისრა ორ პირს, რასაც ფაქტობრივად არავითარი გავლენა არ მოუხდენია ზარალის ანაზღაურებაზე. გასული წლის ექვს თვეში უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის კომბინატს გადახდა 1.167 მანეთის ჯარიმა.

სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელებიც ხშირად ურიგდებიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტებს, საგვგამო თუ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან ურთიერთგანთავისუფლების მცდარ პრაქტიკას.

უხარსხო პროდუქციის გამოშვებისათვის დამნაშავე პირებს ძალიან იშვიათად აძლევენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. სახალხო სასამართლოებს 1977 წელს ამ კატეგორიის არცერთი საქმე არ განუხილავთ, 1978 წელს გასამართლებულია ცხრა, ხოლო 1979 წელს — მხოლოდ ორი პირი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მონაცემებით, 1979 წლის პირველ ნახევარში 865 შემოწმებული სამრეწველო ობიექტიდან 485-ში (56,1 პროცენტი) პროდუქცია გამოშვებულია დადგენილი სტანდარტების დარღვევით, 1979 წელს სავაჭრო ობიექტებში შემოწმებულ 1770,1 ტონა ხორციდან უხარისხოდ იქნა მიჩნეული 41,2 ტონა, რაც თვით სავაჭრო ობიექტების მიზეზით არის გამოწვეული. შემოწმებული 412,4 დეკალიტრი ლუდიდან რეალიზაციისათვის უვარგისი აღმოჩნდა 250,9 დეკალიტრი, ე. ი. 60,7 პროცენტი.

სამართლებრივი საშუალებები ცუდად არის გამოყენებული შრომითი ურთიერთობების განსამტკიცებლად. მეტწილად ეს იმის მიზეზია, რომ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები ცუდად ერკვევიან შრომის კანონმდებლობის ელემენტარულ საკითხებში, რის გამოც უხეშად არღვევენ მუშათა უფლებებს როგორც სამუშაოზე მიღებისას, ისე განთავისუფლებისას. იურიდიული სამსახურიც ხშირად ვერ უწევს ჯეროვან დახმარებას ადმინისტრაციას და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ამ საქმეში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაცია ყველა თავის ბრძანებასა და განკარგულებას წინასწარი ვიზირებისათვის ყოველთვის როდი უდგენს იურისკონსულტს, ანდა ყოველთვის როდი იზიარებს იურისკონსულტის აზრს.

საქართველოს სსრ სავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საქმთავრავეტორანსმომარაგების სამმართველოში იურიდიული სამსახურის დებულების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ უფროსი იურისკონსულტი ექვემდებარებოდა საპრეტენზიო-სახელშეკრულებო და ეკონომიკური ანალიზის განყოფილების უფროსს. მას წინასწარი ვიზირებისათვის არ უდგენდნენ ბრძანებებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს.

1979 წლის ცხრა თვეში სამრეწველო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის განთავისუფლებულია 6.149 მუშა-მოსამსახურე. ამავე პერიოდში ვაცდენილია 226.462 კაცდღე. აქედან მუშების მიერ — 216.690 კაცდღე. მუშათა მთელი დღის მოცდენამ შეადგინა 133.241 კაცდღე, ხოლო ცვლის შიდა მოცდენამ 420.880 კაცსაათი. ზეგანაკვეთურად არის ნამუშევარი 2.498.092 კაცსაათი. დისციპლინური სასჯელები ამ პერიოდშია დაედო 17.162 კაცს. აქედან 14.621 მუშას. შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები განსაკუთრებით ხშირია იქ, სადაც იურიდიული სამსახური ორგანიზაციულად სუსტია, ან ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე (საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურეობის, მშენებლობის, კვების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების საქვეუწყებო ორგანოები, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება, თბილგვირაბმშენის სამმართველო, საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერი“ და სხვ.).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია ადმინისტრაციის ინიციატივით მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა კანონის დარღვევით. ბევრი ხელმძღვანელი მუშაკის სამუშაოდან დათხოვნას არ უთანხმებს პროფკავშირული ორგანიზაციის ადგილობრივ კომიტეტს.

1977 წელს რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებმა სამუშაოზე აღდგენის 1.170 სარჩელი განიხილეს და დააკმაყოფილეს 760, ე. ი. 65,0 პროცენტი, 1978 წელს 866 სარჩელიდან დაკმაყოფილებულია 509, ე. ი. 58,8 პროცენტი, 1979 წელს სასამართლოებმა განიხილეს 608 სარჩელი და დააკმაყოფილეს 379 ანუ 62,2 პროცენტი.

ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და კვების მრეწველობის სამინისტროების საქვეუწყებო ორგანოებში, ცეკავშირის სისტემაში.

ყველა ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია სახალხო მეურნეობისათვის იურიდიული კადრების მომზადებაში არსებული ხარვეზებით. საღირებუთვო ორგანოებმა და თვით უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ არა ერთხელ დასვეს საკითხი იურისტთა კადრების მომზადების დროს სპეციალიზაციის დამკვიდრების თაობაზე. სახალხო მეურნეობისათვის იურისტთა კადრების მომზადების მიზნით იუსტიციის სამინისტრომ, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მოთხოვნათა საფუძველზე, სახელმწიფო საგემო კომიტეტს წარუდგინა სახალხო მეურნეობისათვის საჭირო იურიდიული კადრების რაოდენობა წლების მიხედვით, 1990 წლამდე. მის განხორციელებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასული წლიდან გაუქმდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა სპეციალიზაცია, რომელიც გულისხმობდა კადრების მომზადებას იურიდიული სამსახურისათვის.

რესპუბლიკის საშუალო და წვრილი საწარმოებისათვის, იქ, სადაც სამუშაოს მოცულობისა და საშტატო ერთეულის სიმცირის გამო იურისკონსულტის თანამდებობის შემოღება მიზანშეუწონელია, პრაქტიკაშია დანერგილი მათი მომსახურება იურიდიული კონსულტაციების მეშვეობით სახელშეკრულებო საწყისებზე. ბევრი ხელმძღვანელი არ იჩენს დაინტერესებას, რათა გააფორმოს ხელშეკრულება იურიდიულ კონსულტაციებთან და მათ მოემსახურონ ადვოკატები. საკმარისია ათქვას, რომ ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიულ კონსულტაციას, სადაც ირიცხება 32 ადვოკატი, ასეთი ხელშეკრულება დადებული აქვს მხოლოდ 4 ორგანიზაციასთან, ხოლო 26 კომისრის სახელობის რაიონის იურიდიულ კონსულტაციას, სადაც 29 ადვოკატი, ასეთი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ხუთ საწარმოსთან. გარდა ამისა, რესპუბლიკის 25 რაიონში, მათ შორის გეგეჭკორის, საჩხერის, საგარეჯოს, წითელწყაროს, ყვარელის, მცხეთის, აბაშის და სხვა რაიონებში, სახალხო მეურნეობის ობიექტები საერთოდ არ სარგებლობენ ადვოკატების მომსახურებით.

იურიდიული სამსახურის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთი პირობაა სახალხო მეურნეობაში მომუშავე იურისტთა კადრების კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სამუშაო გეგმის შესაბამისად წელიწადში 3—4-ჯერ იწვევს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ იურისტებს. სამწუხაროდ, დროულად მთლიანად ვერ

ეკონომიკურ კურსებს იურისკონსულტთა კადრებით. ამის გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1977 წლის 11 მარტს № 201 განკარგულებით სამინისტროების, უწყებებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღება მიაპყრო ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს და დაავალა მათ შეუფერხებლად გამოაგზავნოს იურისკონსულტები კურსებზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროები, „სახ-მომარაგება“ და სხვა უწყებები დროულად და სრულად არ გზავნიან იურისკონსულტებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

დამაკმაყოფილებლად არ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 ოქტომბრის № 634 დადგენილება „საქართველოს სსრ სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომლის თანახმადაც რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ჯერ კიდევ 1977 წლის ბოლომდე უნდა გადაეხინჯათ და წესრიგში მოეყვანათ საუწყებო ნორმატიული აქტები. სამართლებრივი მუშაობის სწორად მოწყობა წარმოუდგენელია ნორმატიული აქტების მოუწესრიგებლად.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად ყველა სამინისტროსა და უწყებაში შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომელთაც დაევალით მოემზადებინათ წინადადებები მოძველებული და ძალადაკარგული ნორმების გასაუქმებლად, ერთგვაროვან ნორმათა გასაერთიანებლად და ზოგიერთის შესაცვლელად.

იურიდიული სამსახურის დახმარებით ამ კომისიებმა ბევრგან წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. დროულად მოაწესრიგეს საუწყებო ნორმატიული აქტები მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, განათლების, ფინანსთა სამინისტროებში, ცენტრალურ სტატისტიკურ და „მთავარგაზის“ სამმართველოებში, „სახკომსოფლტექნიკაში“. მათ შეკრბეს და გამოსცეს კრებულის სახ „საუწყებო ნორმატიული აქტები, დაამთავრეს ეს სამუშაო საშენ მასალათა მრეწველობის, ვაჭრობისა და დამზადების სამინისტროებში.

ამ მიმართებით ძირითადად შესრულებულია სამუშაოები აგრეთვე სასოფლო მშენებლობის, საბინაო კომუნალური მეურნეობის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებში, „სახმომარაგებაში“.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები აგვიანებენ საუწყებო ნორმატიული აქტების წესრიგში მოყვანას. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა საავტომობილო გზების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის, მედიცინისა და წყალთა მეურნეობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კავშირგაბმულობის, სოციალური უზრუნველყოფის, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, კვების მრეწველობის, მშენებლობის, სატყეო მეურნეობის სამინისტროებში, ცეკავშირში, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში და სახელმწიფო კომიტეტების და მთავარი სამმართველოების უმრავლესობაში.

თუმცა კი შეიქმნა სპეციალური კომისიები, მაგრამ სამუშაოს ძირითადი ნაწილი იურიდიულმა სამსახურმა შეასრულა. მაგალითად, საავტომობილო ტრან-

სპორტის სამინისტროში იურისტებმა გადასინჯეს 26.300 ბრძანება, დებულება, წესდება, ინსტრუქცია, გადაზიდვის წესები და სხვა ნორმატიული მასალა. საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს იურიდიულმა სამსახურმა შეამოწმა 933 ნორმატიული აქტი, რომელთაგან ძალაში დარჩა 220.

ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ დადგენილ ვადაში ვერ გაართვა თავი ამ საქმეს, ის არის, რომ სტრუქტურული ქვეგანყოფილები პასიურობენ, ყველაფერს იურიდიულ სამსახურს აკისრებენ, ხელმძღვანელი მუშაკები კი არ ახორციელებენ საჭირო კონტროლს, თუ როგორ სრულდება დავალება.

სამართლებრივი მუშაობის სწორად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ იურიდიულ ფორმირებებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 ოქტომბრის № 612 დადგენილებით იმისათვის, რომ აღმოეჩინათ იურიდიული დახმარება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებისათვის, დეპუტატებისა და საბჭოების მუდმივი კომისიებისათვის, საწარმოებისა, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეთათვის სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ შეექმნათ შტატგარეშე იურიდიული განყოფილებები. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა ამ განყოფილებების დებულება, რომელსაც დაურთო სათანადო მეთოდოლოგიური რეკომენდაციები და დაუგზავნა ყველა რაიონის (ქალაქის) აღმასკომს. როგორც საქმის შესწავლით ირკვევა, ასეთი განყოფილებები შექმნეს მეტ წილ აღმასკომებში. მაგრამ ფაქტობრივად ისინი უმოქმედობენ.

იურიდიული სამსახურის წინაშე ახალი დიდი ამოცანებია დასახული „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისათვის პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით და „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. მათი განხორციელების გზები და მეთოდები იურიდიული სამსახურის მუშაკებს განუმარტა იუსტიციის სამინისტრომ გასული წლის დეკემბერში სპეციალურად გამართულ თათბირ-სემინარზე. სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილებას დაევალა სამართლებრივი მუშაობისადმი მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის გაწვევისას ინფლმძღვანელოს ამ დადგენილებების მოთხოვნებითა და დებულებებით.

ეჭვი არ არის, რომ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იურისტები ყველაფერს იღონებენ, რათა უზრუნველყონ სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო საწარმოებში სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცება, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

სოციალისტური საქართველოს დაგეგმვის საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

დ. მახარაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

რესპუბლიკის სასამართლოებმა, რომლებიც განუხრელად ხელმძღვანელობენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილებებით, ამ ბოლო ხანს განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები სოციალისტური ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

ამაღლდა საქმეთა განხილვის ხარისხი, სასამართლოები უფრო სრულად იკვლევენ დანაშაულის ჩადენის გარემოებებს და ხელშემწყობ პირობებს, ნაკლებად უშვებენ შეცდომებს ქმედობათა კვალიფიკაციაში, მეტ ყურადღებას აქცევენ ზარალის ანაზღაურებას, დამაკმაყოფილებელია განაჩენთა სტაბილურობაც.

როგორც განზოგადების მასალები გვიჩვენებს, სასამართლოები 1975 წლიდან გაფლანგვა-დატაცების საქმეებს უფრო ნაკლები რაოდენობით იღებენ. გამოჩაყლისია 1978 წელს, როცა ამ კატეგორიის საქმეთა რიცხვმა 5,6 პროცენტით იმატა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ამასთან ერთად დაგვანახვა, რომ სასამართლოებს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს დაშვებული აქვთ სერიოზული დარღვევები. ეს უპირველესად შეეხება საქმეთა განხილვის ვადების დაცვას. 1975 წელს ვადის დარღვევით განხილულ იქნა საქმეთა 7,3 პროცენტი, 1976 წელს — 7,3 პროცენტი, 1977 წელს — 7,8 პროცენტი, ხოლო 1978 წელს — 8,9 პროცენტი.

მაგალითად, თ. მეავანაძის ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის I ნაწილით, ხელვაჩაურის რაიონის სახალხო სასამართლომ მიიღო 1977 წლის 24 მარტს, განმწესრიგებელ სხდომაზე განიხილა 29 მარტს, საქმე სამსჯავრო სხდომაზე განსახილველად დანიშნა 18 აპრილს, ფაქტობრივად კი განიხილა 28 აპრილს. ამით დაარღვია საქართველოს სსრ სსსკ 240-ე მუხლის ნოთხოვნა სისხლის სამართლის საქმის განხილვის ვადების შესახებ, საქმე კი თავისი შინაარსით რთული არ ყოფილა, — სულ ერთი მოწმე გადიოდა. ასევე ზ. კულუმბეგოვის ბრალდების საქმე — საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის I ნაწილით, ორი თვის განმავლობაში განუხილველი იყო ქ. ცხინვალის სახალხო სასამართლოში.

ჯერ კიდევ ვხვდებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევას, რაც პროცესის მონაწილეების კანონით დატული უფლებების შეზღუდვით გამოიხატება. ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ თავისი განაჩენით კ. კაცია დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ 94-ე მუხლის III ნა-

წილით. 188-ე მუხლის II ნაწილით, გამოიყენა სსკ 45-ე მუხლი და მიუსაჯა სამი წლის თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში მოხდით. ბრალდებული კ. კაცია სამართალში მიცემულ იქნა 1977 წლის 2 მარტს, საბრალდებო დასკვნის ასლი კი ჩაბარდა 1 მარტს, ე. ი. მანამდე, სანამ მას სამართალში მისცემდნენ, ამით კი დაირღვა საქართველოს სსრ სსკ 222-ე, 237-ე მუხლების მოთხოვნა.

ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლომ უყურადღებობა გამოიჩინა, როცა წარმოებაში მიიღო და სამსჯავრო სხდომაზე განიხილა უხარისხოდ გამოძიებული ვ. ბონდარენკოს და ვ. ლაზარევის ბრალდების საქმე. ვ. ბონდარენკომ და ვ. ლაზარევმა 1978 წლის მაისში ზუგდიდის რაიკომპერატივის უნივერსიტეტიდან მოიპარეს დიდძალი (3.469 მანეთის ღირებულების) საქონელი. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული შეიცავდა სსკ 91-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებულ ნიშნებს, წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ ვ. ბონდარენკოს და ვ. ლაზარევის მოქმედება უსწოროდ დაავლადიცირა ამავე მუხლის მეორე ნაწილით.

1975 წლიდან მატულობს ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით და თაღლილობით სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის მსჯავრდადებულ პირთა ხვედრითი წილი საერთოდ ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა შორის.

როგორია დასჯითი პრაქტიკა ამ კატეგორიის საქმეთა გამო? 1975 წელს საქართველოს სსკ 91-ე, 92-ე, 93-ე, 96-ე მუხლებით მსჯავრდადებულთა 66,1 პროცენტს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ 94-ე, 96-ე მუხლებით კი — 54,5 პროცენტს (აქედან საქართველოს სსკ 94-ე მუხლით 47,4 პროცენტს, სსკ 96-ე მუხლით 99,3 პროცენტს). 1976 წელს საქართველოს სსკ 91-ე, 92-ე, 93-ე 96-ე, მუხლებით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მსჯავრდადებულთა 64,9 პროცენტს, სსკ 95-ე, 96-ე მუხლებით — 46,1 პროცენტს (აქედან სსკ 94-ე მუხლით 37,8 პროცენტს, ხოლო სსკ 96-ე—99,2 პროცენტს). როგორც ვხედავთ, არის მიდრეკილება სასჯელის ლიბერალიზაციისაკენ. პროცენტულად კიდევ უფრო ღმობიერი განაჩენებია გამოტანილი 1977 წელს. 1978 წელს დატაცებაზე მსჯავრდადებულ პირთაგან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 53 პროცენტს, აქედან სსკ 91-ე, 92-ე, 93-ე, 96-ე მუხლებით — 62 პროცენტს.

სასამართლო სტატისტიკის მონაცემები, საკასაციო-საზედამხედველო პრაქტიკის ანალიზი და კონკრეტული საქმეების შესწავლა იმის საფუძველს იძლევა, რომ ამ საქმეთა გამო რესპუბლიკის სასამართლოების დასჯითი პრაქტიკა ძირითადად სწორად მივიჩნით.

მაგრამ ზოგიერთი სასამართლო ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს უხეშად არღვევს კანონის მოთხოვნას. ხშირად განაჩენში არ აღნიშნავენ საქმის განსაკუთრებულ გარემოებებს და დამნაშავის პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებს, არ მიუთითებენ მოტივებს, თუ რატომ მიიჩნია საჭიროდ სასჯელის შემსუბუქება ან დაუნიშნა კანონით გათვალისწინებულ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი, ზოგჯერ განაჩენში პირობითი მსჯავრის შეფარდების მოტივები არ არის სათანადოდ დასაბუთებული. მოვიყვანთ მაგალითს: თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ თავისი განაჩენით მალაზიის გამგე ტ. მაიულაშვილი დამნაშავედ ცნო 632 მანეთის მითვისებაში და საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის I ნაწილით მიუსაჯა ორი წლის თავისუფლების აღკვეთა.

რაც საქართველოს სსკ 45-ე მუხლის გამოყენებით შეუცვალა პირობითი მსჯავრით. განაჩენში არ არის მითითებული ის მოტივები, რომლებიც საფუძვლად დაედო ტ. მამულაშვილისათვის პირობითი მსჯავრის განსაზღვრას.

ზოგიერთი სასამართლო არ მიჯნავს წვრილმან დატაცებას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 95-ე მუხლით საქართველოს სსკ 94-ე მუხლის I ნაწილისაგან. ეს კი ასუსტებს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

იშვიათი როდია, როდესაც სასამართლოები ამ კატეგორიის საქმეებს იხილავენ უხარისხოდ, სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით, რასაც შემდგომ განაჩენების საკასაციო და ზედამხედველობის წესით გაუქმება და შეცვლა მოჰყვება ხოლმე.

ყველა სასამართლო ჯეროვნად არ ასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1975 წლის 28 ნოემბრის პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებს, ზოგჯერ წარმოებაში იღებს უხარისხოდ გამოძიებულ საქმეებს. არის შემთხვევები, როდესაც ვაფლანგვა-დატაცების საქმეში მონაწილე ყველა ბოტოტმოქმედი არ არის მხილებული, არ არის დადგენილი, სამართალში მიცემულის და მისი ოჯახის წევრების ქონებიდან რომელია შეძენილი დანაშაულებრივი ვაზთ.

სასამართლოები ყოველთვის არ იცავენ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლის მოთხოვნას სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესახებ. კერძოდ, სასჯელის დანიშვნისას არ ითვალისწინებენ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, მის საზოგადოებრივ საშიშროებას, დამნაშავის პიროვნებას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

მესტიის რაიონის სახალხო სასამართლომ გ. გურჩიანს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ 94-ე მუხლის III ნაწილით, 168-ე და 191-ე მუხლებით და მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული უცვლელად. კოლეგიის წარდგინების მიხედვით დაწერილი პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 თებერვლის დადგენილებით განაჩენი და განჩინება გ. გურჩიანისა და სხვა პირთა მიმართ გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის, იმის გამო, რომ საქმე უხარისხოდ იყო გამოძიებული, მხილებული არ იყო დანაშაულის ყველა მონაწილე, არ იყო განსაზღვრული დატაცებული თანხის რაოდენობა, რასაც ვადაამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დანაშაულის კვალიფიკაციისათვის. გარდა ამისა, საქმე განხილულ იქნა საპროცესო კანონის უხეში დარღვევით, სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობით. სამართალში მიცემულებს საბოლოო სიტყვები მიეცათ არა სასამართლო კამათის დამთავრების შემდეგ, არამედ დაცვიით სიტყვასთან ერთად.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით დენ-ბენ-ირს, მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ გარდაბნის რაიონის ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადირად მუშაობის დროს ორ ჰექტარ მიწაზე გეგმით გათვალისწინებული 23 ტონა ხახვის ნაცვლად საბჭოთა მეურნეობას ჩააბარა 46 ტონა, და შეეცადა მიეთვისებია ზეგეგმით მოწვეული 9.510 კგ ხახვი. ამ დანაშაულისათვის დენ-ბენ-ირს საქართველოს სსრ სსკ

94-ე მუხლის I ნაწილით მიესაჯა ოთხი წლის თავისუფლების აღკვეთა. განაჩენში არ არის დასაბუთებული, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული მისთვის სასჯელის მაქსიმუმის შეფარდება. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენში შეიტანა ცვლილება იმ მხრივ, რომ დენ-ბენ-ირს სასჯელის ზომად განუსაზღვრა ერთი წლის გამასწორებელი სამუშაოები.

სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა მცდრად აკვალიფიცირებენ ამ კატეგორიის დანაშაულს.

მაგალითად, სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ტ. თუშიშვილი, დ. ჩუთლაშვილი და ა. ნადირაძე ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის მეორე ნაწილით და თითოეულს მიესაჯა 5-5 წლის თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენში შეიტანა ცვლილება იმ მხრივ, რომ ტ. თუშიშვილის, დ. ჩუთლაშვილის და ა. ნადირაძის დანაშაულებრივი ქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის II ნაწილზე და განუსაზღვრა შესაბამისი სასჯელები.

განაჩენით დადგენილია, რომ ტ. თუშიშვილი მუშაობდა წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის კოლმეურნეობაში სავსე კალოს დარაჯად და ამავე კალოს გამგე ვ. თამაზაშვილის მიერ მინდობილი ჰქონდა კალოზე დაბინავებული ხორბლის დაცვა. მან ნდობა ბოროტად გამოიყენა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლებთან ა. ნადირაძესთან და დ. ჩუთლაშვილთან წინასწარი შეთანხმებით, მათზე გაპიროვნებული სატვირთო ავტომანქანებით კალოდან დაიტაცა კოლმეურნეობის კუთვნილი 10.040 კილოგრამი ხორბალი, ღირებული 2.208 მანეთად. საქმის მასალებით დადგენილია, რომ „საქსოფლტექნიკის“ წითელწყაროს ავტოსატრანსპორტო ავტომანქანების მძღოლები დ. ჩუთლაშვილი და ა. ნადირაძე, როცა კალოს გამგე — მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ვ. თამაზაშვილი ავადმყოფობის გამო ადგილზე არ იყო, დოკუმენტების გაუფორმებლად უტომრებოდ პირდაპირ მანქანებზე დატვირთეს ხორბალი და წაიღეს გასაყიდად. ტ. თუშიშვილის, დ. ჩუთლაშვილის და ა. ნადირაძის დანაშაული გამოიძებამ და სასამართლომ დააკვალიფიცირეს სსკ 94-ე მუხლის II ნაწილით. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ტ. თუშიშვილი ამ პერიოდისათვის კოლმეურნეობის წევრადაც კი არ ყოფილა მიღებული. კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით იგი არც სავსე კალოს დარაჯად იყო დანიშნული და ამ მოვალეობას ასრულებდა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის სიტყვიერი დავალებით.

აქეთ პირობებში სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, და საკსებით სასამართლიანადაც, რომ დ. ჩუთლაშვილის, ა. ნადირაძის და ტ. თუშიშვილის დანაშაული არ შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო სსკ 94-ე მუხლით, რადგან ისინი არ წარმოადგენენ ამ მუხლის სუბიექტებს. ტ. თუშიშვილისათვის ვ. თამაზაშვილის მიერ საზოგადოებრივი ქონების სიტყვიერად მინდობა არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ დავალებად, რომლითაც იგი საქართველოს სსკ 185-ე მუხლის საფუძველზე მიჩნეული იქნებოდა თანამდებობის პირად, რომელსაც დაეკისრებოდა მატერიალური პასუხისმგებლობა. ტ. თუშიშვილი საქართველოს სსკ 94-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა კოლმეურ-

ნეობის ხელმძღვანელობის ან მისი გამგეობის წერილობითი განკარგულებით. ამგვარად, კონკრეტულად ეს იყო საზოგადოებრივი ქონების ფარული დატაცება ჯგუფის მიერ.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ამ კატეგორიის საქმეთა გამო მსჯავრდადებულ პირებს მცდარად განუსაზღვრავენ შრომა-გასწორების კოლონიების რეჟიმს. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლომ ა. დღვილაევას მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის I ნაწილით და მიუსაჯა 1 წლის და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა. რაც, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების თანახმად, ჩაუთვალა პირობითად შრომაში სავალდებულო ჩაბმით. იმის გამო, რომ მსჯავრდადებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას, გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლოს განჩინებით იგი სასჯელის მოსახდელად შესახლებული იქნა შრომა-გასწორების დაწესებულებაში და ნაცვლად საერთო რეჟიმისა, უსწოროდ განესაზღვრა მკაცრი რეჟიმი.

კანონისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის დადგენილების თანახმად, გაფლანგვა-დატაცების საქმეების განხილვისას, სასამართლოები ვალდებული არიან გამოიკვლიონ სამოქალაქო სარჩელის საფუძველი და ოდენობა, ხოლო თუ სამოქალაქო სარჩელი წარდგენილი არ არის, თავისი ინიციატივით გადაწყვიტონ საკითხი დატაცებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ. ამ კატეგორიულ მოთხოვნებს სასამართლოები ბევრჯერ არ ასრულებენ.

1976—1978 წლებში, 1975 წელთან შედარებით, სახალხო სასამართლოებში გაიზარდა სააღსრულებო წარმოებები და ასანაზღაურებელი თანხების ოდენობა, ამავე დროს შემცირდა ზარალის ანაზღაურების პროცენტი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა უფრო გააქტიურდეს საქმიანობა სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად.

სასამართლო პრაქტიკას განზოგადებამ გვიჩვენა, რომ სასამართლოების საქმიანობის სერიოზულ ხარვეზად კვლავ რჩება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართ დამატებითი სასჯელების გამოყენების საკითხი.

1978 წელს რესპუბლიკაში, საქართველოს სსკ 94-ე მუხლის III ნაწილით ქონების კონფისკაცია შეეფარდა მსჯავრდადებულთა 32,6 პროცენტს, სსკ 96-ე მუხლით კი — 82,7 პროცენტს.

სასამართლოები ზოგჯერ არ ასრულებენ კანონისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 28 ნოემბრის დადგენილების მოთხოვნას და დამატებულთა მიმართ ქონების კონფისკაციის შეუფარდებლობას ასაბუთებენ იმით, რომ აქაოდა დამნაშავეებს საქმეთა განხილვისას ქონება არ აღმოაჩნდათ.

მაგალითად, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მუშათა კოოპერატივის გამგე-მებუფეტე ა. ქაჩიბაიას (წინათ სამართალში ნამყოფს) მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის მესამე ნაწილით, 186-ე მუხლის II ნაწილით, 213-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელების ერთობლიობით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით, მაგრამ არ შეუფარდა ქონების კონფისკაცია იმ მოტივით, რომ მას ასეთი არ გააჩნდა.

სასამართლოები ხშირად არ ასრულებენ კანონით მოთხოვნას გარკვეული

თანამდებობის დაკავების აკრძალვის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ, განსაკუთრებით იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდადებული არიან სსკ 94-ე მუხლით.

1978 წელს გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლება აკრძალა სსკ 94-ე მუხლით მსჯავრდადებულთა — 29,1 პროცენტს. 1975 წელს სსკ 94-ე მუხლის III ნაწილით თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა 22,9 პროცენტს, 1976 წელს — 26,0 პროცენტს, 1977 წელს — 19,7 პროცენტს, ხოლო 1978 წელს — 51 პროცენტს.

მაგალითად, გორის რაიონის სახალხო სასამართლომ 1978 წლის 26 სექტემბრის განაჩენით თ. ტუხაშვილი და გ. რაზმაძე, ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის III ნაწილით და მიესაჯათ 6—6 წლის თავისუფლების აღკვეთა, გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში მოთავსებით.

განაჩენით თ. ტუხაშვილს და გ. რაზმაძეს მსჯავრი დაედოთ იმისათვის, რომ პირველი, მუშაობდა რა გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად, ხოლო მეორე — მშენებელ-ინჟინრად, წინასწარი შეთამხმებით, თანამდებობის ბაროტად გამოყენების გზით დაიტაცა 2.692 მანეთის სახელმწიფო ქონება. სასამართლოს არ უმსჯელია თ. ტუხაშვილის და გ. რაზმაძის მიმართ დამატებითი სასჯელის — თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ. მსჯავრდადებულებს არ შეეფარდათ ქონების კონფისკაცია იმ შოტივით, რომ მათ თჯახში არ აღმოაჩნდათ არაშრომითი შემოსავლით შეძენილი ქონება.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით შ. ჯავშანაშვილი, რომელიც მუშაობდა გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში სატრაქტორო პარკის საწვავი მასალების აღმრიცხველ-გამწყობად, ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის შესამე ნაწილით, 191-ე მუხლით და ერთობლივად მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით ქონების კონფისკაციის შეუფარდებლად.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადებამ ცხადყო, რომ გაფლანგვა-დატაცების აღსაკვეთად პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 28 ნოემბრის დადგენილების მოთხოვნებს. მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ფორმალისმის ცალკეული ფაქტები. გამსვლელ სესიებზე საქმეების შერჩევა და მათი ორგანიზაცია, საკითხი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ სათანადო დონეზე არ დგას. სასამართლოები ხშირად უგულვებნყოფენ კანონის მოთხოვნას გაფლანგვა-დატაცების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის მიზნით კერძო განჩინებების გამოტანის აუცილებლობის შესახებ.

მაგალითად, სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ თავისი განაჩენით ჯ. კობახიძე, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის I-ლი ნაწილით და 186-ე მუხლის II ნაწილით და ერთობლივად მიუსაჯა 2 წლის თავისუფლების აღკვეთა, შეუფარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულება „ამნისტიის შესახებ“ და განთავისუფლა სასა-

ჯელის მოხდისაგან. ჯ. კობახიძემ დაიტაცა 955 ფრთა მოზარდი ფრინველი და ზედმეტ ფასებში მიყიდა მოსახლეობას. სასამართლო პროცესში არ მონაწილეობდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სასამართლოს არ გამოუტანია კერძო განჩინება, ეს მაშინ როცა, როგორც საქმიდან ირკვევა, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში სისტემატურად იტაცებენ ფრინველს და ამას ხელს უწყობდა საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის მცდარი მოქმედება.

აღსანიშნავია, რომ სახალხო სასამართლომ ორჯერ განიხილა სისხლის სამართლის საქმე სამტრედიის მეფრინველეობის მეურნეობაში სხვადასხვა დროს ჩადენილ დატაცებაზე, მაგრამ საქმეთა განხილვისას არ მოახდინა სათანადო რეაგირება აღნიშნულ მეურნეობაში შექმნილი არანორმალური ვითარების შესახებ და არ განახორციელა ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებები დანაშაულის წარმოშობი მიზეზების და ხელშემწყობი პირობების აღკვეთისა და თავიდან აცილების მიზნით.

სასამართლოები გაფლანგვა-დატაცების საქმეთა განხილვის დროს ზოგჯერ რეაგირებას არ ახდენენ და კერძო განჩინებები არ გამოაქვთ იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უწყობს მოკვლევისა და გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭიანურებას და დამტაცებელთა ქონებაზე ყადაღის დაგვიანებით დადებას.

მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ც. ლაბარტყავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის III ნაწილით, 191-ე მუხლით და შეეფარდა 7 წლის თავისუფლების აღკვეთა. თუმცა სამსჯავრო სხდომაზე დადგინდა წინასწარი გამოძიების მიერ საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურება და სამართალში მიცემულის ქონებაზე ყადაღის დიდი დაგვიანებით — 4 თვის შემდეგ დადება, სასამართლომ კერძო განჩინება არ გამოიტანა გამოძიების მიერ დაშვებულ ამ სერიოზულ დარღვევებზე.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუმცა 1976—77 წლებში, 1975 წელთან შედარებით, ერთგვარად შესუსტდა პროფილაქტიკური მუშაობა, მაგრამ 1978 წელს კვლავ შეიმჩნევა ამ მხრივ მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესება.

სტატისტიკური მონაცემებით, რესპუბლიკაში გაფლანგვა-დატაცების საქმეთა გამო გამოტანილი განაჩენების სტაბილობა 1976 წელს, 1975 წელთან შედარებით, გაუარესდა, სამაგიეროდ 1977—1978 წლებში ეს საქმე შესამჩნევად გაუმჯობესდა, მაგრამ საშუალო-საკავშირო მონაცემებთან შედარებით განაჩენების სტაბილურობა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დაბალია, რაც მოითხოვს ამ კატეგორიის საქმეების განხილვის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებას და იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაზეც უკვე ითქვა.

სიხლანი კანონმდებლობაში ავტომაქანის გაგანახისათვის კანონისგებლობის შესახებ

პ. ზაბილაშვილი.

საგარეოს რაიონის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაიოვლისწინა მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სურვილები და მიიღო ბრძანებულება „ავტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“¹. ბრძანებულებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლში. რომელშიც მოცემულია ამ დანაშაულის შემადგენლობა. სახელდობრ. ცვლილებები შეეხო ხელყოდის საგანს, ქმედობის ობიექტურ მხარეს, დანაშაულის ჩამდენ პირობას წრეს და სხვა, რის შესაბამისადაც გაძლიერებული სანქციები დაწესდა.

ახალი კანონის პირველი ნოველა არის სატრანსპორტო საშუალებათა წრის გაფართოება. მაგალითად, თუ ადრე მოქმედ ნორმაში ლაპარაკი იყო მხოლოდ ავტომანქანის ან მოტოციკლის დროებითი გამოყენების მიზნით გატაცებაზე. 243-ე მუხლის ახალ რედაქციაში უკვე მითითებულია „ავტომოტოტრანსპორტის ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცებაზე“. ე. ი. ავტო და მოტოტრანსპორტს დაემატა აგრეთვე თვითმავალი მანქანების გატაცებაც.

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ერთხმად აღიარებულია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებად (ვიწრო გაგებით) უნდა ვუგულისხმოდ ყველა სახისა და დანიშნულების ავტომანქანა (მსუბუქი, სატვირთო, სპეციალური და სხვ.). ხოლო მოტოტრანსპორტად: ყველა სახის მოტოციკლი, მოტოროლიერი და ა. შ., გარდა ისეთი ველოსიპედებისა და მოპედებისა, რომელთა ძრავის მოცულობა 49,3³-სანტიმეტრამდე ნაკლებია.

„სხვა თვითმავალ მანქანებში“, რომელთა შესახებაც ახალი კანონის დისპოზიციასაშია მითითებული, იგულისხმება: საგზაო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სპეციალური დანიშნულების მანქანები (ექსკავატორი, გრეიდერი, სკრეპერი და სხვ.)², გარდა ტრაქტორებისა, რომლის შესახებაც კანონში არაფერია ნათქვამი. როგორც ვხედავთ 243-ე მუხლის ახალი რედაქცია გულისხმობს მხოლოდ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა გარკვეულ ნაწილის გატაცებას. ყოველივე ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ განსახილველი ნორმა უნდა გავრცელდეს აგრეთვე ქალაქის მიწისზედა ელექტროტრანსპორტის — ტრამვაისა და ტროლეიბუსის დროებითი გამოყენების მიზნით გატაცების შემთხვევებზეც? ჩვენი აზრით, ეს საკითხი უარყოფითად უნდა გადაწყდეს

1 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1979 წლის 29 აპრილი.

2 იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, *Бюллетень Верховного суда СССР*, 1970, № 6, стр. 21.

რამდენადაც დასახელებულ ტრანსპორტის სახეობა (ტრამვაი და ტროლეი-ბუსი) 243-ე მუხლში ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალებებს არ განეკუთ-ვნება.

ამიტომ, თუ პირი დროებითი გამოყენების მიზნით გაიტაცებს ტრამვაის ან ტროლეიბუსს (რაც პრაქტიკაში, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება), მან პასუხი უნდა აგოს სხვა მუხლით და არა საქართველოს სსკ 243-ე მუხლით, თორემ საქმე გვექნება კანონის ანალოგიასთან, რაც მოქმედი სისხლის სამარ-თლის კანონმდებლობით უარყოფილია.

განსახილველი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის ეკუთვნის გატაცებული ავტოსატრანს-პორტო საშუალება: სახელმწიფო დაწესებულებას თუ კერძო პირს. ყველა შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს სსკ-ს 243-ე მუხლით.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილში ქმედობის კვალიფიციურ სახე-ვებად პირველად იქნა გათვალისწინებული ისეთი შემადგენლობები როგორც არის: სატრანსპორტო საშუალების გატაცება პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ან ჩადენილი სიმთვრა-ლეში, ან პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არა აქვს, ანდა დაკავში-რებულია ძალადობასთან, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სი-ცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების პუქარით.

მანქანის გატაცებაში წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ იგუ-ლისხმება დანაშაულის ჩადენა მინიმუმ ორი პირის მიერ მაინც. ამ შემთხვე-ვაში, როგორც ცნობილია, საქმე გვაქვს თანამონაწილეობასთან ვიწრო გაგე-ზით, რასაც იურიდიულ ლიტერატურაში თანაამსრულებლობას უწოდებენ, ანუ ისეთ შემთხვევასთან, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს ამ დანაშაულის ჩადენაში³. თანაამსრულებლობის დროს ყველა მონაწილე პასუხს აგებს 243-ე მუხლის მეორე ნაწილით, მიუხე-დავად იმისა თუ ფაქტობრივად ვინ მართავდა გატაცებულ მანქანას.

ჩვენი აზრით, ერთგვარი სირთულე წარმოიშვება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ავტოსატრა-ნსპორტო საშუალებათა გატაცებაში დროებითი გამოყენების მიზნით, რამდე-ნადაც ტექნიკურ საშუალებათა გამოუყენებლად პრაქტიკულად წარმოუდგე-ნელია მანქანის ამუშავება და მისი გადაადგილება. იბადება კითხვა, უნდა ჩიით-გალოს თუ არა დანაშაულის კვალიფიციურ სახედ მანქანის გატაცება, როდე-საც დამნაშავე მორგებული გასაღებით ან სხვა სპეციალურად საამისოდ მომარ-ჯვებული საშუალებით აღებს მანქანის დაკეტილ კარს და ისე მიჰყავს მანქანა, ან ღიად დარჩენილი კარიდან შედის და მორგებული გასაღებით, ან სხვა სა-შუალებით ახერხებს ძრავის ამუშავებას და შემდეგ მანქანის წაყვანას? ვფიქ-რობთ, ეს საკითხი დიფერენცირებულად უნდა გადაწყდეს. სახელდობრ, უნდა ეხელმძღვანელოთ ტექნიკურ საშუალებათა იმ გაგებით, რითაც პრაქტიკა და თეორია ხელმძღვანელობს თუნდაც ქურდობის პირობებში. ტექნიკური საშუ-ალებების გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება იმით გამოიხატება, რომ დამ-

³ დაწვრილებით იხ. თ. წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 132; თ. გამყრელიძე. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 108 და სხვ.

ნაშვე მისი გამოყენებით ადვილად აღწევს დაბრკოლებათა გადალახვას და უფრო იოლად ახდენს თავისი დანაშაულებრივი გახზრახვის რეალიზაციას. როდესაც მანქანის კარი დაკეტულია, ბუნებრივია, ეს ანგარიშგასაწევი დაბრკოლება მანქანის გატაცების განხრახვის სისრულეში მოსაყვანად. ტექნიკური საშუალებით მანქანის კარის გაღება ადვილად დანაშაულის ჩადებას და შესაბამისად ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებასაც ზრდის. ამდენად, მსგავსი შემთხვევები გატაცების კვალიფიციურ სახედ უნდა ჩაითვალოს. იგივე უნდა ითქვას საჭის მექანიზმის სპეციალური სხვადასხვა კლიტების, საკეტებისა თუ სამაგრების გაღებაზე, გადახერხვაზე და სხვ.

რაც შეეხება მორგებული გასაღებით ან სხვა გზით მხოლოდ ძრავის ამუშავებას და მანქანის წაყვანას, იგი, ჩვენი აზრით, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც გატაცება ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, რამდენადაც ეს მოქმედება იმდენად ორგანულად არის დაკავშირებული თვით ქმედობის ცნებასთან, რომ მისი გამოცალკევება დანაშაულის ხერხის სახით შეუძლებელია; ვინაიდან, ჩვეულებრივ, დამნაშავე მანქანას ვერ წაიყვანს, ვერ გაიტაცებს ძრავის ჩაურთველად.

საერთოდ კი ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ავტომანქანის გატაცების ტიპური სახეა სატრანსპორტო საშუალების გამოყვანა დაკეტილი ავტოფარებიდან, ეზოდან თუ სხვა სათავსიდან.

სინთერალეში ავტომანქანის დროებითი გამოყენების მიზნით გატაცებაში იგულისხმება მანქანის წაყვანა იმ პირის მიერ, რომელიც მთვრალია. სიმთვრალე შეიძლება იყოს როგორც ალკოჰოლური, ისე ნარკოტიკული. პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რით იყო მთვრალი საკესთან მჯდომი დამნაშავე: ოვინით, არყით, კონიაკით, თუ მიღებული ჰქონდა მორფიუმში, ჰაშიში ან სხვა ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული საშუალება. ასევე მნიშვნელობა არა აქვს სიმთვრალის ხარისხს: ოდნავ იყო მთვრალი, საშუალოდ თუ სრულად. სრული სიმთვრალე, რომლის დროსაც სუბიექტს არ შეუძლია შეიგნოს საკუთარი მოქმედების შედეგები ან უხელმძღვანელოს ამ მოქმედებას, არ გამოირიცხავს პასუხისმგებლობას, თუ ასეთი მდგომარეობა მისი ბრალი იყო⁴.

მანქანის გატაცებაში იმ პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არა აქვს, იგულისხმება ის, ვისაც საერთოდ არა აქვს ან არა აქვს იმ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რომელსაც იგი იტაცებს. როგორ უნდა გადაწყდეს იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც გარკვეული დარღვევებისათვის ჩამორთმეული აქვს მართვის უფლების მოწმობა და სჩადის განსახილველ დანაშაულს? ჩვენი აზრით, ასეთი პირი მოცემულ შემთხვევაში არ უნდა მიეკუთვნოს მართვის უფლების არმქონეს და შესაბამისად პასუხი არ უნდა აგოს 243-ე მუხლის მეორე ნაწილით, ვინაიდან მას, მიუხედავად იმისა, რომ მოწმობა ჩამორთმეული აქვს, გავლილი აქვს სპეციალური მომზადება სატრანსპორტო საშუალების შესასწავლოდ, ფლობს მანქანის მართვის ჩვევებს და სხვა თანასწორ პირობებში თავისი კომპეტენტურობით ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას უქმნის (მართვის უფლების არმქონე პირთან შედარებით) კანონით დაკუთვნილი ობიექტებს.

⁴ ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ ჯ. ბაბილაშვილი, პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის, თბ., 1977, გვ. 109.

ახალმა კანონმა ცალკე შემადგენლობად გამოყო აგრეთვე ძალადობასთან დაკავშირებული მანქანის გატაცება, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. ამ ნორმაში ფაქტობრივად გამოკვეთილია ხელყოფის სამი ობიექტი: ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება, მოქალაქის ან სახელმწიფო დაწესებულების თუ საწარმოს საკუთრების უფლება კონკრეტულ მანქანაზე, და პიროვნება, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სინამდვილეში აქ გაერთიანდა ორი დანაშაული: მანქანის გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით და დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. ამის გამო ამ ქმედობის ობიექტური მხარე ერაგვარად მიუახლოვდა ძარცვას. რის გამოც, ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული ძალადობა განმარტებული უნდა იქნეს ისე, როგორც ეს ხდება ძარცვის ობიექტური მხარის განმარტების დროს.

ავტომანქანის გატაცება უფრო ხშირად ფარულად ხდება, როდესაც დამნაშავეს ხელს არაფერ უშლის და ავტომანქანის მფლობელისაგან ან იმ პირისგან, ისაც მანქანის მეთვალყურეობა ევალება, შეუძინველად მიჰყავს იგი დროებით გამოსაყენებლად. მაგრამ ადვილი შესაძლებელია დამნაშავემ ზემოთ დასახელებული პირების თვალწინაც, ე. ი. აშკარადაც გაიტაცოს მანქანა. ასეთი შემთხვევა, კანონში მითითებული ძალადობის გამოუყენებლად, რა თქმა უნდა, ვერ ჩათვლება გატაცების კვალიფიციურ სახედ, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასთან, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის ანდა დაკავშირებული ძალადობის გამოყენების მუქარასთან. კანონმდებელს მხედველობაში აქვს ძალადობა როგორც ფიზიკური. ისე ფსიქიკური (მუქარა), რაც მიმართულია მანქანის პატრონის მიმართ სატრანსპორტო საშუალების ხელში ჩაგდების გასაადვილებლად, ამ წინააღმდეგობის დასათრგუნავად, გადასალახავად, რომელიც მოსალოდნელია მანქანის პატრონის მხრივ დამნაშავეს მიმართ.

ფიზიკური ძალადობის გამოყენებაში, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, იგულისხმება ცემა, სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოშლის გარეშე ან სხვა ძალმომრეობითი მოქმედება, რომელიც დაზარალებულს საშუალებას უსპობს აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს (თოკით შეკვრა, სადგომში ჩაკეტვა და ა. შ.).

ფსიქიკურ ძალადობაში იგულისხმება მუქარა დაზარალებულის მიმართ, რომ თუ იგი დამნაშავეს არ გადასცემს მანქანას, მის მიმართ რეალიზებულ იქნება ის ძალადობა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

შეიძლება თუ არა ავტომანქანის გატაცების განსახილველ კვალიფიციურ სახედ დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე განზრახ აყენებს დაზარალებულს ისეთ მდგომარეობაში, რომ ამ უკანასკნელს აღარ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა და ასეთი ხერხით ხდება მანქანის გატაცება? ჩვენ მხედველობაში გვაქვს დაზარალებულის დათრობა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალებით.

აურიდიულ ლიტერატურაში ასეთ შემთხვევებს ქონების გატაცებასთან დაკავშირებით მიიჩნევენ ქურდობად ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით⁵.

⁵ Г. Л. Кригер. Ответственность за разбой, М., 1968, стр. 17; «Курс советского уголовного права», т. 4, М., 1970, стр. 351.

ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი ხერხით ავტომანქანის გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გატაცება ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, რამდენადაც დამნაშავე დაზარალებულის დათრობით თავიდან იცილებს მნიშვნელოვან დაბრკოლებას თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლის ახალ რედაქციაში მესამე ნაწილად გათვალისწინებულია ავტომოტორანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება, რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან. ამ დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტური მხარე, ერთი შეხედვით, ძალიან წააგავს ყაჩაღობისას, თუმცა არსებითი სიახლეც ახასიათებს, კერძოდ, ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება ქონების გატაცების მიზნით თავდასხმის განხორციელებისთანავე, აქ კი ქმედობის დამთავრებულად ცნობისათვის, თავდასხმასთან ერთად, აუცილებელია მანქანის გადასვლა დამნაშავეს ფაქტობრივ გამგებლობაში, რაც ყაჩაღობის დროს აუცილებელი არ არის. ყაჩაღობის ობიექტური მხარე ჩვენ იმიტომაც ვახსენეთ, რომ განსახილველ შემთხვევებშიც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ გავებით, რა გავებითაც გვესმის დაზარალებულის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა ყაჩაღობის მარტივი შემადგენლობის დროს. სახელდობრ, ფიზიკურ ძალადობაში. მოცემულ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ დაზარალებულისათვის სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანების მიყენება, ასევე მსუბუქი ხარისხის დაზიანებისა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან შრომის უნარის უმნიშვნელო არამყარი დაკარგვა⁶.

ფსიქიკური ძალადობით ავტომანქანის გატაცებაში იგულისხმება რეალური მუქარა იმისა, რომ, თუ დაზარალებული წინააღმდეგობას გაუწევს და არ გადასცემს მანქანას დამნაშავეს, მის მიმართ გამოიყენებენ ძალადობას, რომელიც საშიშია მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ისეთი შემთხვევები, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცების დროს დაზარალებულს მიაყენეს სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, ან მოხდა მისი სიცოცხლის ხელყოფა, დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით საქართველოს სსრ სსკ 243-ე მუხლით და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით.

⁶ Постановления Пленума Верховного Суда РСФСР от 22 марта 1966 г. «О судебной практике по делам о грабеже и разбое», Бюллетень Верховного суда РСФСР, 1966, № 6, стр. 2.



დამნაშავეობის შესახებ სოციოლოგიური ინფორმაციის ავტორმატიზებული დამუშავების ზოგიერთი საკითხი

მ. კალაშვილი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,

ნ. ბრონევა,


თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება წარმოუდგენელია, თუ სოციალური მეცნიერულად არ შევისწავლეთ სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზები და მათ საფუძველზე არ შევიქმნათ კომპლექსურ-პროფილაქტიკური ღონისძიებები. ამგვარი მუშაობის გამოცდილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა იმ დაწესებულებისათვის, რომელიც იკვლევს დამნაშავეობის საკითხებს.

საქართველოში ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც სწავლობს დამნაშავეობის მიზეზებს, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. სამართალდარღვევათა სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში ფართოდ გამოიყენება პირველადი ინფორმაციის შეკრებისა და ავტომატიზებული დამუშავების თანამედროვე მეთოდები. ამ სფეროში უკვე დაგროვდა გამოცდილება, რაც ჩვენი აზრით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ლაბორატორიაში კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევების დროს მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მათემატიკური მეთოდებისა და ინფორმაციის ვადასამუშავებელი ტექნიკური საშუალებების შექმნა ხდება გადასაწყვეტი ამოცანების სპეციფიკისა და გადასამუშავებელი ინფორმაციის რაოდენობრივი პარამეტრების გათვალისწინებით. კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგად მიღებული მონაცემები თითქმის ყოველთვის იწომება ათიათასობით, ზოგჯერ კი ასიათასობით ინფორმაციული ერთეულით. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავება გამომთვლელ-პერფორაციული მანქანების (ტაბულატორების) მეშვეობით პრაქტიკულად შეუძლებელია და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებლად ეფექტიანი არ არის.

წინამდებარე სტატიაში მოცემულია სოციოლოგიური ინფორმაციის შეკრების, შენახვისა და ავტომატიზებული დამუშავების სისტემის შექმნის შედეგები, აგრეთვე ამჟამად მოქმედ მონაცემთა გადამუშავების სისტემის გაუმჯობესების გზები და მეთოდები, რაც ხორციელდება თანამედროვე გამოთვლი-



თი ტექნიკის დანერგვისა და მათემატიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე.

ლაბორატორიის წინაშე დასახული ამოცანის თეორიული გაზრება და ტექნიკური რეალიზაცია მოითხოვს მეცნიერთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივის ერთობლივ დაძაბულ შრომას. ამიტომ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის ჩამოყალიბების პერიოდში რეალური არ იქნებოდა საკუთარი ძალებით, დამოუკიდებლად იმ პრობლემების გადაწყვეტის ცდა, რომლებიც დაკავშირებულია დიდი მოცულობის ინფორმაციის ავტომატიზებულ დამუშავებასთან. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო გახდებოდა საკუთარი გამოთვლითი ცენტრი 50-60 კაციანი მომსახურე პერსონალით, რაც საწყის ეტაპზე მიზანშეწონილი იყო. აღნიშნული ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტისათვის დადებულ იქნა ხანგრძლივი შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრთან, რომელთანაც ლაბორატორიის თანამშრომლებს ერთობლივი მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აკავშირებთ. ამ ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრი დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიასთან ერთად ქმნის დამნაშავეობის შესახებ სოციოლოგიური ინფორმაციის შეკრების, შენახვისა და ავტომატიზებული დამუშავების ერთიან სისტემას და ამისთვის უსასყიდლოდ გამოყოფს თავის გამოთვლელ ტექნიკურ საშუალებებს. ვიმონაწილეობთ რა ერთობლივი სამუშაოების შესრულებაში, ჩვენ ვიძინთ EC-ის ტიპის ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე მუშაობის ჩვევებსა და გამოცდილებას, რაც მონაწილეობის საშუალებას მოგვცემს წარმატებით გამოვიყენოთ საკუთარი გამოთვლელი ტექნიკა.

დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიაში მიმდინარე გამოკვლევებისათვის მიღებული ინფორმაციის ავტომატიზებულ დამუშავებას ჩვენ ვახორციელებთ სპეციალური ალგორითმების მიხედვით შემუშავებულ პროგრამათა კომპლექსების საშუალებით. ამასთან, ინფორმაციის დამუშავების მთელი პროცესი ითვალისწინებს შემდეგი ორგანიზაციული, ტექნიკური და კვლევითი ეტაპების განხორციელებას: ინფორმაციის შეგროვებას, ინფორმაციის მომზადებას მანქანურ მატარებლებზე, პერფორატორებზე ან პერფოლენტებზე გადასატანად, ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე (ეგმ-ზე) ინფორმაციის დამუშავების ალგორითმების შედგენას, გამოთვლით ოპერაციებს, ეგმ-ზე დადამუშავებული ინფორმაციის მიღებას განზოგადებული მონაცემების სახით და განზოგადებული მონაცემების ანალიზს.

პირველადი ინფორმაციის შეგროვებისა და სოციოლოგიური გამოკვლევების პროგრამების შედგენის, აგრეთვე ინფორმაციის პროგრამირებული დოკუმენტების დამუშავების საკითხები არსებითად სცილდება ჩვენი წერილის ფარგლებს, ამიტომ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ ჩვენს მიერ დაგროვილი გამოცდილების მიხედვით აუცილებელია ინფორმაციის შეგროვების ტექნიკა შეესაბამებოდეს პირველადი ინფორმაციის ხასიათს. ერთმანეთს უნდა შევესაბამოთ აგრეთვე ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების მეთოდები და მათი რეალიზაციის ტექნიკური საშუალებები.

შეგროვებული ინფორმაციის მომზადება მანქანურ მატარებლებზე (პერფორატორებზე ან პერფოლენტებზე) გადასატანად მონაცემების ავტომატიზე-


ბული დამუშავების ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი ეტაპია, რადგან დიდ-
ძალ მექანიკურ ოპერაციებს შეიცავს. ინფორმაციის დამუშავების ამ ეტაპზე
ჩვენ ვამოწმებთ პასუხის შესაბამისობას დასმულ კითხვებთან. ამასთან ერთად
ზოგჯერ მონაცემების ტექნოლოგიურობა. ინფორმაციის დამუშავების ამ
ეტაპზე ხდება მისი კოდირება. ეგმ-ის დამსხმომებელი მოწყობილობის ნაკლე-
ბად დატვირთვისა და დროის დაზოგვის მიზნით კოდირების დროს ვიყენებთ
კოდებში პოზიციების მინიმალურ რაოდენობას (იმ პირობით, რომ კოდირე-
ბის საიმედობის საჭირო დონე შენარჩუნებული იქნება). გამოცდილება გვიჩ-
ვენებს, რომ კოდირების სისტემა უმჯობესია იყოს უნივერსალური, გამოსადე-
გი ინფორმაციის მანქანურ მატარებლებზე ან გარე დამსხმომებელ მოწყობი-
ლობაზე გადატანის ნებისმიერი ამოცანის გადასაწყვეტად. მანქანურ მატა-
რებლებზე გადასატანად მონაცემების მომზადების ეტაპი მთავრდება პირვე-
ლად დოკუმენტებში შემავალი ინფორმაციის კოდირებით.

კოდირებული ინფორმაციის მანქანურ მატარებლებზე გადატანა შეიძლება
ორი გზით. ამჟამად მონაცემების გადატანას ჩვენ ვახდენთ კლავიშოანი პერფორ-
აციული მანქანებით. მომავალში დაგეგმილი გვაქვს მონაცემების უშუალო
გადატანა კლავიატურიდან მაგნიტურ ლენტზე EC—9001 და EC—9002 ტი-
პის სწრაფმოქმედ მოწყობილობათა საშუალებით.

კლავიშოანი პერფორაციული პერფორატორული მანქანების საშუალებით
ინფორმაციის გადატანა ვულისხმობს ჯერ მონაცემების პერფორაციას, შემდეგ
კი პერფორირებული მონაცემების შემოწმებას, რითაც ორმაგდება დაზარა-
ლი დრო. ვინაიდან პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია არ თავ-
სდება ერთ პერფორატორზე, იძულებული ვართ თითოეულ პერფორატორზე აღვ-
ნიშნოთ პირველადი დოკუმენტის რიგითი ნომერი და უზოგადოებით სხვა ისეთი
მონაცემი, რომელიც ინფორმაციის მაკეტის საპასპორტო ნაწილს შეადგენს.
პერფორირებულ მონაცემებს ვწერთ მაგნიტურ ლენტებზე ან მაგნიტურ დის-
კოებზე. ჩაწერა ხდება საწყისი მონაცემების ეგმ-ის პროცესორში შეყვანილ
მიზნით, რაც პერფორატორების წამკითხველი მოწყობილობის მეშვეობით ხდება.

პირველი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომ-
მელსაც პერფორატორების წამკითხველი მოწყობილობის საშუალებით მონა-
ცემების ელექტრონულ-ვამომთვლელ მანქანაში შეყვანის დროს ვაწყდებით,
არის საწყისი მონაცემების სიზუსტე და სისრულე. ეგმ-ს არ შეუძლია უზუსტო
და უსრულო საწყისი მონაცემებიდან მიიღოს ზუსტი და სრული მონაცემე-
ბი, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა მანქანური კონტროლი. ასეთი
კონტროლის შესაძლებლობები ყოველთვის შეზღუდულია და ამიტომ არ შეი-
ძლება თავიდან ავიცილოთ მნიშვნელოვანი დამახინჯებები. მონაცემების დამუ-
შავების აზრი და მიზანი სწორედ ის არის, რომ მივიღოთ რეალური ინფორმა-
ცია გამოსაკვლევი მოვლენის ან პროცესის შესახებ. თუ ეს ინფორმაცია მი-
ღებულია უზუსტო და უსრულო საწყისი მონაცემებიდან, მაშინ ხაეკუო ხდება
მონაცემების დამუშავების მთელი ძვირად ღირებული პროცესის ეფექტიანო-
ბა. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივით, რომ ეგმ-
ის გამოყენების დროს განსაკუთრებული ყურადღება სწორედ საწყისი მონა-
ცემების სიზუსტისა და სისრულის დაცვას უნდა მიექცეს.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემაა შეუსაბამო პროცესორის მუშაობის
სისწრაფესა და მონაცემების შესაყვან და გამოსაყვან მოწყობილობათა მუშაო-



ბის სისწრაფეს შორის. ეგმ-ის რეალური სიმძლავრე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შეგვეყვანს ინფორმაცია გადასამუშავებლად პროცესორში. მონაცემების დამუშავება ეგმ-ის გამომთვლელ მოწყობილობებში წარმოებს ძალიან სწრაფად, თითოეულ ოპერაციაზე დაახლოებით 10--15 წამის ფარგლებში. ასეთ სწრაფ ელექტრონულ პროცესს არ შეესაბამება შეყვანა-გამოყვანის მექანიკური პროცესები. ეგმ-ის მუშაობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად მცირდება პროცესორის არასაკმარისი დატვირთვის გამო. სისწრაფეში განსხვავებაზე წარმოდგენას ვეძლევა შემდეგი მონაცემები: თანამედროვე მძლავრი ეგმ-ის წამეითხაფი ან მაგნიტურ ლენტზე გადასაყვანი მოწყობილობები მუშაობენ 15-ჯერ ნაკლები, ხოლო სწრაფმომქმედი მბეჭდავი მოწყობილობები 300-ჯერ ნაკლები სიჩქარით, ვიდრე პროცესორი.

ამიტომ შემდეგში ვაპირებთ პირველადი მონაცემების შესაყვანად გამოვიყენოთ უფრო სწრაფმომქმედი მოწყობილობები.

მესამე პრობლემა — ეს არის ინფორმაციის მატარებლის სწორი არჩევა დღეისათვის ინფორმაციის არსებულ მატარებელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია პერფორატიები. ინფორმაციის მომზადება და შეყვანა შემდეგნაირად ხდება: პირველადი დოკუმენტი — ხელით პერფორირება და კონტროლი — ეგმ.

პერფორატიების ვახვრეტა და კონტროლი დიდ შრომით დანახარჯებს მოითხოვს. ამასთან პერფორაციის დროს დაშვებული შეცდომების ხარჯზე პერფორასალებში უფრო მეტი შეცდომებია, ვიდრე პირველად დოკუმენტებში. ამის შედეგად მცირდება მონაცემების დანუშავების პროცესის ეფექტიანობა. მათ დასამუშავებლად მომზადებაზე გაწეული დანახარჯების წილი მონაცემების დამუშავების საერთო დანახარჯებში შეადგენს 30-40 პროცენტს. ამიტომ ვაპირებთ შემდგომში გამოვიყენოთ უფრო სწრაფმომქმედი, ეგრეთ წოდებული სინქრონული ტექნიკა მონაცემების მომზადებისათვის ეგმ-ში შესაყვანად.

მონაცემების მომზადების სწრაფმომქმედი მოწყობილობები (EC-9001 ან EC-9002) გათვალისწინებულია კლავიატურიდან მაგნიტურ ლენტზე ინფორმაციის უშუალოდ გადაწერისათვის. ინფორმაციის შეყვანის დროს ოპერატორის მიერ შემჩნეული შეცდომები შეიძლება სწრაფად შესწორდეს მეხსიერების მასამართის გამოძახებით და კლავიატურიდან სწორი ნიშნის შეყვანით. მონაცემების მომზადების სწრაფმომქმედი მოწყობილობების საშუალებით ჩაწერა საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ წამკითხველ მოწყობილობათა უამოყენებით პერფორატიებიდან ინფორმაციის შეყვანის შრომატევადი და არაეკონომიკური (მანქანური დროის დანახარჯების მიხედვით) პროცესი. ამას გარდა, როცა პერფორაციის მაკეტი შედგება რამდენიმე პერფორატიისაგან, აუცილებელი აღარ არის ეგმ-ზე მთელი რიგი გამოთვლითი მოსამზადებელი სამუშაოები — დაკვირვების ნომრის შიფრის მიხედვით დახარისხება (პირველადი დოკუმენტების საპასპორტო ნაწილის მონაცემების მიხედვით), დაკვირვების ნომრის შიფრის მიხედვით იდენტიფიკაცია, დახარისხებული და იდენტიფიცირებული მასივების ამობეჭდვა და ა. შ.

ამრიგად, ცხადია, რომ დიდძალი ინფორმაციის დამუშავების შემთხვევაში მონაცემების მომზადების სწრაფმომქმედ მოწყობილობათა გამოყენება ბევრად უფრო ეფექტიანი და პრაქტიკულია, ვიდრე ეგმ-ში შესაყვანად მონაცემების

მომზადების სხვა საშუალებები. ჯერ ერთი, საჭირო არ იქნება, პირველად დოკუმენტებში შემავალი ინფორმაციის დაყოფა ცალკეულ ჯგუფებად; მეორე, აუცილებელი აღარ იქნება პერფორმანსების შეყვანის შრომატევადი სამუშაოების შესრულება, დახარისხება მრავალი ფაქტორის მიხედვით, იდენტიფიკაცია და ა. შ. მესამე, იოლდება შესაყვანად მომზადებული ინფორმაციის შენახვა, ტრანსპორტირება და დანაკარგებისაგან დაცვა.

სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების ამოცანების სპეციფიკამ განაპირობა იმის აუცილებლობა, რომ საქართველოს სსრ პეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრთან ერთად შექმნილიყო სხვადასხვა გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავების ერთიანი უნივერსალური სისტემა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ნებისმიერი სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავების დროს წყდება სტანდარტული პრობლემები დიდძალი მონაცემების ორგანიზაციის თვალსაზრისით.

ეგმ-ზე მონაცემების დამუშავების სისტემას ჩვენ ვაპროექტებთ ხანგრძლივი ვადით, იმ ანგარიშით, რომ სისტემა უფრო მოქნილი, გამოსადეგი იყოს სხვადასხვა ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად და იძლეოდეს მისი გაფართოების საშუალებას. მოთხოვნების მიხედვით სისტემაში ირთვება ორგანიზაციის ახალი ფორმები და დამუშავების პერსპექტიული მოწყობილობები, რაც არ არღვევს სისტემის მთლიანობასა და არ ამცირებს მისი ფუნქციონირების გაფართოების შესაძლებლობებს.

სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების პროცესის მნიშვნელოვან გამარტივებას ვაღწევთ მოდულური პროგრამირების სისტემის გამოყენების გზით. ამ სისტემის დანიშნულება ის არის, რომ მინიმუმამდე შევამციროთ საკუთარი პროგრამირების წილი არსებული პროგრამული მოდულების მაქსიმალურად ფართო გამოყენების გზით. ინფორმაციის დამუშავების კონკრეტული პროგრამები იქმნება იმ არსებული მოდულების გამოყენებით, რომლებიც დამუშავებულია მოცემული ამოცანისათვის.

ეგმ-ზე გამოთვლების ეტაპი ხორციელდება ისე, რომ გათვალისწინებულია გამოყენებული ოპერაციული სისტემა, პერფორმანსის მაკეტი, მოცემულ კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევაში დასმული ამოცანები, მანქანურ მატარებლებზე პირველადი ინფორმაციის მომზადებისა და ორგანიზაციის მეთოდები და ა. შ.

როცა მანქანური მატარებლების როლში გამოდის პერფორმანსები და პერფორმანსის მაკეტი ერთი პერფორმანსისაგან შედგება, ეგმ-ზე წინასწარი მოსამზადებელი გამოთვლითი სამუშაოები საჭირო აღარ არის. პირდაპირ, ინფორმაციის მასივის მომქმედი ფაქტორების მიხედვით დახარისხების შემდეგ გახდნენ დამნაშავეობის შესახებ სოციოლოგიური ინფორმაციის გამოთვლას გამოსაკვლევ ფაქტორების მიხედვით აბსოლუტური ციფრებით და პროცენტობით.

სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების შემდეგი ეტაპია გადაამუშავებული განზოგადებული ინფორმაციის ისეთი ცხრილების სახით წარმოდგენა, რომელიც მოხერხებულს გახდის მათ შემდგომ ანალიზს. დამნაშავეობის შესახებ სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების ის სისტემა, რომელსაც ამჟამად ვიყენებთ, განზოგადებულ გადაამუშავებულ მონაცემებს ეგმ-ის ალფაბეტურ-ციფრული საბეჭდი მოწყობილობი-

დან იღებს არა საბოლოო ცხრილების სახით, არამედ დაბეჭდილ ციფრთა სვეტების სახით. შემდეგ ხდება მათი ხელით გადაამუშავება და ცხრილების სახით წარმოდგენა. მონაცემების დამუშავების პროგრამული კომპლექსის გაფართოება, რაც დავეგმილი გვაქვს, საშუალებას მოგვცემს ეგმ-ის ალფაბეტურ-საბეჭდი მოწყობილობიდან განზოგადებული მონაცემები პირდაპირ მივიღოთ ცხრილების ან გრაფიკების სახით. ამისათვის საჭიროა ეგმ-ის კომპლექსში შევიღო-დეს შესაბამისი გარე მოწყობილობები.


დამნაშავეობის შესახებ ინფორმაციის ეგმ-ზე დამუშავების შემდეგ ხდება იმ ინფორმაციის გაანალიზება, რაც, საბოლოო ანგარიშში განიოყენება დამნაშავეობის სოციოლოგიის სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად.

ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების ზემოთ განხილულ მეთოდისას ჩვენ ვიყენებთ იმ სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავებისათვის, რომელიც დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიაში გროვდება დამნაშავეობის სხვადასხვა აქტუალური პრობლემის კვლევის დროს. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ლაბორატორიის საჭიროებისათვის დამუშავებული ინფორმაციის მოცულობა, საკმარისია მხოლოდ ერთ სამუშაოზე შეეჩერდეთ. რომელიც 1978 წელს შესრულდა და მოითხოვა 2 მილიონი ინფორმაციული ერთეულის გადაამუშავება. ოპერატორებისა და ლაბორანტების რამდენიმე თვის შრომა დასჭირდა ამ ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავებისათვის მომზადებას, ხოლო თვით ეგმ EC—1020-ზე ამ ინფორმაციის დამუშავებისათვის დაიხარჯა 200 საათი მანქანური დრო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრთან ერთად დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის მიერ შემუშავებული სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავების მეთოდიკა დიდ შესაძლებლობებს იძლევა გამოსაკვლევი მოვლენების არსში ჩასაწყდომად და მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერებების გამოსავლენად.

დამნაშავეობის სოციოლოგიაში თანამედროვე ოპერაციული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების, აგრეთვე დასამუშავებელი ინფორმაციის ანალიზისათვის მათემატიკური მეთოდების გამოყენება საშუალებას გვაძლევს მივიღოთ თვისებრივ-რაოდენობრივი კანონზომიერებები მაშინ, როცა გვაქვს მხოლოდ რაოდენობრივი მონაცემები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი აზრით, სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავებისათვის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიაში დაგროვილი გამოცდილება შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს როგორც სამართალდარღვევის პრობლემებზე ნომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, ისე ამ პრობლემებით დაინტერესებულ პრაქტიკული ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ანალიტიკურ მუშაობას და მოწოდებული არიან ღრმად გაიანზონ დამნაშავეობის მიზეზები და მისი ხელშემწყობი პირობები.



ბინის კანონმდებლობის საფუძვლების პირობები

თ. ლავროვი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბინაო კანონმდებლობის სრულყოფა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით გარანტირებული ბინის უფლებების განხორციელების პირობაა. ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელსაც ფართო საზოგადოებრიობა იჩენს ბინის კანონმდებლობის საფუძვლებისადმი, როგორც ისეთი ერთიანი აქტისადმი, რომელშიც პირველად არის ჩამოყალიბებული საბინაო კანონმდებლობის ძირითადი დებულებები.

დღემდე ასეთი აქტი საბინაო კანონმდებლობაზე არ გვქონდა. ამჟამად მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში საბინაო პრობლემებს მხოლოდ ერთი თავი აქვს მიძღვნილი, რომელსაც „საცხოვრებელი სადგომის ქირავნობა“ ეწოდება და რვა მუხლისაგან შედგება.

გვჭვს ვარაუბია, რომ ბინის ქირავნობის ხელშეკრულება არ არის საბინაო ურთიერთობის წარმოშობის ერთადერთი საფუძველი და ამის გამო მთელი რიგი საკითხები მოუწესრიგებელი რჩება, ან სხვა განცალკევებული აქტებით რეგულირდება (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა ურთიერთობები, ინდივიდუალური საბინაო ფონდი და სხვ.). ეს ნორმებიც საკმაოდ ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება და მათი გამოყენება მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული.

საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებს პროექტი შეიცავს სისტემაში მოყვანილ მთავარ სამართლებრივ ნორმებს, რომელთა დანიშნულებაა საბინაო ურთიერთობათა მოწესრიგება და ამ დარგში კანონიერების განმტკიცება. ეს აქტი კომპლექსური კანონის პროექტია და შეიცავს როგორც სამოქალაქო სამართლის, ისე ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს.

მის მიღებას უნდა მოჰყვეს მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კოდექსების გამოცემა და სათანადო ცვლილებების შეტანა ამჟამად მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების იმ თავში, რომელიც საბინაო ურთიერთობებს აწესრიგებს.

პროექტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მონაწილეობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მართვასა და დაცვაში, დახასიათებულია სსრ კავშირის საბინაო ფონდის სახეობანი, ხაზგასმულია, რომ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში არსებული საუწყებო სახლები თანდათან უნდა გადავიდეს სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში, გამიჯნულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია საბინაო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში.

პროექტში ცალკე თავები ეძღვნება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის

სახლებში მოქალაქეთა საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფას და ინდივიდუალური ფონდის ბინებით სარგებლობას. პროექტი ითვალისწინებს მოქალაქეთა საბანაო უფლებების მნიშვნელოვან გაფართოვებას. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

პროექტის 25-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა უარი იმ საცხოვრებელი სადგომის მიღებაზე, რომელიც არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, არ იწვევს მათ მოხსნას აღრიცხვიდან საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად.

მე-19 მუხლში პირველად არის გათვალისწინებული, რომ მოქალაქენი, რომლებიც ცხოვრობენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში ან პირადი საკუთრების სახლებში და საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საცხოვრებელი სადგომებით საერთო წესით.

37-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ მუშა-მოსამსახურეთა გასახლება საუწყებო სახლებიდან დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ მათ უზრუნველყოფენ სხვა საცხოვრებელი სადგომით.

განსაკუთრებით გაფართოებულია იმ მოქალაქეთა უფლებები, რომელთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლები უნდა დაინგრეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით.

საფუძვლების პროექტის გამო გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

1. პროექტის 24-ე მუხლში, რომელიც საცხოვრებელი ფართობის ნორმას ეხება, მითითებულია, რომ მას ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა და იგი არ შეიძლება იყოს ერთი სულისათვის ცხრა კვადრატულ მეტრზე ნაკლები, ხოლო შემდეგ აღნიშნულია, რომ ცალკეულ მოქალაქეებს ეძლევათ დამატებითი ფართობი ათი კვადრატული მეტრის ოდენობით. ამ ფართობის მიცემის წესსა და იმ პირთა ნუსხას, ვისაც მისი მიღების უფლება აქვთ, ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

ვფიქრობთ, რომ საცხოვრებელი ფართობის ნორმის ამ ორი საკითხის სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტისათვის საფუძველი არ არსებობს.

საქმე ის არის, რომ დამჭირავებელთა ცალკეული კატეგორიებისათვის დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ნორმის განსაზღვრა დაკისრებული აქვთ მოკავშირე რესპუბლიკებს (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 309-ე მუხლი, რსფსრ-ის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 316-ე მუხლი) და ამის შესაბამისად რესპუბლიკებში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ეს საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1930 წელს დაწესებულია, რომ დამატებითი ფართობი შეადგენს 10 კვადრატულ მეტრს, ხოლო ზოგიერთ პირებს (მეცნიერი მუშაკები, მწერლები, კომპოზიტორები) საცხოვრებელი ფართობის დაწესებული ნორმის ზევით ეძლევათ არანაკლებ ოცი კვადრატული მეტრი.

დაახლოებით ასე ეს საკითხი გადაწყვეტილი რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 თებერვლის დადგენილებით, რომელიც ამ შედეგს კინორეჟისორებზე და სხვა პირებზეც ავრცელებს.

ვფიქრობთ, ამჟამად არ არის საფუძველი ამ კატეგორიის მშრომელთა საც-

ზოგრებული პირობების გაუარესებისათვის. მიზანშეწონილია ამ პრობლემის ისე გადაწყვეტა, როგორც ეს ხდება საცხოვრებელი ფართობის ნორმის განსაზღვრისას. სახელდობრ, სსრ კავშირის გამგებლობას უნდა მიეკუთვნოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის როგორც საცხოვრებელი ფართობის ძირითადი, ისე დამატებითი ფართობის მინიმალური ნორმის დადგენა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებს უნდა დაეტოვოთ უფლება ადგილობრივი პირობების მიხედვით თვითონ განსაზღვრონ ამ ფართობის ოდენობა.

გარდა ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ დამატებითი ფართობის გამოყოფა გათვალისწინონ მოქალაქისათვის საცხოვრებელი ბინის მიცემის დროს.

2. პროექტის 44-ე მუხლი, რომელსაც „მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლის უფლება“ ეწოდება, ფართო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, რაც იმით აიხსნება, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დაშვებულია, რომ პირს საკუთრება ან სააგარაკო ადგილას ჰქონდეს მეორე სახლი ჰირად საკუთრებაში, თუ იგი გამოყენებულია მესაკუთრის ან მისი ოჯახის წევრების დასასვენებლად ან სამკურნალოდ, ხოლო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი ამ შედეგათს კიდევ უფრო აფართოვებს და სოფელზეც ავრცელებს.

ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმულია მართებული მოსაზრება, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის ეს ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქის საკუთრებაში მეორე სახლის არსებობა დაშვებულია აგრეთვე სოფლადაც, აისახოს საკავშირო ნორმაში.

3. პროექტის 21-ე მუხლში აღნიშნულია, რომ იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებიც საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას, როგორც წესი ხორციელდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო გარკვეულ პირობებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებით ეს პირები შეიძლება აყვანილი იქნენ აღრიცხვაზე არა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ჩვენი აზრით, ამ მუხლის ის ნაწილი, რომელიც ეხება გარკვეულ პირობებში არასაცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანას, მეტად ბუნდოვანია და ზოგადად მაინც უნდა იქნეს განმარტებული.

4. ვფიქრობთ, რომ პროექტის 33-ე მუხლში, რომელიც საცხოვრებელი ბინის გაცვლას ეხება, გათვალისწინებული უნდა იქნეს ოჯახის ნებისმიერი წევრის მიერ ამავე ოჯახის სხვაგან მცხოვრებ წევრთან ბინის ნაწილობრივი გაცვლის უფლება, თუ ამით არ გაუარესდება ოჯახის დანარჩენ წევრთა მდგომარეობა და ამაზე იქნება მათი წერილობითი თანხმობა.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეამცირებს დაკავებული სადგომების იძულებითი წესით გაცვლის შემთხვევებს.

5. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის გადასახდელის (ბინის ქირა) გამომანგარიშება ხდებოდეს დიფერენციულად ბინის ხარისხის გათვალისწინებით.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული ბინის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის ქართული ტექსტი არ არის ზუსტი. მასში დაშვებულია ზოგიერთი შეცდომა, მაგალითად. მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი წინა მუხლის მე-8 პუნქტის გამეორებაა და არ შეესაბამება რუსულ ტექსტს.

საქართველოს სსრ მშენებლის ინსტრუქციაში საჭიროა ზოგადი ცვლილებების შეტანა

ბევრ ფაქტსა და მოვლენას, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისათვის, რეგისტრაციაში ატარებენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები. ეს ხდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ისე მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით.

მშენებლის ორგანოები ამოწმებენ ფაქტების ნამდვილობას, ანიჭებენ მათ იურიდიულ ძალას და ახორციელებენ კონტროლს მათი გაფორმებისადმი.

ვინაიდან მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სწორ და ზუსტ რეგისტრაციას დიდი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ინსტრუქცია სრულყოფილი იყოს და შეეძლოს უპასუხოს ყველა საკითხს, რომელიც წამოიჭრება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ამა თუ იმ ფაქტის რეგისტრაციის დროს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა შევეხოთ საქართველოს სსრ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ინსტრუქციის ზოგიერთ მუხლს. ინსტრუქციის მიღებიდან (1971 წლის 9 მარტი) საკმაოდ დრო გავიდა, რაც შესაძლებლობას იძლევა მშენებლის ორგანოების პრაქტიკისა და ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საჭიროა ცვლილებები შევიტანოთ ინსტრუქციის იმ მუხლებში, რომლებიც აწესრიგებს ბავშვის დაბადების რეგისტრაციის საკითხებს. უპირველეს ყოვლისა, ინსტრუქციაში შეტანილ უნდა იქნეს ნორმა დედობის დადგენის დროს ბავშვის დედის ჩაწერის შესახებ.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი ასეთ სამართლებრივ ნორმას არ შეიცავს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით დედობის დადგენის საკითხის რეგულირებას. ურიგო არ იქნებოდა ამ ნორმის გათვალისწინება ინსტრუქციაში, რამდენადაც დედობის დადგენის დროს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება, ჩანაწერი წარმოებს მშენებლის ორგანოში. ამიტომ ინსტრუქციის VII თავს „მამობის დადგენის რეგისტრაცია“ — უნდა ეწოდოს „დედობისა და მამობის დადგენის რეგისტრაცია“ და მრ-ე მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტი — „დედად ცნობის რეგისტრაცია წარმოებს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე“.

ინსტრუქციის 26-ე პუნქტის შესაბამისად — ბავშვის დაბადებისას, ისეთი დედისაგან, რომელიც ქორწინებაში რეგისტრირებული არ არის, და როდესაც მამობა არ დგინდება, ერთობლივი განცხადებით ან სასამართლო წესით, მამის ბავშვს ეძლევა დედის გვარი, მამის სახელის და ეროვნების შესახებ ჩანაწერი კი კეთდება დედის მითითებით.

როგორ უნდა მოვიქცეთ მამის, როდესაც დედა უარს აცხადებს დაასაჩუქროს ბავშვის მამის სახელი? ასეთი შემთხვევები ხშირია და მშენებლის ორგანოს წესდები გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებიან, რადგან საკითხის თვითნებ-

რი გადაწყვეტის უფლება მათ არა აქვთ, ინსტრუქცია კი ამ საკითხს არ აწესრიგებს.

ვფიქრობთ, რომ ინსტრუქციის 26-ე პუნქტს აუცილებლად უნდა დაემატოს შემდეგი პუნქტი: „როცა დედა არ ასახელებს ბავშვის მამის სახელს, იგი ჩაიწერება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მითითების შესაბამისად“ ამ ნორმას პირდაპირ ითვალისწინებს ლატვიის, ტაჯიკეთის და მოლდავეთის სსრესპუბლიკების ინსტრუქციები.

ინსტრუქციის 90-ე მუხლით, სრულწლოვანი ბავშვის მამობის დადგენის თაობაზე მამის განცხადებას უნდა დაერთოს შვილის წერილობითი თანხმობა.

ნორმა ამის შესახებ, რომ მამობის დადგენის ჩანაწერის ვაკეთების დროს თანხმობა საჭიროა მხოლოდ სრულწლოვანი შვილებსა, პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან და კონკრეტულად ინსტრუქციის ამ მუხლში.

საბჭოთა სამართლებრივ ლიტერატურაში არის სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, მოითხოვენ, რომ ამ უფლებით აღვჭურვოთ ბავშვები, რომლებმაც 16 წლის ასაკს მიაღწიეს. უდავოა, რომ ამ ასაკში ბავშვს შეუძლია შეაფასოს თავისი მოქმედება, გაერკვიოს მის სისწორეში. მიზანშეწონილია ინსტრუქციამ, ნაცვლად სრულწლოვანებისა, ბავშვის წერილობითი თანხმობა გაითვალისწინოს 16 წლის ასაკიდან.

მიზანშეწონილია ინსტრუქციის 25-ე პუნქტებიდან ამოვიღოთ ფრაზა: „დედისა და მამის ერთობლივი განცხადება“ და მის ნაცვლად ვიხმაროთ: „მშობელთა განცხადება“. მაგრამ მთავარი აქ არის არა სიტყვის ტრანსკრიფცია, არამედ სხვა რამ. მამობის ნებაყოფლობით აღიარება მშობლების მიერ ნების თავისუფალი გამოვლინების აქტია. ამიტომ, ბავშვის მშობლებს არ უნდა განუტყუარდნოთ, თუ როგორ, რა ფორმით წარადგინონ განცხადება, — ერთი, საერთო, თუ განცალკევებული. ამ მოთხოვნას საფუძვლად უდევს მხოლოდ ის, რომ განცხადება მომდინარეობდეს ბავშვის დედისა და მამისაგან.

ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება, ესტონეთის სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსიდან (56 მ — მე-4 ნაწ.) ვადმოვიღოთ დებულება, რომლითაც დაშვებულია მამობის ცნობის წინასწარი რეგისტრაცია ჯერ არდაბადებულ ბავშვების მიმართ (ქალას ორსულობის დროს), თუ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ასეთი განცხადების წარდგენა ბავშვის დაბადების შემდეგ შეუძლებელი იქნება ან გართულებული. ეს წესი საგრძნობლად ამსუბუქებს ფეხმძიმე, უქმრო ქალის მდგომარეობას თუნდაც იმიტომ, რომ მომავალ დედას აღარ აღევლება ბავშვის რეგისტრაციის საკითხი, და ამავე დროს შეამცირებს მამობის დადგენის შესახებ წარდგენილ სარჩელთა რაოდენობას.

მმაჩის ორგანოს ჩანაწერებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ, ვფიქრობთ რომ ინსტრუქციის სრულყოფა, მისი დეტალიზაცია გარკვეულად გაამარტივებს მმაჩის ორგანოს მუშაკთა საქმიანობას და ამავე დროს უფრო მეტად უზუსტებს ინსტრუქციის მოთხოვნებს.

ე. მისკარიანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი.

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

დანაშაულზე ნაბაყოფლოებით ხელის კლავის უსიქოლოგიური ბუნებისათვის*

დ. სულაძველიძე,
ზესტაფონის რაიონის პროკურორის თანაშემწე

საბჭოთა სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზანი იმთავითვე იყო და არის დანაშაულთა თავიდან აცილება, დამნაშავეთა გამოსწორება და მათი ხელახალი აღზრდა, ამ გზით სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცება. სკკპ პროგრამაში ხაზგასმით არის აღნიშნული: „მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის, კულტურული დონისა და შეგნებულობის ზრდა ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დამნაშავეობა, საბოლოო ანგარიშით სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზეგავლენისა და აღზრდის ღონისძიებებით. სოციალიზმის პირობებში თითოეულ ადამიანს, რომელიც შრომითს გზას ასცდა, შეუძლია დაუბრუნდეს სასარგებლო საქმიანობას“¹. სწორედ ამ ამოცანებს ემსახურება საბჭოთა სისხლის სამართალში ე. წ. „წამახალისებელ ღონისძიებათა“ სისტემის გამოყენება, რომელშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მიკუთვნებული აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. ეს ინსტიტუტი სათანადოდ აისახა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლი ადგენს, რომ „იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელს აღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის ნიერ ფაქტიურად ჩადენილი ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას“.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი საინტერესო საკითხების ფართო წრეს მოიცავს. თითოეული მათგანის დამოუკიდებელი შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის. წინამდებარე წერილის მიზანია დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით პიროვნების ქცევის ფსიქოლოგიური ბუნების ზოგიერთი ასპექტის განხილვა, როდესაც ნებაყოფლობით ხდება ხელის აღება დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. საკითხის ამ კუთხით წარმოჩენა მარტოოდენ წმინდა ფსიქოლოგიური ინტერესით არ აიხსნება, ვინაიდან საქმე ეხება პიროვნების ისეთი მოქმედების ფსიქოლოგიას, რომელიც განსაზღვრულ სისხლის სამართლებრივ შედეგებს იწვევს. იგი მნიშვნელოვანია აგრეთვე დაწყებულ და-

* ნაშრომი მომზადდა 1976-1977 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების სისხლის სამართლის წრეში. მოხსენების სახით იგი მოსმენილი და პირველი პრემიით დაჯილდოებულია ჯერ თბილისის, შემდეგ კი რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. მეცნიერი ხელმძღვანელი დოც. ნ. უგრეხელიძე.

¹ სკკპ პროგრამა, თბილისი, 1971, გვ. 155.

ნაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების იურიდიული დანაშაულებისათვის.

მაშ, როგორია პიროვნების მოქმედების ფსიქოლოგიური ბუნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას?

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით დაწყებული დანაშაულის შემთხვევაში, რომლის დროსაც სუბიექტს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ითვალისწინებს მისგან გამომდინარე შედეგებს და სურს იგი. შეუძლებელია ნებაყოფლობით ხელის აღების დაშვება პირის ქმედებაში ბრალის სხვა სახის გამოვლინების დროს, რადგან ასეთი რამ ფსიქოლოგიურად სავსებით შეუსაბამოა თვით ნებაყოფლობით ხელის აღების ბუნებასთან. დაწყებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას მოვლენათა განვითარების ასეთი სურათი იქმნება: პირი იწყებს ქმედებას პირდაპირი განზრახვით, მიმართულს რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენისაკენ. ამ მომენტიდან იგი იძენს მისთვის დამახასიათებელ ნიშანს, რომელსაც სამართლის ენაზე პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება ეწოდება და ექცევა სამართლის სფეროში, რომლის შესახებაც კ. მარქსი ამბობდა: „მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მე გამოვავლენ ჩემს თვს, მე შევდივარ სინამდვილის სფეროში, მე შევდივარ კანონმდებლობის დაქვემდებარების სფეროში. ჩემი მოქმედების ვარეშე შე სრულიად არ ვარსებობ კანონისათვის, სრულიად არა ვარ მისი ობიექტი“². მაგრამ დაწყებული დანაშაულის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სუბიექტი წყვეტს დანაშაულებრივ მოქმედებას და მისი ქცევა სრულიად საპირისპირო შინაარსს იძენს, რომელიც თავდაპირველი განზრახვის საწინააღმდეგოდ სულ სხვა სოციალური და იურიდიული მნიშვნელობის მქონე შედეგით მთავრდება. სისხლის სამართალს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სიტუაციაში სწორედ მისი საბოლოო შედეგის გამომწვევი მიზეზები აინტერესებს. ცნობილია, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების არსებობას მაშინ ცნობს იურისპრუდენცია, თუ პირი მოქმედებს ისეთ ვითარებაში, სადაც მას აქვს სრული შესაძლებლობა ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაული და თვით სუბიექტს მტკიცედ სწამს ასეთი შესაძლებლობის არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონმდებელი დაწყებულ დანაშაულზე ხელის აღებისას პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტაში განმსზღვრავლ მნიშვნელობას ანიჭებს ნებისა აქტს ანუ იმის გარკვევას, ნამდვილად იყო თუ არა დანაშაულზე ხელის აღება სუბიექტის თავისუფალი ნების გამოვლინება. როგორც პროფ. თ. წერეთელი აღნიშნავს, დანაშაულზე ნებაყოფლობით რომ იღებს ხელს, პირი ასე მსჯელობს: „მე შემიძლია ბოლომდე მივიყვანო დანაშაული, მაგრამ არა მსურს ეს“³. პირიქით, თუ სუბიექტი მსჯელობს: „მე მსურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ეს ჩემთვის შეუძლებელია, აქ ადგილი ადარა აქვს ნებაყოფლობით ხელის აღებას“³. ამგვარად დანაშაულის დაწყებაც და შემდგომ მასზე ხელის აღებაც პირის ნებლობითი ქცევის აქტებია. დაწყებული დანაშაულის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე პირი ნებაყოფლობით იღებს ხელს მის შემდგომ გაგრძელებაზე და შემობრუნებას ახდენს სრულიად საპირისპირო მიმართულებით. ამ შემობრუნებას

² К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. I, издание 2-е, М., 1955, стр. 14.

³ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1961, გვ. 225.

განსაზღვრავს ის რთული ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც სუბიექტის აღნიშნულ ქცევაშია ჩართული და ამ უკანასკნელს წარმოადგენს. ყველა ნორმალური ადამიანი, იქნება ის დამნაშავე თუ არა დამნაშავე, მოაზროვნე არსება და დაჯილდოებულია ნებელობითი მოქმედების უნარით. დანაშაულზე ნებაცოფლობით ხელის აღების სიტუაციაში სწორედ მოქმედის ნების შეცვლა და ამ შეცვლის თავისუფლება მოწმობს პიროვნების, გარდაქმნას, მის ახლებურ მიმართებას თავისი მომავალი ქცევისადმი. როგორც დ. უზნაძე მიუთითებდა, „ნებელობის აქტი სუბიექტის მომავალი ქცევისადმი დამოკიდებულება განიცდება: იგი „მე“-დან გამომდინარე აქტიობაა, რომელშიდაც სუბიექტის პოზიცია ირკვევა მომავალი ქცევის მიმართ“⁴.

ნებისმიერი მოქმედებას ფსიქოლოგიური სტრუქტურა, რომელიც დ. უზნაძემ მოგვცა განწყობის თეორიაში, დაწყებულ დანაშაულზე ნებაცოფლობით ხელის აღებისას ამგვარად უნდა იქნას წარმოდგენილი: პირველი ეტაპი — ეს არის მოტივაციის პროცესი, რომლის დროსაც სუბიექტი აცნობიერებს თავის მომავალ მოქმედებას, აფასებს მას ღირებულების თვალსაზრისით და აქედან გამომდინარე ასკვნის, არის თუ არა იგი მისთვის მისაღები. შემდგომ ამისა, მას გამოაქვს სათანადოდ მოტივირებული გადაწყვეტილება გააგრძელოს და ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაული, აუ. ხელი აიღოს მასზე. ამ მომენტში სუბიექტი იღებს დანაშაულის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას. განხორციელდა ნებელობითი ქცევის ხასიათის განმსაზღვრელი აქტი. სწორედ ეს უკანასკნელია ნებისმიერი მოქმედების საფუძველთა საფუძველი, გადაწყვეტილება ნებისყოფის ის სპეციფიკური ნიშანი, რომელიც მას განასხვავებს სხვა ფსიქიკური მოვლენებისაგან. დამამთავრებელი ეტაპია დანაშაულზე ხელის აწლება პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება, რასაც საფუძვლად უდევს მართლზომიერი ქცევის ის განწყობა, რომელიც ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანის შედეგად იქმნება. უზნაძის მიხედვით, განწყობა სხვა არაფერია, თუ არა პირის შინაგანი მზადყოფნა გარკვეული მოქმედებისათვის. თვით გადაწყვეტილების მიღება იზოლირებულ მექანიზმად კი არ ითვლება, არმედ ერთ-ერთ განმსაზღვრელ ეტაპად მიზანმიმართული ქცევის განვითარებაში, რომელიც ქმნის ამ ქცევის შესაბამის განწყობას. მაგრამ შეუძლებელია განხორციელდეს გადაწყვეტილება საერთოდ, რომელიც ჩართული არ არის რომელიმე მოქმედებაში, მიმართული არ არის რომელიმე დადებითი შედეგისაკენ. გადაწყვეტილების აქტის დროს სუბიექტს ნათელი წარმოდგენა აქვს ამის შესახებ, თუ რა სურს და რა უნდა გააკეთოს მან.

ამრიგად, ნებაცოფლობით ხელის აღება დანაშაულზე წარმოადგენს ნებელობითს ქცევას, მას წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღება ამ ქცევის განხორციელების აუცილებლობის შესახებ, რომელიც წარმოშობს სათანადო განწყობას, მაგრამ უკვე დაწყებული დანაშაულის წინააღმდეგ შეცვლილ განწყობას. დ. უზნაძე შენიშნავს, რომ „ნებელობის აქტი ისეთ ცვალებაზე მიუთითებს, რომელიც სუბიექტს, როგორც მთელს ეხება და მის მომავალ ქცევას განსაზღვრავს. გადაწყვეტილების აქტის აღმოცენება, მისი მთლიან-პიროვნული ხასიათი, მასში მოცემული განცდა, რომ მომავალი ქცევა გარკვეულია, რომ იგი უთუოდ შესრულდება, ნათლად ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტის

⁴ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1942, გვ. 154.



განწყობის შეცვლასთან გვაქვს საქმე⁵. დანაშაულზე ხელის აღებისას პიროვნება ალტერნატიულ სიტუაციაში ახდენს თავისუფალ არჩევანს — უარყოს, თუ ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაული და ასეთ მომენტში პიროვნება საკითხს წყვეტს მართლზომიერი ქცევის სასარგებლოდ, რასაც მოჰყვება დაწყებული დანაშაულის დამთავრების თავიდან აცილება. მართებულად შენიშნავს პროფ. თ. წერეთელი, რომ „...პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც დანაშაულის წინაშე თავისუფალი არჩევანი იყო ან ბოლომდე მიიყვანა დანაშაული, ან ხელი აედო მასზე და მან დანაშაულზე ხელის აღება არჩია“⁶. მართლაც, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ვითარებაში სუბიექტის არჩევანი და მისი შემდგომი მოქმედება თავისუფალია, რამდენადაც აქ „სუბიექტი თვითონ ქმნის თავის თავში განსაზღვრული მოქმედების განწყობასა და მაშასადამე, თვითონ იწვევს დამოუკიდებლად ამ მოქმედებას“⁷. მაგრამ რას ნიშნავს თვით ნების თავისუფლება? მას ფ. ენგელსი ასე განმარტავს: „ნების თავისუფლება ნიშნავს მხოლოდ საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარს“⁸. ფ. ენგელსის ამ დებულებით გამოხატულ ვითარებასთან გვაქვს საქმე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სიტუაციაში, ვინაიდან, როცა ხელს იღებს დანაშაულზე, სუბიექტი სავსებით დარწმუნებულია, რომ მას სრული შესაძლებლობა აქვს ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაული და საამისოდ ხელს არაფერი უშლის; იცის, თუ რა შედეგები უნდა მოჰყვეს მის შემდგომ მოქმედებას, ისიც იცის, რომ არსებობს შესაძლებლობა შეცვალოს თავისი ქცევის თავდაპირველი კურსი და შეწყვიტოს დანაშაული, იცის, რა სურს და რა უნდა ჰქნას მომავალში. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ აგრეთვე გერმანელი კრიმინალისტის ფრანც ლისტის თვალსაზრისი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიურ მხარეს რომ ეხება, იგი წერს: „ხელის აღება გამოწვეული უნდა იყოს არა გარეგანი გარემოებებით, არამედ გამომდინარეობდეს მოქმედი პირის თავისუფალი გადაწყვეტილებიდან, განურჩევლად იმისა, მიღებული იყო იგი შიშისა თუ მონანიების, მორალური თუ ფიზიკური ზიზღის, თუნდაც ყველაზე მდაბალი გრძობების ზეგავლენით“⁹.

გარეგნულად სუბიექტის მიერ დანაშაულის დაწყება და შემდეგ ამ დაწყებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ერთ მთლიან მოქმედებად შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ ფსიქოლოგიური და იურიდიული თვალსაზრისით გარეგნულად ერთიან ქმედებაში მოქცეული ეს ორი აქტი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი ორ აშკარად ურთიერთდაპირისპირებულ ნებასა და მათ შესაბამის ქცევას გამოხატავენ. და თუ ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ, დაწყებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას განვიხილავთ როგორც ერთიან ფსიქოლოგიურ ქცევას მისი დასაწყისიდან დასასრულის ჩათვლით, მაშინ მივალთ ფსიქოლოგიურად და ლოგიკურად დაუსაბუთებელ დასკვნამდე, რომ ერთსა და იმავე, ფსიქოლოგიური შინაარსით ერთიან მიზანშარბუთულ ქცევას წარმართავს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ნება, ან პირიქით, პი-

⁵ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 155.
⁶ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი, 1961, გვ. 222.
⁷ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 177.
⁸ ფ. ენგელსი, ანტიდიურიზმი, თბილისი, 1952, გვ. 136.
⁹ Ф. Ф. Лист, учебник уголовного права, общая часть. Книга первая, М., 1903, стр. 233.
 4. „საბჭოთა სამართალი“ № 4

როვნების განწყობაში მოცემული ერთი ფსიქოლოგიურ-იურიდიული შინაარსის მქონე ერთი ნება ხელმძღვანელობს და წარმართავს ორს. ფსიქოლოგიური და იურიდიული შინაარსით ურთიერთდაპირისპირებულ პროცესს. ამიტომ, სუბიექტის მიერ დანაშაულის დაწყება და შემდეგში მის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღება განხილულ უნდა იქნეს გარეგნულად ერთიან და მექანიკურად უწყვეტ, მაგრამ ფსიქოლოგიური და სოციალურ-იურიდიული თვალსაზრისით სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველი შინაარსის მქონე ორი ქცევისაგან შემდგარ ქმედობად, რომელსაც ორი ურთიერთდაპირისპირებული ნება წარმართავს. ნებაყოფლობით რომ აიღო ხელი დაწყებულ დანაშაულზე, დანაშაულის სუბიექტიდან პიროვნება იქცა მართლზომიერი ქცევის სუბიექტად, მის განწყობაში აღარ არის თავდაპირველი ჩანაფიქრი, რომლის ადგილიც დაიკავა გადაწყვეტილებამ — აღარ ჩაიდინოს დაწყებული დანაშაული. მაგრამ ნებაყოფლობით ზელის აღების ინსტიტუტისათვის მისაღებია მხოლოდ სუბიექტის ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არის საბოლოო და ურყევი, ვინაიდან „გადაწყვეტილების აქტი თავისთავად მომენტურობა, მაგრამ იმისათვის, რომ ის, რაც გადაწყვეტილია, შესრულდეს, აუცილებელია გადაწყვეტილება შეურყეველი დარჩეს, რათა ქცევა ბოლომდე თავისი და შესაფერისად წარმართოს. ასეთ სტაბილიზებულ გადაწყვეტილებას განზრახვა ეწოდება. განზრახვას ნებელობის აქტში შექმნილი განწყობა უდევს საფუძვლად“¹⁰. მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქმედი სუბიექტის უნარი — ბოლომდე შეინარჩუნოს ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება და იმოქმედოს მის შესასრულებლად, რასაც პირობითად ნებისყოფას უწოდებენ. თუ გადაწყვეტილებას არ აქლავს ძლიერი ნებისყოფა, იგი შეუსრულებელი რჩება და თვით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტიც ყოველგვარ პოზიტიურ მნიშვნელობას კარგავს. ამის მაგალითს მრავლად იძლევა ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკა. ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ თვით გადაწყვეტილების მიღების უნარი და ძლიერი ნებისყოფა, ერთ მთლიანობაში აღებული, პიროვნების ხასიათის განმსაზღვრელია, სახელდობრ იმისა, რამდენად მტკიცე და ჩამოყალიბებული ხასიათის მქონეა იგი. მაგრამ შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება პიროვნების ხასიათის სიმტკიცეზე და საიმედოა თუ არა იგი პირობებში, როცა სუბიექტის განწყობაში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება იცვლება შეორე. სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილებით? ყოველივე ეს საეჭვოს ხომ არ ხდის ასეთი სუბიექტის ნებისყოფის უნარს და საბოლოო ჯამში მისდამი გამოცხადებულ ნდობას? ეფიქრობთ, რომ ასეთი დასკვნის გამოტანა ერთობ ნაჩქარევი იქნებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ სუბიექტის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არა მარტო სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ ფსიქოლოგიურადაც მეტად საინტერესო მოვლენაა, რომელშიც მკაფიოდ რის წარმოდგენილი პიროვნების შინაგანი დიალექტიკური ბუნება. პიროვნების მსოფლმხედველობა, აზროვნება, ადაპიანური ვნებები და განწყობა არ არის სწორხაზოვანი, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული, რომელსაც იგი ბრმად უნდა ემორჩილებოდეს. მას აქვს უნარი ამა თუ იმ სიტუაციაში სხვაგვარი შეფასება მისცეს საგნებსა და მოვლენებს, შემოქმედებითი ელემენტები შეიტანოს თავის საქმიანობაში, შეიცნოს და გამოასწოროს წინათ დამ-

¹⁰ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 158-159.

გებული შეცდომები, წინააღმდეგობა გაუწიოს თავის ბუნებასთან შეუთავსებელ მოვლენას, შეცვალოს თავისი ქცევის თავდაპირველი კურსი, გამოავლინოს ხასიათის სიმტკიცე, ვაბედულად მიიღოს გადაწყვეტილებანი და იმოქმედოს მათ შესასრულებლად, ბოლომდე თავისდაშესაფერისად წარმართოს ახალი ქცევა და ა. შ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ვითარებაში სწორედ ადამიანის შინაგანი ბუნების მრავალმხრივობა მეღვანდება -- სიმყარე და იმავედროულად მისი დინამიკურობაც, ერთსადაიმავე დროს ხასიათის სიმტკიცეც და ელასტიურობაც, განწყობათა ცვლაც და ნებისყოფაც. ამიტომ ვთვლით, რომ სუბიექტის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე ვერ მიეწერება მის მერყევე ხასიათს, მიღებულ გადაწყვეტილებათა არასაკმარის სიმტკიცეს, მისი ნებისყოფის სისუსტეს და ა. შ. ნუ დაგვაიწყდება: იბოვოს ძალა თავის თავში ქცევის დანაშაულებრივი კურსის შესაცვლელად მართლზომიერი ქცევით და ამ უკანასკნელის ბოლომდე მისაყვანად, პიროვნების დიდი პლიუსია და მისი განზორციელება ასეთი პიროვნების მყარად ჩამოყალიბებულ ხასიათს, მიღებულ გადაწყვეტილებათა სიმტკიცესა და ძლიერ ნებისყოფას მოითხოვს. მამსადაამე დანაშაულზე ხელის აღების ნებელობა და ამის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს სუბიექტის მზადყოფნას მართლზომიერი ქცევისათვის, რასაც შედეგად მოსდევს დაწყებული დანაშაულის თავიდან აცილება. ასეთ პირობებში მოხსნილია მიტოვებული დანაშაულის ხელახლა გაგრძელებისა და მისი ბოლომდე მიყვანის რეალური საშიშროება. ეს მოსაზრებანი სუბიექტის განწყობაში გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტს ემყარება, რამაც უშუალო ზეგავლენა იქონია მისი შემდგომი ქცევის მიმართულებასა და ხასიათზე. ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და განწყობის შეცვლის შედეგად პიროვნება შეიცვალა და მან მნიშვნელოვანი პოზიტიური ვარდაქმნები განიცადა, იგი ახლა სულ სხვა ადამიანია, ვიდრე გადაწყვეტილების შეცვლამდე იყო. ჩვეულებრივ, ამ პროცესს საბოლოოდ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღები პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების გაუქმებამდე მიყვავართ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის მოტივები, რომლებიც ბიძგს აძლევს ყველა ფსიქოლოგიურ პროცესს, ზემოთ რომ აღვწერეთ. მოტივებს თავისი ვარკვეული და აუცილებელი როლი აკისრია ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმში, რადგან, თუ გადაწყვეტილების მიღებაზე ვილაპარაკებთ, მაშინ იგი სათანადო მოტივაციის გარეშე არ შეიძლება მოხდეს, მოტივაცია ხომ გადაწყვეტილებას შინაარსს ადგენს. თვითონ მოტივი ადამიანის მაღალი პიროვნული მოთხოვნებისა და მათი დაკმაყოფილების სიტუაციის ურთიერთდამოკიდებულებიდან წარმოიშობა და არსებითად სუბიექტისთვის ამა თუ იმ ქცევის ღირებულების უპირატესობის გაცნობიერებას წარმოადგენს. მაგრამ მოტივი უშუალოდ მოქმედებაში ვერ გადავა სათანადო ფსიქოლოგიური აქტის, პიროვნების ქცევის საფუძველთა საფუძვლის — გადაწყვეტილების მოწიფებისა და მიღების გარეშე. თუ როგორ და საით წარმართავს თავის მოქმედებას პიროვნება კონკრეტულ სიტუაციაში, ეს უშუალოდ არის დამოკიდებული ამ მოქმედების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ხასიათზე და არა იმ მოტივებზე, რომლებიც მოქმედებისაგან უბიძგებენ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტში პიროვნების მამოძრავებელი მოტივების გამოკვლევა ხდება მხოლოდ და მხოლოდ მათი წარმოშობის წყაროს ვამოსამზებურებლად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის გასარკვევად, პირის მიერ ხელის აღება დაწყებულ დანაშა-

ულზე ნამდვილად ნებაყოფლობით მოხდა, თუ იგი იძულებული იყო მისგან დამოუკიდებელი გარემოებების ზეგავლენით გადაედგა ასეთი ნაბიჯი. ამიტომ გადაწყვეტი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება სუბიექტის იმ მამოძრავებელი ფსიქიკური მოტივების ზნეობრივი ხასიათის გამოკვლევასა და მათ მორალურ-პოლიტიკურ დახასიათებას, რომლებითაც ის ხელმძღვანელობდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, თუნდაც ეს შეფასება უარყოფითი იყოს. მოტივების როლის გადაჭარბებით შეფასება შეიცავს იმის ტენდენციას, რომ პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება გაიგივდეს მის მორალურ გასაკიცხაობასთან, აქედან კი შორს აღარ არის პიროვნების დასჯადობამდე მისი ზნეობრივი თუ სოციალურ-პოლიტიკური მრწამსისათვის, რაც უცხო და მიუღებელია საბჭოთა სისხლის სამართლისათვის. ლენინგრადელი კრიმინალისტის ნ. ვ. ლიასის აზრით, ყველა მოტივი, რომლებითაც სუბიექტი ხელმძღვანელობდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ერთნაირი მნიშვნელობისაა, რამდენადაც მათ მიიყვანეს პიროვნება თავისი ნებით დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებამდე, რაც მოცემულ მომენტში მოწმობს მასში დანაშაულებრივი განზრახვის არარსებობას და აღმოფხვრის მის საზოგადოებრივ საშიშროებას¹¹. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ნ. ვ. ლიასის ამ შეხედულებას.

სისხლის სამართალში შეიმჩნევა ერთგვარი მისწრაფება, რომ სისხლისსამართლებრივი მოვლენები, უმეტესად, აიხსნას და დადგინდეს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, იმ ობიექტური მონაცემებით, რომლებიც უფრო ნათელი და ხელშესახებია. გასაგებია, რომ ამ ტენდენციას რამდენადმე ძაინც განაპირობებს სუბიექტის ფსიქიკისა და აზრის სიღრმეში შეღწევის უდიდესი სიძნელე. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ზოგჯერ სრულიად აუხსნელია ადამიანის ამა თუ იმ ქცევაში ჩადებული აზრი და მისი განვითარების ლოგიკა, სადაც ძალზე ძნელია ჩასწვდეს იმ ნამდვილ ზრახვებს, რომლებიც სუბიექტს აიძულებდა ემოქმედა ასე და არა სხვაგვარად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა სისხლის სამართალმა არათუ უარყო ქმედობის სუბიექტური მხარე, არამედ, პირიქით, მას ერთ-ერთი გადაწყვეტი როლი დააკისრა. სუბიექტურ კრიტერიუმებს ობიექტური მხარის ტოლფარდი მნიშვნელობა მიენიჭა სისხლის სამართალში ისეთი უმნიშვნელოვანესი ცნებების აღიარებით, როგორიც არის ბრალი, დანაშაულებრივი ქმედობის მიზანი, მოტივი, პიროვნების ემოციური მდგომარეობა და ა. შ. თუ დანაშაულზე ხელის აღების ვითარებაში არ მივიღებდით მხედველობაში მისი ჩამდენი სუბიექტის ნებელობას, მისი ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმს, მის მთლიან პიროვნულ ხასიათს და მომავლისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულების შინაარსს, ეს ძალიან გაართულებდა პასუხისმგებლობის საკითხს იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაუზე იძულებული იყო შეეწყვიტა დანაშაული მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. ყველა შემთხვევაში, როცა კი საქმე გვაქვს დაუმთავრებელ დანაშაულთან, სახეზე არ არის ობიექტური მხარის რომელიმე აუცილებელი ნიშანი, ე. ი. ქმედობის ობიექტური მხარე არაა ბოლომდე განვითარებული. თუ ასეთ პირობებში არ ვიხელომძღვანელებთ ზემოაღნიშნული სუბიექტური კრიტერიუმებით და დავეყრდნობოდით მხოლოდ ობიექტურ ნიშნებს, შეუძლებელი გახდება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამაჯვნა დასჯადი მომზადებისა და მცდელობისაგან.

ამრიგად, დანაშაულის განვითარების გარკვეულ მომენტში სუბიექტი ნე-

¹¹ Советское уголовное право, М., 1977, стр. 251.

ბაყოფლობით ხელს იღებს ქმედობის ბოლომდე მიყვანაზე. ამის მიზეზია პიროვნების განწყობის შეცვლა, სახელდობრ, ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მიმართულია დაწყებული დანაშაულის წინააღმდეგ. ახალი გადაწყვეტილების აღმოცენებამ, მისმა განმტკიცებამ და სისრულეში მოყვანამ მოსპოვნიტოვებული დანაშაულის ხელახლა გაგრძელებისა და ბოლომდე მიყვანის რამდენადმე რეალური საფრთხე. მთლიანად ეს მოვლენა თვით პიროვნების გარდაქმნის მაჩვენებელიც არის. შეუძლებელია მხედველობაში არ მივიღოთ დ. უზნაძის მითითება: „თვით სიტყვა — გადაწყვეტა — იმაზე მიუთითებს, რომ ის წინარე მდგომარეობას წყვეტს და სრულიად ახალს იწყებს, რომელსაც ძველი მდგომარეობის აღარაფერი აქვს შერჩენილი“¹². პიროვნების საშიშროების მოხსნა დანაშაულზე ხელის აღებისას სწორედ მართლზომიერი ქცევის გადაწყვეტის ფაქტით არის განპირობებული. ამიტომ ჩვენ საფასვრით ვეთანხმებით ვ. დ. ფილიმონოვს, როდესაც წერს: „დანაშაული იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ რომელიმე მომენტში პირმა შეიძინა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, და დროთა მსვლელობაში შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც დანაშაული, როგორც კონკრეტული ნიშნებას განსაზღვრული ერთობლიობა, უწინდებურად განხილულ იქნება საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად, ხოლო პიროვნება ამა თუ იმ მიზეზით დაკარგავს თავის საშიშროებას“¹³.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ვითარებაში პიროვნება თავის ქცევას ხელმძღვანელობს არა ვარდნად თავს მოხვეული იქნელებით, არამედ საკუთარი ნებასურვილით, სრული შეგნებითა და საქმის არსის ცოდნით. იგი თვით არის „მიზეზი“ მთელ მის მოქმედებებში ცუდისაც და კარგისაც. მან ხომ თვითონ შექმნა დამოუკიდებლად თავის თავში განსაზღვრულ მოქმედებათა განწყობა. ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს იმის დაშვება, რომ პიროვნება, რომელიც საკითხს წყვეტს კეთილგონიერად (მართლზომიერი მოქმედების სასარგებლოდ), უკვე ის პიროვნება აღარაა, რომელიც წინათ „სხვაგვარად“ წყვეტდა იმავე საკითხს (დანაშაულის ჩადენის სასარგებლოდ). მან განიცადა აშკარა შემობრუნება „დამნაშავიდან“ მართლზომიერი ქცევის სუბიექტამდე. ზემოთ აღწერილი მდგომარეობა იმის მომასწავებელია, რომ პიროვნების შინაგანი ბუნება მართლაც დინამიკურია, მას აქვს უნარი უარყოფს წარსული და შეცვალოს ქცევის თავდაპირველი კურსი, შესძინოს თავის მოქმედებას ახალი, ძველის დაპირისპირებამდე მისული შინაარსი, რამაც სულ სხვაგვარად უნდა წარმართოს მისი მომავალი.

ამგვარად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას სუბიექტის ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ დროს ის ძირეულ ვარდატეხს განიცდის და სულ სხვანაირი ხდება, ვიდრე იყო მაშინ, როცა დანაშაულის გზას დაადგა სახელდობრ, ისპობა მისი პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება. ეს კი უთუოდ მნიშვნელოვანი საფუძველია იმისათვის, რომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს სუბიექტი, რომელმაც ნებაყოფლობით აღდო ხელი დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე.

¹² დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940. გვ. 155.

¹³ В. Д. Филимонов, *Общественная опасность личности преступника*, Томск, 1970, стр. 36.

ბინის უძველესი და მისი საკანონმდებლო ნაწილი სკანდინავიის გზები¹

პ. მონიავა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი

საცხოვრებელი ბინა უმთავრესი მატერიალური სიკეთეა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის არსებობის ნორმალურ პირობებს, განამტკიცებს ოჯახს, წარმოადგენს მოზარდი თაობის სწორად აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის. ამისი გამოხატულებაა ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება მშრომელთა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად. ჩვენს ქვეყანაში წარმოებს გიგანტური საბინაო მშენებლობა. გასულ, მეცხრე ხუთწლეულში (1971—1975) აშენდა 11 მილიონი ბინა და ინდივიდუალური სახლი 554 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობით, რამაც საშუალება მისცა 56 მილიონამდე მოქალაქეს ვაეუჭვობეს ბინა საბინაო პირობები².

მიმდინარე ხუთწლეულს პირველ სამ წელიწადში უკვე აშენდა 323 მლნ კვ მეტრი საცხოვრებელი ფართობი და 32 მილიონმა კაცმა იხეიმა ახალმოსახლეობა. 1978 წელს საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილია 17,5 მილიარდი მანეთი, რაც საკმარისია კიდევ 112,3 მლნ კვ. მ. საცხოვრებელი ფართობის ასაშენებლად. და ეს მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის საქალაქო საბინაო ფონდი მთელ ქვეყანაში შეადგენდა 180 მლნ კვ მეტრ ფართობს. მსხვილ ქალაქებში ჰუშის ოჯახის ერთ სულზე საშუალოდ მოდიოდა 2—2,5 კვადრატული მეტრი ფართობი, ქალაქ მოსკოვში სარდაფებსა და ნახევრად სარდაფებში ცხოვრობდა 325 ათასი კაცი³.

საბინაო მშენებლობაში წინ გადადგმულმა ნაბიჯებმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ მიღწეული ასახულიყო სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, და მართლაც, კონსტიტუციის 44-ე მუხლმა საბჭოთა მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს შორის მოიხსენია ბინის უფლებაც.

1 პ. მონიავას ამ ნაშრომმა გაიმარჯვა საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგებში 1977-1978 სასწავლო წლის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების საკავშირო კონკურსში. ივტორი საკავშირო ლაურეატი გახდა და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დიპლომი გადაეცა მის მეცნიერ-ხელმძღვანელს პროფ. შ. ჩიკვაშვილს.

2 სკკპ XXV ყრილობის მასალები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976 წ., გვ. 166.

3პ. 166.

3 См. Масленников Г., Пятьдесят созидательных лет — «Строительная газета», 1977 г., 13 августа.

მართალია ახალმა კონსტიტუციამ აღიარა საბჭოთა მოქალაქის ბინის უფლება, მაგრამ ამ უფლების სამართლებრივი ბუნების თაობაზე იურიდიულ ლიტერატურაში არ არის შეხედულებათა ერთიანობა.

ავტორთა ერთი ჯგუფის აზრით ბინის უფლება გაგებულ იქნა იქნეს, როგორც სუბიექტური უფლება, ამ პოზიციას იცავენ ი. პ. პროკოპჩენკო⁴, ვ. ვ. მასლოვი⁵ და სხვები.

ავტორთა მეორე ჯგუფი ვ. ნ. ლიტოვიჩინი⁶ და შ. დ. ჩიკვაშვილი⁷ ბინის უფლებას მიიჩნევენ, როგორც უფლებაუნარიანობის ელემენტს.

პირველი ჯგუფის შეხედულება ყველაზე ნათლად არის წარმოდგენილი ი. პ. პროკოპჩენკოს საღოქტორო დისერტაციაში, რომელიც ეძღვნება სსრკ-ში საბინაო კანონმდებლობის პრობლემებს. უფლებაუნარიანობისა და სუბიექტური უფლების ცნებები ერთმანეთის მიმართ „შესაძლებლობისა და სინამდვილის დამოკიდებულებაშია“, — წერს ი. პ. პროკოპჩენკო. „უფლებაუნარიანობა ნიშნავს უფლების მოპოვების ზოგად შესაძლებლობას, სუბიექტური უფლება კი პირადი უფლებაა, რომელიც მეორე სუბიექტს (ამ შემთხვევაში საცხოვრებელი ფართობის განაწილების უფლებით აღჭურვილ მმართველობის ორგანოს) ავალდებულებს გარკვეული მოქმედების შესრულებას“. ამასთან მისი აზრით საბინაო უფლების დარღვევა სასამართლო წესით უნდა იქნეს დაცული (რადგანაც ის სუბიექტური უფლებაა) და არა დაცვის იმ არა სასამართლო საშუალებებით, რომლებიც ჩვეულებრივად უფლებაუნარიანობის დარღვევის დროს გამოიყენება.

ცოტა უფრო ქვემოთ პროკოპჩენკო წერს, რომ მას შემდეგ, რაც ბინის საჭიროების მქონე მოქალაქეს ავიყვანთ საბინაო აღრიცხვაზე, ბინის სუბიექტური უფლება იცხება დამატებითი საფუძვლებათა და იურიდიული ფაქტებით, რაც ამ უფლებას უფრო რეალურს ხდის. ასეთ ფაქტებად მას მიაჩნია ხელშეკრულების დადება და მოქალაქის ფაქტობრივი შესახლება საცხოვრებელ სადგომში⁸.

ძნელია ამას დავეთამხმთ, რამდენადაც ბინის კონსტიტუციური უფლება ზოგადი უფლებაა და მისი ძირითადი დანიშნულება ის არის, რომ ბინით უზრუნველყოფილი იქნან მოქალაქენი, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, ანდა ცხოვრობენ დადგენილი საბინაო სანიტარიული წესებისა და შეუსაბამო, საცხოვრებლად უვარგის სადგომებში (სარდაფებში, ნახევ-

⁴ Прокопченко И. П. Проблемы жилищного законодательства в СССР. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук, М., 1978, стр. 15.

⁵ Маслов В. Ф. Защита жилищных прав граждан, Харьков, издательство Харьковского университета, 1970 г. стр. 19.

⁶ Литовкин В. Н. Правовые вопросы предоставления жилых помещений. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 1974, стр. 5.

⁷ შ. დ. ჩიკვაშვილი. ბინის უფლების კონსტიტუციური გარანტიები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1979 წ., გვ. 8-9.

⁸ См. Прокопченко И. П. Проблемы жилищного законодательства в СССР. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук, М., 1978 г., стр. 15.

რად სარდაფებში, ბარაკებში, ძველ სახლებში). ამიტომ ბინის უფლება აქვს მხოლოდ იმ მოქალაქეს, რომელიც საჭიროებს მას⁹. ამასთან არასწორი იქნებოდა სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბინის უფლება გაგვევლო, როგორც მოქალაქის უფლება ნებისმიერ დროსა და ყველა შემთხვევაში, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მთითხოვოს სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან საცხოვრებელი ბინა.

კ. ი. ლიტოვკინის აზრით კანონი განამტკიცებს მოქალაქეთა ბინის უფლებას, როგორც სამოქალაქო უფლებათა უზღვევლობის ერთ-ერთ ელემენტს¹⁰. მართლაც, ბინის უფლება შრომის უფლების მსგავსად არის უფლებათა უზღვევლობის ელემენტი, ე. ი. წარმოადგენს იმის საშუალებას, რომ მოქალაქე დაკმაყოფილდეს ბინით, მაგრამ ეს უფლება, რომ ბინის სუბიექტურ უფლებად გადაიქცეს, საჭიროა ისეთი იურიდიული ფაქტების დადგომა, რომლებსაც კანონი სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას დაუკავშირებს (ამის საჭიროებას თვით პროკოპჩენკოც აღიარებს, მაგრამ ისინი მიაჩნია ისეთ დამატებით საფუძვლად, რომელიც ამ სუბიექტურ უფლებას უფრო რეალურს გახდის. ისმის კითხვა: თუკი ეს უფლება ყველა შემთხვევისათვის და ნებისმიერი დროისათვის არ არის რეალური, მაშინ როგორ შეიძლება ის სუბიექტური უფლება იყოს. სუბიექტური უფლება ხომ ნიშნავს, რომ ერთი სუბიექტის უფლებას მეორის მოვალეობა შეესაბამებოდეს)¹¹.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა საბინაო ფონდისათვის საჭიროა სხვადასხვა იურიდიული ფაქტის არსებობა. წინამდებარე სტატიში შევჩერდებით მხოლოდ იმ იურიდიულ ფაქტებზე, რომლებიც საბინაო სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობენ სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბინაო ფონდის ბინებში.

ამ ფონდის ბინებში საბინაო სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ფაქტებს განეკუთვნება: მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანა. — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში მოქალაქეთა საბინაო აღრიცხვაზე აყვანა წარმოებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ 1964 წლის 31 ივლისს მოწონებული, „სავარაუდო წესების“ მიხედვით. ამ წესების შესაბამისად, მსხვილ ქალაქებში მოქმედებს საცხოვრებელი სადგომების განაწილების დებულება — ინსტრუქციები, რომლებიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს. მაგალითად, ქ. თბილისში ამჟამად მოქმედებს საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1976 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება. „ქ. თბილისში საცხოვრებელი ფართობის განაწილების შესახებ“, რაც შეთანხმებულია პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ საბჭოსთან.

⁹ იხ. შ. დ. ჩეკაველი. ბინის უფლების კონსტიტუციური გარანტიები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1978 წ., გვ. 8-9.

¹⁰ См. Литовкин В. Н. регулирование учета граждан нуждающихся в жилье и распределения жилой площади. Тезисы докладов и научных сообщений. Состояние и задачи дальнейшего развития научных исследований в области жилищного законодательства в СССР, М., 1971, стр. 26—27.

¹¹ Прокопченко И. П. Проблемы жилищного законодательства в СССР. Автореферат на соискание ученой степени доктора юридических наук. Москва, 1978 г., стр. 15.

ზემოთ დასახელებული „სავარაუდო წესებისა“ და გადაწყვეტილების თანახმად ყველა მოქალაქე, რომელსაც ბინა ესაჭიროება, აღრიცხვაზე არ აიყვანება, ამისთვის საჭიროა: ა) აღნიშნული პირის მოცემულ პუნქტში მუდმივად ცხოვრების ფაქტი, და ბ) მას უნდა ესაჭიროებოდეს საბინაო პირობების გაუმჯობესება.

ქ. თბილისში აღრიცხვაზე აიყვანებიან მოქალაქენი, რომლებიც მუდმივად არიან ჩაწერილნი თბილისში, აქვთ აქ ცხოვრების 7 წლის სტაჟი და უჭირავთ არა უმეტეს 4 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობისა ოჯახის თითოეულ წევრზე¹², ან, თუ საცხოვრებელი ბინის ოთახების რაოდენობას აღმატება ამ ბინაში მცხოვრები ოჯახების რაოდენობა, აღრიცხვაზე აპყავთ ამ ოჯახებიდან ერთ-ერთი.

აღრიცხვაზე აყვანის შესახებ მოქალაქეთა განცხადებებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განიხილავენ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო კომისიები, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შეადგენს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების კომპეტენციას.

რაც შეეხება აღრიცხვაზე აყვანას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აქ განსხვავებული წესია: განცხადებას აღრიცხვაზე აყვანის შესახებ განიხილავენ პროფკავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიები და მას ამტკიცებენ აღმინისტრაციისა და პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაც შემდეგში უნდა დაამტკიცოს შესაბამისი რაისაბჭოს აღმასკომმა.

საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად, ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი საცხოვრებელი ბინის დასაკავებლად მოქალაქეს აძლევს ორდერს, რაც თავის მხრივ საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების დადების საფუძველია.

როგორც ვხედავთ იმისათვის, რომ მოქალაქეს წარმოეშვას საბინაო უფლება, საჭირო ყოფილა იურიდიული ფაქტების კომპლექსის არსებობა. ეს ფაქტებია: 1) ბინის მიცემისათვის აღრიცხვაზე აყვანა, 2) აღმასკომის გადაწყვეტილება ბინის გაცემის შესახებ (საუწყებო ბინის მიმართ ერთობლივი გადაწყვეტილება), 3) ორდერის გაცემა და 4) ქირავნობის ხელშეკრულება. ამასთან მოქალაქემ ბინა რომ მიიღოს, საჭიროა კიდევ ერთი პირობა. კერძოდ, საბინაო აღრიცხვაზე ასაყვანად აუცილებელია პირი მოცემულ დასახლებულ პუნქტში მუდმივად ცხოვრობდეს 7 წლის მანძილზე. თუ გავიზიარებთ ი. პ. პროკოპჩენკოს და მის თანამოაზრეთა შეხედულებას ბინის უფლების სუბიექტურ უფლებად მიჩნევის შესახებ, მაშინ ბინით დასაკმაყოფილებელი მოქალაქის უფლება და მმართველობის იმ ორგანოების მოვალეობები, რომლებიც აღჭურვილნი არიან საცხოვრებელი ფართობის განაწილების უფლებით, ერთდროული უნდა იყოს, ე. ი. როგორც კი მოქალაქეს გაუჩნდება საცხოვრებელი ფართობის საჭიროება, იგი შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ მაშინვე უნდა უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართობით. ცხადია, ასეთი დროც დადგება, მაგრამ

¹² გამონაკლისი წარმოადგენენ თბილისელები, რომლებიც ჩაწერილნი არიან მუდმივად და ცხოვრობენ თბილისში, არა ნაკლებ 25 წლისა. ისინი აღრიცხვაზე აპყავთ იმ შემთხვევაში თუ ოჯახის თითოეულ წევრს 3 კვადრატულ მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი უკავია (ი. პ. თბილისში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების წესის მე-15 მუხლი).

დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მატერიალური საფუძველი იმისა, რომ საზოგადოებრივი სიკეთე განაწილდეს პრინციპით „თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით“. ამიტომ არის, რომ თუმცა მოქალაქეს სჭირდება საცხოვრებელი ფართობი, მაგრამ მას ვთხოვთ თავის მოქმედება შეუსაბამოს კანონის მოთხოვნილებას, ურომლისოდაც იგი თავის უფლებას რეალურ უფლებად ვერ აქცევს.

ვერ დავეთანხმებით ი. ვ. პროკოპჩენკოს მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ მოქალაქეთა ბინის უფლება დაცულ იქნეს არა ადმინისტრაციული, არამედ სასამართლო წესით, რამდენადაც ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის უარი ბინის მიცემის თაობაზე ადმინისტრაციული აქტია და განიხილება მხოლოდ ქვემდებარების წესით და არა სასამართლოს მიერ. სასამართლომ რომ ბინის უფლების დრღვევა განიხილოს, საჭიროა იყოს ბინის მიღების საფუძველი. მაგალითად, თუკი საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის თანახმად, დამკირავებელი გაასახლეს ბინიდან სახლის აღებასთან დაკავშირებით, და იმ კომპეტენტურმა ორგანომ, რომელსაც გამოსახლებული მოქალაქისათვის უნდა მიეცა სხვა ბინა და არ მისცა ან მისცა, მაგრამ იმ მოთხოვნათა დარღვევით, რომლებსაც სამოქალაქო კოდექსის 324 მუხლის II ნაწილი ითვალისწინებს, მაშინ ბინის უფლების დარღვევის ფაქტს სასამართლო განიხილავს. ყველა სხვა შემთხვევაში, თუ მოქალაქეს უარი უთხრეს ბინის მიცემაზე, მან ეს უნდა გაასაჩივროს მმართველობის ზემდგომ ორგანოში და არა სასამართლოში, ვინაიდან ასეთი დავა სასამართლოს არ ექვემდებარება. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონსტიტუციით აღიარებული ბინის უფლება არის უფლებაუნარიანობის ელემენტი და იგი არ შეიძლება სუბიექტურ უფლებად მივიჩნიოთ.

დღესდღეობით მოქალაქეთა ბინით უზრუნველყოფისა და საცხოვრებელი სარგებლობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების მოწესრიგება ხდება სხვადასხვა ინსტრუქციებით, დებულებებით, სამინისტროებისა და უწყებების კანონქვემდებარე აქტებით, რაც არ შეესაბამება საბინაო ურთიერთობის კანონით განმტკიცების ამოცანას. საჭიროა ამ სფეროში მკვეთრად ამაღლდეს კანონის როლი. ეს ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებიდან გამომდინარეობს. დღეს, აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევა, უკვე მომწიფდა საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კოდექსების მიღების აუცილებლობა¹³.

ამასთან საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შექმნა სასურველ შედეგს მხოლოდ მაშინ მოგვცემს თუ მოიძებნება ამ მრავალმხრივი პრობლემის გადაწყვეტის გზები. პროფ. ი. ვ. ტოლსტოი მართაოდენ ჩამოთვლის ამ პრობლემებს და არ მიუთითებს, თუ რა არის საჭირო მათ გადასაწყვეტად¹⁴.

ჩვენი მიზანია წამოვაყენოთ კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდა საბინაო კანონმდებლობის სრულყოფას. ცხადია, ყველა პრობლემას

¹³ Л. И. Брежнев. О проекте Конституции СССР и итогах его всенародного обсуждения. Политиздат. 1977 г., стр. 29.

¹⁴ Ю. Толстой. Конституция СССР и проблемы гражданского права. Правоведение, 1979 г., № 5, стр. 65.

ერთ სტატიაში ვერ განვიხილავთ. შევეცხებით მხოლოდ ერთს, კერძოდ, დროებით სხვაგან წასულ პირთათვის ბინის უფლების შენარჩუნების საკითხს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300-ე მუხლი აწესრიგებს საბინაო ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრის დროებით სხვაგან გადასვლას შემთხვევაში.

თუ დამქირავებელი, მისი ოჯახის წევრი ან ყველანი ერთად დროებით სხვაგან იმყოფებიან, საცხოვრებლით სარგებლობის უფლება მათ ენახებათ ექვსი თვის მანძილზე¹⁵.

ამასთან ერთად მოქმედი კანონმდებლობა იცნობს რიგ შემთხვევებს, როდესაც პირი, რომელიც ექვს თვეზე მეტი ხნის მანძილზე არ ცხოვრობს თავის ბინაში, მას ფართობის უფლება მაინც არ ეკარგება¹⁶. ვადის გაგრძელება შეუძლია გამქირავებელს, ვადის შემთხვევაში კი სასამართლოს თუ რა შეიძლება იყოს საპატიო მიზეზები, კანონში ჩამოთვლილი არ არის, ეს საშუალებას აძლევს გამქირავებელსა და სასამართლოს თავის შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ საკითხი, საპატიოა თუ არა გამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრების მიერ დასახელებული მიზეზი.

საცხოვრებლით სარგებლობის უფლება დამქირავებელს ან შესაბამისად მისი ოჯახის წევრებს ენახებათ აგრეთვე შემდეგ შემთხვევებში: ვადიან სამხედრო სამსახურში ყოფნის განმავლობაში, მუშაობის პირობებისა და ხასიათის გამო, ან სწავლისათვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დროებით წასვლისას — მუშაობის ან სწავლის განმავლობაში. სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში ნათესავებისათვის ან მეურვისათვის აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვებს — ამ დაწესებულებაში ნათესავთან ან მეურვესთან ყოფნის განმავლობაში თუ საცხოვრებელში, საიდანაც ბავშვი წავიდა, მისი ოჯახის წევრები დარჩნენ და ცხოვრობენ. თუ ბინაში, საიდანაც ბავშვი წავიდა, არ დარჩენილან საცხოვრებლად მისი ოჯახის წევრები და ბინა სხვა მოქალაქეს მიეცა, მაშინ სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში ბავშვის ყოფნის ვადის დასრულების შემდეგ აღმასკომმა იგი უნდა უზრუნველყოს საცხოვრებლით.

პრაქტიკაში მე-300-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენებამ წამოჭრა მრავალი საკითხი. კერძოდ: ენახებათ თუ არა საცხოვრებელი ფართობი ნათესავისათვის ან მეურვისათვის აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვებს, თუ ბინაში, საიდანაც ბავშვი წავიდა, არ დარჩენილა საცხოვრებლად მისი ოჯახის წევრი? — ამ საკითხის ირგვლივ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა. ი. კ. ტოლსტოის აზრით, კანონი აღმასრულებელ კომიტეტს ავალდებულებს საცხოვრებელი ფართობით მხოლოდ ის ბავშვები უზრუნველყოს, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, რაც შეეხებათ ნათესავისათვის ან მეურვისათვის აღსაზრდელად მიცემულ ბავშვებს, მათ კანონით ენახებათ წინანდელი საცხოვრებელი ფართობი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში¹⁷.

¹⁵ См. Бюллетень Верховного Суда СССР, 1970, № 4, стр. 26—27.

¹⁶ ექვსთვიანი ვადის გავლა ავტომატურად არ უკარავს მოქალაქეს ფართობის უფლებას. ამ ვადის გავლა, მხოლოდ საფუძველია, რომ საბინაო სამართლებლო წარადგინოს სარჩელი სასამართლოში, რაც შეეხება ბინის უფლების დაკარგულად ცნობას, ეს მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა.

¹⁷ См. Ю. К. Толстой. Советское жилищное законодательство, ЛГУ, 1974, стр. 149—150.

ანალოგიური პოზიცია უჭირავს ი. პ. პროკოპჩენკოს¹⁸. საწინააღმდეგო თვალსაზრისს ადგანან თ. ს. იოფე¹⁹, ი. გ. ბასინი²⁰ და ა. ი. კაბალკინი²¹. მათი აზრით, ნათესავის ან მეურვისათვის აღსაზრდელად მიცემულ ბავშვებს წინანდელი საცხოვრებელი ფართობის სანაცვლოს გადასცემს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი.

სამოქალაქო კოდექსის მე-300-ე მუხლის მე-3 პუნქტის ანალიზს კი იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ არც ერთი ეს შეხედულება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, სადაც პირდაპირ მითითებულია, რომ თუკი ბავშვი აღსაზრდელად იმყოფება ნათესავთან ან მეურვესთან და ის საცხოვრებელი, საიდანაც წაიყვანეს ბავშვი, გადაეცა სხვა მოქალაქეს, მაშინ იგი კარგავს უფლებას წინანდელ ბინაზე.

დამუშავების პროცესში მყოფმა სსრ კავშირში საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვის შესახებ კანონის პროექტის 57-ე მუხლმა გაასწორა გაუგებრობა, რომელიც სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300-ე მუხლის მე-3 ნაწილში შეიჩმნეოდა და გაითვალისწინა ერთიანი წესი სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, მეურვეების და ნათესავებისათვის აღსაზრდელად გადაცემული ბავშვებისათვის. სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, ნათესავთან ან მეურვესთან (მზრუნველთან) ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ მათ უნდა დაუბრუნდეთ წინანდელი საცხოვრებელი ფართობი, ან მიეცეთ სხვა კეთილმოწყობილი ბინა. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით სასურველია ბავშვები ბინით უზრუნველყოს ბავშვის წინანდელი საცხოვრებელი ადგილის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთნაირად არ არის გაგებელი, თუ როდის და რა წესით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართობით სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, მეურვის ან ნათესავისათვის აღსაზრდელად მიცემული ბავშვები.

ავტორთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ არასრულწლოვანს, რომელმაც დაამთავრა სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში ყოფნის ვადა, საცხოვრებელი ფართობი გადაეცემა ურიგოდ²², მეორენი ამტკიცებენ, რომ ფართობი მიეცემა — პირველ რიგში²³, ხოლო, რაც შეეხება ავტორთა მესამე ჯგუფს, მათი აზრით, საცხოვრებელი ფართობი გადაეცემათ ბავშვებს იმ ასაკში, როდესაც ისინი გამოდიან სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებიდან და იწყებენ დამოუკიდებ-

¹⁸ См. И. П. Прокопченко. Управление и пользование жилищным фондом в СССР. Изд. Литературы по строительству. 1970, стр. 256.

¹⁹ О. С. Иоффе, Обязательственное право, «Юридическая литература», 1975, стр. 337.

²⁰ Ю. Г. Басин, И. И. Попов, О жилищных правах советских граждан. Изд. Казахстан, 1966, стр. 113.

²¹ А. Ю. Кабалкин. Жилищное законодательство в СССР. Изд. «Знание», 1970, стр. 40.

²² См. Жилищное законодательство. Издательство Политической литературы. Киев, 1975, стр. 246, Ю. К. Толстой. Советское жилищное законодательство ЛГУ, 1974, стр. 149.

²³ А. И. Пергамент. Договор найма жилого помещения «Правоведение», 1972, № 4, стр. 50 и И. П. Прокопченко, Управление и пользование жилищным фондом в СССР. Издательство литературы по строительству. 1970, стр. 258.

ბელ ცხოვრებას²⁴. ჩვენი აზრით კი არც ერთი ზემოთ დასახელებული მტკიცება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან.

იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს არასრულწლოვანის საბინაო უფლებების დაცვა, მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300-ე მუხლი შეიცავდეს შემდეგ მითითებას: საცხოვრებელ ფართობს არასრულწლოვანს გადასცემს აღმასრულებელი კომიტეტი წინანდელ საცხოვრებელ ადგილას სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებიდან, ნათესავის ან მეურვის საცხოვრებელი ბინიდან მისი გასვლის მომენტისათვის.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დამქირავებლებსა და მისი ოჯახის წევრებს საცხოვრებლით სარგებლობის უფლება ენახებათ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის მთელ მანძილზე — ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად არის აღნიშნული სამკურნალო დაწესებულება.

ასეთ ვითარებაში საცხოვრებელი ბინის შენარჩუნების საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, სამკურნალო დაწესებულებანი და მეორე მხრივ, ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები.

სამკურნალო დაწესებულება შედის ჯანმრთელობის დაცვის ან სხვა სამინისტროს სამედიცინო-სანიტარული სამსახურის სისტემაში, ხოლო ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები ეკუთვნის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს. ამ გამიჯვნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს უკანასკნელი არ ითვლებიან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-300-ე მუხლის მე-4 პუნქტში დასახელებულ სამკურნალო დაწესებულებებად და იქ მოთავსებულ პირებს წინანდელი საცხოვრებელი ფართობი არ ენახებათ სახლ-ინტერნატში გამგზავრების დღიდან. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული მოქალაქენი გადადიან სრულ სახელმწიფო კმყოფაზე, ამასთან მუდმივ საცხოვრებლად ეძლევათ ფართობი აღნიშნულ სახლებში. მართალია, მოხუცებულებიცა და ინვალიდებიც უმრავლეს შემთხვევაში თავიანთი სურვილით მიდიან ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში. მაგრამ ზოგჯერ ხდება, რომ ისინი ვერ ეგუებიან ახალ ვითარებას, ან კიდევ ინვალიდთა ჯანმრთელობა იმდენად უმჯობესდება, რომ მათ უკვე შეუძლიათ იცხოვრონ დამოუკიდებლად და სურთ დაუბრუნდნენ წინანდელ საცხოვრებელს. ამის საშუალება კი მათ მოქმედი კანონმდებლობით არ ეძლევათ, რადგან საცხოვრებელი ფართობის უფლებას ისინი მოიპოვებენ მხოლოდ საერთო საფუძველზე. სასურველია ახალ კანონმდებლობას გაეთვალისწინებინა ამ პირებისათვის სახლ-ინტერნატებში მისვლის დღიდან ექვსი თვის მანძილზე საცხოვრებელი ფართობის შენახვის უფლება. ექვსთვიანი ვადის დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს მოხუცებულთა და ინვალიდთა დენადობა აღნიშნული სახლებიდან, მაგრამ, ჩვენი აზრით, ვინაიდან საქმე გვაქვს უმწიფო ადამიანებთან, ამ ვადის დაწესება მორალური თვალსაზრისით საცხებიტ გამართლებული იქნება.

განსაკუთრებული შემთხვევაა, როდესაც დამქირავებელი ფაქტობრივად არ იმყოფება თავის წინანდელ საცხოვრებელ ადგილას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის გამო. დაპატიმრებულს საცხოვრებელი ენახება მისი

²⁴ В. Ф. Маслов. Защита жилищных прав граждан, изд. Харьковского университета, 1970, стр. 129—130.

საქმის გამოძიების ან სასამართლოში მისი ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსები სხვადასხვაგვარად წყვეტენ ბინით სარგებლობის საკითხს იმ შემთხვევაში, როდესაც დაშორებული ან მისი ოჯახის წევრი დაპატიმრებულია და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება ან გასახლება.

საქართველოს სსრ, რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების მიხედვით, თუ დაშორებული ან მისი ოჯახის წევრი დაპატიმრებულია და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება ან გასახლება ექვს თვეზე მეტი ხნით და ბინაში საცხოვრებლად მსჯავრდადებულის ოჯახის წევრები არ დარჩენილან, იგი კარგავს წინანდელი საცხოვრებელი ფართობის უფლებას და ბინის ქირავნობის ხელშეკრულება ითვლება მოშლილად განაჩენის აღსრულების მომენტიდან. ლიტვიის, ყაზახეთისა და უზბეკეთის სს რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები სხვაგვარად წყვეტს აღნიშნულ საკითხს — ბინის ქირავნობის ხელშეკრულება მოშლილად ითვლება მსჯავრდადებულ პირთათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა ვადით შეეფარდათ მათ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება ან გასახლება. სწორედ ასეთი წინააღმდეგობის შედეგია ის გაუგებრობა, რასაც ვხვდებით იურიდიულ ლიტერატურაში, სახელდობრ, გაურკვეველია, თუ როდის კარგავს მსჯავრდადებული საცხოვრებელი ფართობის უფლებას — განაჩენის აღსრულების მომენტიდან თუ განაჩენის აღსრულების მომენტიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ²⁵.

საკავშირო საბინაო კანონმდებლობის პროექტის 57-ე მუხლის მიხედვით პირი, რომელიც მსჯავრდადებულია თავისუფლებას აღკვეთით, გასახლებით ან გადასახლებით, საცხოვრებელი ფართობის უფლებას ინარჩუნებს განაჩენის აღსრულების მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში.

ჩვენი აზრით, სასურველია კანონმდებლობის პროექტში გაზიარებულ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან იქ საკმაოდ კარგად ჩანს, რომ თუ პირი მსჯავრდადებულია ექვს თვეზე მეტი ხნის ვადით, მხოლოდ მაშინ კარგავს საცხოვრებელი ფართობის უფლებას და კარგავს არა იმის გამო, რომ მსჯავრდადებულია, არამედ იმისათვის, რომ დაარღვია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300-ე მუხლის მოთხოვნები აღნიშნულ საცხოვრებელ ფართობზე ცხოვრების წესებთან დაკავშირებით, კერძოდ მსჯავრდადებულს ესპობა საშუალება თავის საცხოვრებელ ფართობს დაუბრუნდეს ექვსთვიანი ვადის განმავლობაში, ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება ან გასახლება აქვს შეფარდებული ექვს თვეზე მეტი ხნის ვადით. ცხადია, სასჯელის ეს სახეობანი მას საპატიო მიზეზად ვერ ჩაეთვლება და საცხოვრებელი ფართობიც არ შეენახება იმ საფუძველზე, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300-ე მუხლი. მეორე მიზეზი პროექტის 57-ე მუხლისადმი ჩვენი კრიტიკული

²⁵ См. М. Казанцев, Ю. К. Толстой, Проблемы совершенствования жилищного законодательства и практики его применения. «Социалистическая законность», 1978 г., № 4, стр. 53.

დამოკიდებულებისა ის არის, რომ მასში არ ჩანს მითითება, თუ რა ვადით უნდა შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება ან გასახლება დაპატიმრებულ დამპირავებელს ან მისი ოჯახის წევრს, რომ მან წინანდელი საცხოვრებელი ფართობის უფლება დაკარგოს. პროექტიდან ჩანს, მხოლოდ, ის, რომ სასჯელი ექვესი თვის ფარგლებში უნდა იყოს²⁶, მაგრამ აქვე წამოიჭრება საკითხი: ვთქვათ, ზემოთ დასახელებული სასჯელის სახეობიდან ერთ-ერთი შეეფარდა დაპატიმრებულ პირს — სამი წლის ვადით და სანამ განაჩენის აღსრულების მომენტიდან ექვესთვიანი ვადა გავიდოდა, ეს უკანასკნელი განთავისუფლდა ამნისტიის ან შეწყალების საფუძველზე — ენახება თუ არა მას ბინა, თუ მისი ოჯახის წევრები ამ ბინაში საცხოვრებლად არ დარჩენილან? ჩვენი აზრით, მუხლის შინაარსი ამის შესაძლებლობას იძლევა, რაც, ცხადია, ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ქმნის მთელ რიგ უზერხულობებს ამ მუხლის გამოყენებისას. ჯერ ერთი, დამპირავებელს (ან მისი ოჯახის წევრს) ჩადენილი აქვს დანაშაული, რომლისთვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება ან გასახლება ექვეს თვეზე მეტი ხნის ვადით, იგულისხმება, რომ იგი ამ პერიოდში, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ვერ იცხოვრებს იქ, რისთვისაც კანონით კარგავს კიდევაც ამ უფლებას. მართალია, ჩვენი სახელმწიფოს პუმანურობიდან გამომდინარე მსჯავრდადებულ პირთა ამნისტირებისა და შეწყალების შემთხვევები ხშირია, მაგრამ რატომ უნდა ველოდოთ მას მაშინ, როცა მიუხედავად საბინაო მშენებლობის გიგანტური მასშტაბებისა ჯერ კიდევ მრავალი საბჭოთა მოქალაქე განიცდის ბინის ნაკლებობას. ეს მუხლი კი არ იძლევა საშუალებას დაკარგულად ვცნოთ 3-5 წლით მსჯავრდებულ პირთა ბინის უფლება განაჩენის აღსრულების მომენტიდან ექვესი თვის განმავლობაში.

მეორეც, გაუგებარია გამოთქმა „ექვესი თვის განმავლობაში“, რადგანაც არ ჩანს, თუ, სახელდობრ, როდის კარგავს მსჯავრდადებულ ბინის უფლებას განაჩენის აღსრულების მომენტიდან ერთი, ორი... თუ ხუთი თვენახევრის გასვლის შემდეგ. ყოველივე ამას კი შეუძლია გამოიწვიოს ამ ნორმის გამოყენებისას გარკვეული გაუგებრობა, კერძოდ პირები, რომლებსაც შეფარდებული აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება ან გასახლება ექვეს თვეზე მეტი ხნის ვადით და განთავისუფლდნენ ამნისტიისა და შეწყალების საფუძველზე, რეაბილიტირებულთა მსგავსად, მოითხოვენ ვცნოთ მათი წინანდელი საცხოვრებელი ფართობის უფლება, და ეს მაშინ, როცა მათი ბინით დაკმაყოფილება ხდება საერთო საფუძველზე²⁷. რაც შეეხებათ იმ მსჯავრდადებულებს, რომელთა ბინებში საცხოვრებლად დარჩნენ მისი ოჯახის წევრები, აღნიშნულ ბინაში მათი შემდგომი ცხოვრების საკითხი წყდება ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით²⁸.

მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში იმავე ბინაში მცხოვრები არასრულწლოვანის უფლებები და კანონიერი ინტერესები უგულვებელყოფილია, ვინაიდან შესაძლებელია მსჯავრდადებულის ჩასახლებით შეილახოს არასრულწლოვანის ინტერესები, გარეგნულად კი ეს არ ჩანდეს, სასურველი იქნება, ახალმა კანონმდებლობამ გაითვალისწინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების

²⁶ იგულისხმება, რომ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში ყოფნის ვადას არ დაუფარავს სასჯელის ხანგრძლივობა.

²⁷ См. Чивашвили Ш. Д. Личные и имущественные правоотношения в жилищных кооперативах, М., 1973 г., стр. 60—62.

²⁸ См. Лисниченко Т. Н. Советское жилищное право, Киев, 1979, стр. 269.

მონაწილეობა იმ შემთხვევაში, როდესაც სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდადებულის წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების საკითხი დგება. ამ ორგანოებმა ძირფესვიანად უნდა შეისწავლონ არასრულწლოვანისა და მსჯავრდადებულის დამოკიდებულების საკითხი და, თუ შესაძლებლად მიიჩნევენ, არასრულწლოვანთა სახელით თანხმობას განაცხადებენ თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების ან გასახლების ადგილიდან დაბრუნებულ პირთა წინანდელ სადგომში ჩასახლებაზე.

ეს წინადადება გამომდინარეობს კანონმდებლობიდან. კერძოდ, არასრულწლოვანი, რომელიც ცხოვრობს საცხოვრებელ ფართობზე, აქვს სამოქალაქო უფლებები (მათ შორის თავის საცხოვრებელ ფართობზეც — საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლი). თუ არ გავითვალისწინებთ წამოყენებულ წინადადებას, გამოდის, რომ არასრულწლოვანს ბინის უფლებას ვაძლევთ, ფართობის განაწილებისას ვითვალისწინებთ, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას კი, როცა მისი კანონიერი ინტერესების ბედი წყდება, მას არაფერს ვეკითხებით, ე. ი. მე-9, მე-300-ე და 309-ე მუხლების მოთხოვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რაც კანონმდებლობის ზარვეზია და გამოსწორებას მოითხოვს.

ჩვენი აზრით, აქ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის შესაბამის მუხლებში (რომელიც საყოველთაო განსახილველად არის გამოქვეყნებული პრესაში), კიდევ უფრო სრულყოფს საბჭოთა მოქალაქის ბინის უფლებას. რომლის კონსტიტუციური აღიარება, საბჭოთა მოქალაქეების ბედზე ჩვენი პარტიისა და მთავრობის შეუწყნებელი, ყოველდღიური ზრუნვის გამოხატულებად იქცა.



კაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული განცხადება

3. მატერიალი

დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე აკაკი როსტომის ძე წერეთელი ქართველ სამოციანელთა ბრწყინვალე წარმომადგენელი და ერთ-ერთი მეთაურია. გასული საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არ დასმულა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემა, რომლის გადაწყვეტაში მას არ მიეღოს აქტიური მონაწილეობა. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს უმღერდა ხალხთა მეგობრობასა და ძმობას, პატრიოტიზმს და ჰუმანიზმს, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, დემოკრატიას და ხალხთმშობრველობას, განათლებასა და პროგრესს, უშიშრად ებრძოდა ექსპლოატაციას, ეროვნულ ჩაგვრას, შოვინიზმს, ბიუროკრატიზმს. აკაკი წერეთელი ზოგადაც აკაცობრივ იდეებს ქადაგებდა და იბრძოდა მათი პრაქტიკული განხორციელებებისათვის. ამიტომ მისი ხანელი გახდა ეროვნულ ჩარჩოებს და დიდ ინტერნაციონალიზმად მოკვეცილია.

წინამდებარე სტატიაში ზოგადად განვიხილავთ აკაკი წერეთლის პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებებს.

აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია სოფლად, გლეხის ოჯახში გატარებულმა ბავშვობის წლებმა, სადაც მშობლებმა მომავალი პოეტი, ქართველი ფეოდალების ტრადიციის შესაბამისად მიაბარეს აღსაზრდელად. აქ იგი მოწმე გახდა საზოგადოების დაბალი ფენების მძიმე ეკონომიკური პირობებისა, მათი დაუნდობელი ექსპლოატაციისა. აკაკიმ ბავშვობიდანვე შეიყვარა და შეაცოცა მშრომელი გლეხი და მათზე ზრუნვასა, ფიქრსა და სიყვარულში დალია სული. აი, რას წერდა იგი ამის შესახებ: „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ, თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“¹.

აკაკი წერეთლის პოლიტიკურ შეხედულებათა ფორმირებაზე გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე მამის — საშუალო ფეოდალის — როსტომ წერეთლის ოჯახში გატარებულმა წლებმა, სადაც მომავალი პოეტი თავისი თვლით ხედავდა ფეოდალთა უზრუნველ და ფუქსავატურ ცხოვრებას. უმა გლეხხალში არაადამიანურ მოპყრობას. აკაკი ერთმანეთს ადარებს ფეოდალთა და გლეხობის ცხოვრების პირობებს და იმსჯვლება ამ უკანასკნელთა მძიმე ხვედრის შემსუბუქების სურვილით.

აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე არანაკლები როლი შეასრულა ქუთაისის გიმნაზიაში გატარებულმა წლებმა. აქ შეიგრძნო პირველად მომავალმა პოეტმა თავისი სამშობლოს მძიმე მდგომარეობა, მისი ისტორიის, კულტურის, ენის აბუჩად აგდება.

აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა საბოლოოდ დაიხვეწა პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. აკაკის სტუდენტობა დაემთხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მასზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატიკა იდეებმა და იდეოლოგიამ, რომლებმაც განუშტობეს მას აზრი სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. ამასთან, ისევე როგორც სხვა ქართველ სამოციანელებს, არც აკაკის მიუღია და შეუთვისებია რუს რევოლუციონერ დემოკრატიკა იდეები უცვლელად. ამ იდეებს ისინი ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით, ქართულ ნიადაგზე ნერგავდნენ.

აკაკი წერეთელს გამოთქმული აქვს ბევრი ხანტერესო მოხაზრება საზოგადოების სოცია-

¹ აკ. წერეთელი. თბზ., ხრული კრებული 15 ტომად (1950-1963). მომზადებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ. ტ. მე-7 გვ. 10. შემდგომში აკ. წერეთლის ნაშრომებს ციტირებას მოვახდენთ ამ გამოცემის მიხედვით.



ღური სტრუქტურისა და კლასობრივი კომპრომისის შესახებ. იგი აღიარებდა საზოგადოების კლასებად დაყოფას, ჰერეტულ კლასთა შორის ბრძოლას, მაგრამ ეროვნული ერთიანობის, სიძლიერისა და თავისთავადობის შესანარჩუნებლად ქადაგებდა კლასობრივ კომპრომისს, სხვადასხვა წოდების აღამიანებს მოუწოდებდა მშვიდობიანად, მამა-შვილურად, ძმურად ეცხოვრა. ამ მიზნით აკაკი წერეთელი იშველიებს საქართველოს წარსულს და ცდილობს იქიდან ამოკრიბოს მასალები ქართველ ხალხს შორის შარშიონიული ურთიერთობის შესახებ. მისი აზრით, შორეული წარსულიდან საქართველოში ორი წოდება არსებობდა: სამხედრო და სამეურნეო. პირველი ხშირად იცავდა ქართველ ხალხს, ხოლო მეორე — გუთნით, მეორე წოდება ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების საფუძველია. აკაკი ცდილობს „დაასახულოს“, თითქოს ამ ორ წოდებას შორის შარშიონიული დამოკიდებულება არსებობდა. მართალია, ამბობს იგი, თავდაზნაურობას უპირატესობა ენიჭებოდა, მაგრამ ეს განპირობებული იყო სამხედრო ფუნქციის უპირატესობით სამეურნეო ფუნქციასთან შედარებით².

აკაკი წერეთელმა ღრმად ვერ გაიგო საზოგადოების კლასებად დაყოფის არსი, მისი აზრით, საზოგადოების ზედა ფენა (კაბატონებული კლასი) ყოველთვის იყო და იქნება, ამას განაპირობებს იმ საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულება (სამხედრო, მმართველობისა), რომელსაც უპირატესობა ენიჭება სხვა ფუნქციებთან შედარებით. აკაკი წერეთლის მიერ კლასობრივი კომპრომისის ქადაგება ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების სურვილით უნდა აიხსნას.

აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაში, პოეზიაში და პროზაში კლასობრივი კომპრომისის გვერდით ვხვდებით საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნის იდეებსაც. დიდმა პოეტმა არაერთი ნაწარმოები უძღვნა რევოლუციას, როგორც 1905-1907 წლებში, ისე მანამდეც. მისი პოეზია რევოლუციური სულისკვეთებით ზრდიდა მთელ ქართველ ხალხს. ამრიგად, აკაკი წერეთელი, ერთი მხრივ, კლასობრივ ზავს ქადაგებს, მეორე მხრივ, რევოლუციურ ბრძოლას უჭერს მხარს. წინააღმდეგობაში ხომ არ ვარდება ეს გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე?

საქმე ის არის, რომ აკაკი წერეთელი არ ცნობს რევოლუციას კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებად. მისი აზრით, რევოლუცია არის ხალხის ბრძოლა წაგების, ექსპლოატაციის და უსამართლობის წინააღმდეგ. ამრიგად, აკაკი შეცდომას უშვებს რევოლუციური ბრძოლის არსის გაგებაში და ამიტომაც მის ნაწარმებში ეს წინააღმდეგობა მოხსნალია. მიუხედავად ამისა, აკაკი წერეთლის მოძღვრება საზოგადოებრივი წყობილების რევოლუციური გარდაქმნის საკითხზე პროგრესულია, რადგან იგი მშრომელი მასების რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს ემხანურებოდა.

აკაკი წერეთლის შრომებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ეროვნულ საკითხს. თავის ნაწარმებში იგი განიხილავს ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის იდეებს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს, ასახულებს სხვადასხვა ერების მეგობრული დამოკიდებულების აუცილებლობას და სხვ. დიდი პოეტი ეროვნულ საკითხში რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა თვალსაზრისზე დგას.

აკაკი წერეთლის ქადაგება ეროვნული თავისთავადობის შესანარჩუნებლად ორ მიზანს ისახავს: 1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ქართველი ხალხის დარაზმვას. 2. საქართველოს მამინდელი კოლონიური მდგომარეობის მსილებას.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა ეროვნული სახელმწიფოს საკითხს. დიდ პოეტს ახალგაზრდობის წლებიდანვე აწუხებდა ფიქრი თავის სამშობლოს, ერთიანი საქართველოს პრობლემებზე.

აკაკი წერეთელი, ისევე როგორც ი. ჭავჭავაძე, გაერთიანებული საქართველოს იდეოლოგი იყო. იგი დაუნდობლად აკრიტიკებს კუთხურობას, ფეოდალურ კარჩაკეტილობას, განკერძოებულობას და საქართველოს ერთიანობა მიანიჭა ქვეყნის წინსვლისა და პროგრესის საწინდარად. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს უპირატესობის დასახაბუთებლად აკაკი წერეთელი ალევკარიას მიმართავს. იგი თავის სამშობლოს აღარებს ჩანგურს, რომლის სიმებს შეადგენენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები. ჩანგური ხმატკბილია მაშინ, როდესაც ყველა სიმი თავის შანვზე უდერს, ხოლო თუ რომელიმე მათგანი გაწყდა, ანუ გამოაკლდა, მაშინ — ჩანგური კარგავს თავის კეთილმზრუნველს. აკაკის აზრით, ასეა მისი სამშობლოც³.

² თხზ., ტ. I, გვ. 123; ტ. მე-5, გვ. 249-258; თხზ., ტ. მე-13, გვ. 182-185; თხზ., ტ. მე-14, გვ. 395-396.
³ აკ. წერეთელი. თხზ. ტ. მე-5, გვ. 184-223, ტ. II, გვ. 380.

აკაკი წერეთლის შეხედულება ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესახებ არ ნიშნავს პოეტის მიერ მკაცრი ცენტრალიზმის მოთხოვნას. იგი ისეთი ცენტრალიზმის მომხრეა, სადაც თითოეული კუთხე, თითოეული აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღჭურვილი ქმნება ფართო თვითმმართველობის უფლებით. მისი აზრით, ისევე როგორც ჩანგური, კარგავს თავის კეთილზომიანებას სიმების გადახლართვით, სახელმწიფოც მისი შემადგენელი ნაწილებისათვის თავისებურებების წართმევით, ზომიან მეთვალყურეობას ცენტრალზაციით, კარგავს მრავალფეროვნებას და ტრაფარეტული ხდება, რაც საწიანოა⁴.

აკაკი წერეთელი თავის შემოქმედებაში ქადაგებს სხვა ერებისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. იგი მთელი თავისი შეგნებით პატრიოტი და ინტერნაციონალისტია. აკაკი სასტიკად გმობს შეხედულებას ეროვნული განსაკუთრებულობის, უპირატესობის შესახებ. ამ მხრივ იგი რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეების თანამოწიარეა.

აკაკი წერეთელი უდიდესი პატივისცემით ეკიდება სხვა ერებს და მუდამ ქადაგებს მათთან მეგობრულ, ძმურ დამოკიდებულებას. მისი აზრით, სხვადასხვა ერის ურთიერთდამოკიდებულებას საფუძვლად უნდა დაედოს ურთიერთ პატივისცემის, სიყვარულის და თანასწორუფლებიანობის პრინციპები.

საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული აკაკი წერეთელს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ამ პრობლემით დიდი პოეტი ახალგაზრდობიდანვე იყო დაინტერესებული. აკაკი დადებითად აფასებს საქართველოს რუსეთთან შეერთებას. პოეტის აზრით, ამ გზით საქართველო გადაურჩა ფეოდალურ განადგურებას. როგორც იგი დაასკვნის, საქართველოს რუსეთთან შეერთება ობიექტური აუცილებლობით იყო განპირობებული. იგი სწორად აფასებს დიდი რუსი ხალხის ისტორიულ მისიას არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ ჩაგრული ერებისა და ქვეყნების მიმართ.

აკაკის პოლიტიკური შეხედულებიდან საყურადღებოა აგრეთვე არსებული სოციალური სისტემის, თვითმკაცრებლობის, სახელმწიფო მოხელეების და ბიუროკრატიული მმართველობის კრიტიკა. აკაკი წერეთლის ნეგატიურ თვალსაზრისს უდიდესი მათგანნიშებელი და აღშრიდებლობითი მნიშვნელობა ჰქონდა არსებული წყობილების წინააღმდეგ.

აკაკი წერეთლის იურიდიული შეხედულებები ჭრჭერობით სრულიად შეუსწაველია. აკაკი წერეთელი განათლებით იურისტი არ ყოფილა და არც პრაქტიკულად შეუსრულებია იურისტის მოვალეობა. მაგრამ მაინც მის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში უხვად არის მოცემული მოსაზრებანი კანონმდებლობის, სასამართლოს და საგამოძიებო ორგანოების მუშაობის, დანაშაულის და სასჯელის, დანაშაულის მიზეზების, ქალის უფლებები მდგომარეობის, საქორწინო-საოჯახო სამართლის და სხვა საკითხებზე.

აკაკის იურიდიულ განსწავლულობაზე მეტყველებს აჩანყებულ სვან გლეხთა დასაცავად სასამართლოში წარმოთქმული დაცვითი სიტყვა, რომელიც სწორუბოვარია არა მარტო იურიდიული ნაწარმის სიღრმით, არამედ ორატორული ოსტატობითაც.

სამართლისა და კანონმდებლობის საკითხების განხილვისას აკაკი წერეთელი ამხელს მათ კლასობრივ ბუნებას. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ სამართალი და კანონმდებლობა, ისევე როგორც სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები, მხოლოდ მლადრებს ემსახურება⁷. იგი გმობს ამ მოვლენას, მოითხოვს, რომ ისინი თანასწორად ემსახურებოდნენ მთელ საზოგადოებას.

დანაშაულის არსზე მსჯელობისას აკაკი იმ დასკვნამდე მიდის, რომ დანაშაული არ არის ერთხელ და სამუდამოდ აღიარებული და დადგენილი ჭეშმარიტება, დანაშაული პირობითი და შეფარდებითი ცნებაა, რადგან ზოგიერთი ქმედობა, რომელიც წინათ დანაშაულად ითვლებოდა, შემდგომში აღარ მიიჩნევა დანაშაულად. ამასთან ერთად აკაკი წერეთელი ავითარებს მოსაზრებას, რომ დანაშაული არ არის პიროვნების თავისუფალი ნების შედეგი, იგი ობიექტური გარემოებებით განპირობებული ქცევაა.

სასჯელის პრობლემას აკ. წერეთელი დანაშაულს უკავშირებს, მათ ერთიანობაში განი-

⁴ აკ. წერეთელი თხზ., ტ მე-11, გვ. 356.

⁵ აკ. წერეთელი. თხზ. ტ. III, გვ. 91, 162—163.

⁶ აკ. წერეთელი. თხზ., ტ. I, გვ. 64-65; ტ. 7, გვ. 149-150; ტ. მე-8, გვ. 164; 197-198; ტ. მე-14, გვ. 354—355.

⁷ აკ. წერეთელი. თხზ., ტ. I, გვ. 231; ტ. II, გვ. 23; ტ. III, გვ. 273; ტ. მე-7, გვ. 293; ტ. მე-12, გვ. 25; ტ. მე-14, გვ. 327-344.



ხილავს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ თუ ქმედობა აღიარებული იქნება საზოგადოებისათვის საშიშად ე. ი. დანაშაულად, მაშინ იგი უნდა დაისჯას.

აკაკი წერეთელი როგორც დიდი ჰუმანისტი, წინააღმდეგი იყო მკაცრი და გამაწბილებელი სასჯელებისა. სასჯელის შეფარდებისას იგი მოითხოვდა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევას, ადგილის, დროის, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, დამნაშავე პირის ვინაობის შესწავლას; სასჯელის შეფარდებისას ბრალდულობის პრინციპის მოთხოვნას იცავს და გმობს ობიექტური შერაცხვის პრინციპს.

აკაკი წერეთლის იურიდიული შეხედულებებიდან ყურადღებას იპყრობს მოსაზრებანი დანაშაულის მიზეზების შესახებ. დანაშაულის საერთო მიზეზად იგი სოციალურ გარემოს, ცხოვრების მოუწყობლობას მიიჩნევს. ამ მხრივ, სხვა ქართველ სამოციანელებთან ერთად, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა თვალსაზრისზე დგას და მათ შესაბამისად დანაშაულის თავიდან ახსცილებლად სოციალური გარემოს გაკეთილშობილებას ქადაგებს. ცალკეული სახეობების დანაშაულობათა მიზეზების გარკვევისას უფრო აზუსტებს, თუ რით გამოიხატება სოციალური გარემოს მოუწყობიანობა როგორც დანაშაულის წყარო.

აკაკი წერეთლის აზრით, დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს აგრეთვე კანონმდებლობის და სამართალწარმოების კლასობრიობა. აკაკი მიუთითებს, რომ მოსახლეობას არ სჭერა კანონმდებლობის და სამართალწარმოების, ამიტომაც თვითგასწორებას მიმართავს.

დანაშაულის მიზეზების ახსნისას აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ბიროვნების ინდივიდუალურ ვანსაკუთრებულობაზე, გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს პიროვნების თანდაყოლილ თვისებებს, მაგრამ მათ როლი მიიჩნევს გადაწყვეტად. მისი აზრით, დანაშაულის ძირითადი მიზეზი სოციალური გარემოა.

მეტად მნიშვნელოვანია პოეტის მიერ მისი დროინდელი კანონმდებლობის, სასამართლოს, ადვოკატურისა და სამართალწარმოების კრიტიკა. მკაცრი ცენზურული პირობების გამო იგი პირდაპირ ვერ ახერხებს კანონმდებლობის და სამართალწარმოების მანკიერი მხარეების ჩვენებას, ამიტომ მიმართავს ადგილობრივს.

აკაკი წერეთლის შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში განხილულია ქალის უფლებებზე მდგომარეობა და საქორწინო-საოჯახო სამართლის საკითხები. მისი აზრით, ქალის ემანსიპაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი პროგრესისათვის. საზოგადოებაში ქალები უფლებებრივად და ფაქტიურად შეზღუდული არიან. აკაკი ქალებს „ხალხის წინოდის ბარომტარებს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ არ შეიძლება საზოგადოების წარმატებაზე ვიმსჯელოთ იქ, სადაც ქალები დაჩაგრული არიან.

ქალის როლის და ადგილის მნიშვნელობის დასახსნებლად აკაკი წერეთელი უნარიანად იყენებს საქართველოს წარსულს და გვიჩვენებს, თუ რა დიდი უფლებები და გავლენა ჰქონდათ ქალებს ფეოდალურ საქართველოში. მის შემოქმედებაში ქალის როლის რელიეფურად გამოხატვა განპირობებული იყო პოეტის პოლიტიკური პროგრამით — ხელი შეეწყობოთ ეროვნულ-პატრიოტული სულიკვებით მომავალი თაობის აღზრდისათვის.

საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული აკაკი წერეთელს საქორწინო-საოჯახო ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების შესახებ. ოჯახი, მისი აზრით, ის უჯრედი, რომელიც საზოგადოებას და ერის სამსახურში დგას იმით, რომ ზრდის შთამომავლობას თავდაცვისა და პროგრესისათვის. აკაკი წერეთელი ზოგჯერ აღიუფლებს წარსულს — სობახას ასხამს ძველ ქართულ ოჯახს, მაგრამ ხაზობლივად ფეოდალურ-პატრიარქალური ოჯახის იდეალიზაციამდე რელი მიდის. იგი გმობს ფეოდალური ოჯახისათვის დამახასიათებელ — ოჯახში მამაკაცის გაბატონებულ მდგომარეობას და იბრძვის ქმრის მიერ ცოლის ფიზიკური დასჯის წინააღმდეგ.

აკაკი წერეთელი ქადაგებს თავისუფალ ქორწინებას, გმობს მშობლების მითითებით ან გარეწონით ქორწინებას, აკრიტიკებს ქორწინების ისეთ დამამტკიცებელ და შემწულად გარეწონებას, როგორც არის ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობა, რელიგიისაღმდეგ დამოკიდებულება და სხვ. აკაკი წერეთელი სპეციფიკურად ეხება ე. წ. „პირველი დამის უფლებას“, მიუხედავად მის კლასობრივ წარმომოხაზვე და ახაბუთებს, რომ საქართველოში იგი იურიდიულად არ ყოფილა განმტკიცებული.

როგორც დასაწყისში ითქვა, წინამდებარე ნაშრომს არა აქვს პრეტენზია ამომწურავად იქნეს განხილული აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული მსოფლმხედველობა. ჩვენი დაკმაყოფილებით ზოგადად ვაგვიხილა ამ საკითხებზე დიდი პოეტის მიერ გამოთქმული ძირითადი მოსაზრებანი.

გ. ქ. სოსელია



ფეხიონალი რევოლუციონერის მთელი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნისტურ პარტიასთან, რომლის ერთგული შვილიც იყო იგი სიკვდილამდე.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე გ. ქ. სოსელია ზუგდიდის მაზრაში ხელმძღვანელ სამუშაოზეა. იგი აქტიურად მონაწილეობს მენშევიკების მიერ მოწყობილი ავანტიურის — 1924 წლის გამოსვლების წინააღმდეგ. სახელდახელოდ შექმნილ რაზმთან ერთად იგი რეგულარული ნაწილების მოსვლამდე ათავისუფლებს ზუგდიდსა და მთელ მაზრას მენშევიკი ბანდიტებისაგან, ხოლო შემდეგ წითელარმიელებთან ერთად ადის სვანეთში იქ მიმალულ ავანტიურისტთა უვნებელსაყოფად, რისთვისაც ს. ორჯონიკიძის, მ. ცხაკაიას და ს. გეგეჭკორის მადლობას იმსახურებს.

1926 წელს გ. სოსელია ამთავრებს ამიერკავკასიის 26 კომისიის სახელმძღვანელო კომუნისტურ უნივერსიტეტს, სადაც 1928 წლიდან სწავლობდა და იქვე ტოვებენ ასპირანტად. ერთდროულად იგი სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1928 წელს ამთავრებს უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაში, 1929 წელს კი — ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ასპირანტურას. 1931 წელს გ. სოსელია შედის მოსკოვის წითელი პროფესორის ინსტიტუტში. ერთდროულად მოსკოვის სამართლის ინსტიტუტში კითხულობს სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი მოძღვრების კურსს და ლენინიზმს სამედიცინო ინსტიტუტში. 1934 წელს, წითელი პროფესორის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, გ. სოსელიამ კომუნისტური აკადემიის სამართლის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პლენხანოვი და საერთაშორისო რევიზიონიზმი“. მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“, რისთვისაც მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ეს იყო სსრ კავშირში საჯაროდ დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია. 1936 წელს მას მიენიჭა სახელმწიფო სამართლის პროფესორის წოდება.

1934 წელს გ. სოსელია სამშობლოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. იყო უნივერსი-

ნაღვ ოცი წელი შესრულებდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა გამორჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, კომუნისტური პარტიის ვეტერანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიორგი ქუთიას ძე სოსელია.

ვიორგი ქუთიას ძე სოსელია დაიბადა 1897 წელს ჩხორიწყის რაიონის სოფელ კირცხში, ლარიბი ვლენის ოჯახში. მომავალი მეცნიერი იშვილა ბიძამ, რომლის შემწეობითაც მან დაამთავრა ჯერ სოფლის ორკლასიანი სკოლა და ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელი, შემდეგ კი — 1915 წელს ქუთაისის ორწლიანი პედაგოგიური კურსები. ამის შემდეგ 1920 წლამდე იგი პედაგოგურ მოღვაწეობას ეწევა ზუგდიდის მაზრის სხვადასხვა სოფელში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე, 1918 წლიდან გ. ქ. სოსელია ბოლშევიკების თანამგრძნობთა რიგებშია. მალე კი, 1919 წლის თებერვალში, მას კომუნისტური პარტიის რიგებში იღებენ. ამ პერიოდიდან მოყოლებული პრო-



ტეტის სახელმწიფოსა და სამართლის კათედრის გამგე, თეორიული ჟურნალის „ბოლშევიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. 1937 წელს დაინიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ. 1936-1937 წლებში მონაწილეობს საქართველოს სსრ კონსტიტუციის შემუშავებაში, როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრი და მდივანი.

1957 წლიდან სიკვდილამდე სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც იყო სსრ კავშირის ისტორიის კათედრის პროფესორი. სხვადასხვა პერიოდში გ. სოსელია დექვიანების კურსს (სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, ლენინიზმის საფუძვლები) კითხულობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, თბილისის სამთო-მეტალურგიულ და საედიციო ინსტიტუტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. 1926 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სექციის წევრი.

გ. სოსელია ფართო დიპლომატიის მკვლევარია. მის მონოგრაფიებში აგრეთვე მრავალრიცხოვან ნაშრომებში, რომლებიც გამოქვეყნებულია სამეცნიერო კრებულებში და პერიოდიკაში, მათ შორის, საკავშირო ჟურნალებში, განხილულია ისეთი საინტერესო და სადავო საკითხები, როგორიც არის: ქართველურ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობა, იყო თუ არა საქართველოში მონათმფლობელური ფორმაცია, რელიგიის წარმოშობა, რევოლუციონიზმი და მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამართლებრივი შეხედულებები, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა და სხვ.

ნიჭიერი მკვლევარი გამოირჩეოდა თავისი შრომისმოყვარეობით, ორიგინალური აზრვნებითა და განსაკუთრებული ნაყოფიერებით. გ. სოსელია 60-მდე მეცნიერული შრომის ავტორია. მათ შორის 22 წიგნი და სტატია, რომელთა საერთო მოცულობა 110 ნაბეჭდი თაბანია, გამოქვეყნებულია. იგი ქართველ ისტორიკოსთა შორის ერთი პირველთაგანი იყო, ვინც გახედულად გაილაშქრა, ჩვენს ისტორიკო-ფილოსოფიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგ, რომლის მიხედვით თითქოს აღრე საქართველოში მონათმფლობელური ფორმაცია არსებობდა, მოგვცა აგრეთვე სრულიად განსხვავებული მოსაზრება ყუთლუ არსლანის დასის

შემადგენლობისა და მიზანდასახულობის შესახებ. სახამოვნოა, რომ მისი აზრი ორივე საკითხში დღეს გაზიარებულია და დამკვიდრებულია ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში, თუქვა გ. სოსელიას ეს დეწლი ლიტერატურაში სათანადოდ არ არის აღნიშნული ისე როგორც საერთოდ მივიწყებულია მისი დამსახურება ქართულ ისტორიულ და იურიდიულ მეცნიერებაში.

გ. სოსელიას მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა მომავლის საქმეა და აქ მასზე ვერ შევწერდებით, ვინაიდან იგი სცილდება საუბრნალო სტატიის ფარგლებს. ყურადღებას გვაქმავს იმის ერთერთ მონოგრაფიაზე „რევოლუციონიზმი და მარქსისტული მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ“, რომელიც 1962 წელს წარდგინული იქნა ლენინური პრემიის მოსაპოვებლად. ამის თაბაზე ვაზეთ „იფეხტიაში“ 1962 წლის 5 დეკემბერს გამოქვეყნდა სათანადო ცნობა.

ეს ნაშრომი 1962 წლის 20 აპრილს განიხილა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი პრობლემების სექტორში და მას დადებითი შეფაბა მისცა. წიგნზე არსებობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ს. ა. გოლუხნისკის, ს. ორჭინიკიძის სახელმის მოსკოვის ხაინფინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგის ი. ს. ზოტოვის, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ა ნ. კრასნინის საინტერესო რეცენზიები. იმის გამო, რომ ამ დროისათვის გამოსული იყო ჩავიქრებული მონოგრაფიის მხოლოდ პირველი ტომი, წიგნის საბოლოო განხილვა ლენინური პრემიების მიმნიჭებულ კომიტეტში აღარ მოწა. ეს შესაძლებელი იყო მომავალში განხორციელებულიყო მონოგრაფიის მეორე ტომის გამოსვლის შემდეგ. სამწუხაროდ, ავტორს აღარ შეეძლო ნაშრომის დასრულება, ვინაიდან იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

სასურველია სოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა და სადაც ბოლო ხანს მოღვაწეობდა გ. კ. სოსელია, ან სხვა სამეცნიერო დაწესებულებამ ითავოს და გამოსცეს მისი სამეცნიერო შრომების რჩეული, რომელშიც მიზანშეწონილი იქნება შევიდეს გამოუქვეყნებელი ნაშრომებიც.

ო. კაციტაძე

ქვეყნის



სამედიკო-პრაქტიკული კონფერენცია ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

ბრძოლის საკითხოზე

გაიმართა პირველი რესპუბლიკური საუწყებო-მორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების სახალხო დემუტრატო საბჭოების ხელმძღვანელები, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაკები, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის თავმჯდომარემ **ო. ჩერქეზიაძე**.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში თბილისის საექლმწიფო უნივერსიტეტის სისხლს სამართლის კათედრის პროფესორმა, დამნაშავეობის სოციოლოგიის უაბორატორიის ხელმძღვანელმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა **ა. გაბიაძე**. ჩატარებული გამოკვლევები, თქვა მომხსენებელმა, გვიჩვენებს, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს ლოთობას. სპირტიანი სასმელების გაყიდვით მიღებულ მოგებას ბევრად სჭარბობს ის ზარალი, რომელსაც რესპუბლიკის ეკონომიკა განიცდის გაცდენებისა თუ ალკოჰოლიკების სანეციანო მომსახურების შედეგად.

ამ ბოროტებასთან ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტიანი პროფილაქტიკური საშუალებაა, თქვა მომხსენებელმა, კულტურული ასპერენების გაუმჯობესება, კაფეებისა და ახალგაზრდული ბარების ქსელის გადართობა, უალკოჰოლო სასმელებისა და ლუდის ხარისხის ამაღლება.

„მართლწესრიგის განმტკიცება და სოციალისტური კანონიერების ნორმების დარღვევათა აღმოფხვრა სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა მხედვით, ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერება“ — ასეთი აქცია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის გენერალ-მაიორ ვ. შადურის მოხსენება.

სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული პროგრესისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პირობებში. — თქვა მომხსენებელმა, — განსაკუთრებით თვალნათლივ ისახება ლოთობის ანტისაზოგადოებრივი არსი, რაც ყოველად შეუთავსებელია ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ-პოლიტიკური იდეალებისათვის. რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე მიიშენელოვნად გაიზარდა სპირტიანი სასმელებისა და თეთრხაზი აყვის მოხმარება, რაც ლოთობის პირველწყაროა. ამ სამარცხვინო ჩვევის მისდევს ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომელთა შორის დიდია ახალგაზრდობის წილიც. ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხშირად ეკრებიან მთვრალები, რომლებიც გამოსაფხიზლებელში ან შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებში ხვდებიან. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს გაზარდა მილიციისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფ ალკოჰოლითა რაოდენობა. ყველაფერი ეს დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოებას. ლოთობით მიყენებული უდიდესი მორალური ზარალის აღრიცხვა კი შეუძლებელია, იგი ხელს უშლის ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას, აქვეითებს მათ საზოგადოებრივ აქტიურობას, დამლუჯავს გავლენას ახლენს ბავშვთა აღზრდაზე. ლოთები ადვილად კარგავენ ადამიანურ სახეს, ხდებიან კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვენი. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში ჩადენილი სისხლის სამართლის თითქმის ყოველი მეშვიდე დანაშაული სიმთვრალის შედეგია, ხოლო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა უდიდესი ნაწილი ადამიანთა მსხვერპლთა მთავრდება მხოლოდ იმიტომ, რომ მთვრალი მძღოლები მართავენ საჭეს.

სამწუხაროდ, ლოთობასთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს მთელი სიმკაცრით, თითქმის არსად არ ხორციელდება საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ზემოქმედების ისეთი ღონისძიებები, რომლებიც პრაქტიკულად შეუწყობს ხელს ამ მავნე ჩვევის აღმოფხვრას. საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებში, აგრეთვე მშრომელთა კოლექტივებში

სამწუხაროდ, ლოთობასთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს მთელი სიმკაცრით, თითქმის არსად არ ხორციელდება საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ზემოქმედების ისეთი ღონისძიებები, რომლებიც პრაქტიკულად შეუწყობს ხელს ამ მავნე ჩვევის აღმოფხვრას. საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებში, აგრეთვე მშრომელთა კოლექტივებში



თვალნათლივ იგრძნობა ლოთობისადმი შემწყნარებლური და შემრიგებლური დამოკიდებულება. ზშირია შემთხვევები, როდესაც ამგვარი გამოვლენები აღარ განიხილება როგორც პარტიული ეთიკისა და დისციპლინის უხეში დარღვევა.

ვადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მაგარი, ალკოპოლიანი სასმელების გაყიდვის კატეგორიულ აკრძალვას სამრეწველო საწარმოებთან, სასწავლებლებთან, სარკინიგზო კვანძებთან, ავტო და ავთოსადგურებთან, მასობრივი დასვენებისა და გართობის ადგილების მახლობლად. ყველგან, სადაც კი ამ სასმელების რეალიზაციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობაზე. არავის არა აქვს იმის უფლება, რომ სპირტიანი სასმელების ვაჭრობის გეგმების შესრულებისათვის არაფრად ჩააგდოს საბჭოთა ადამიანების ჯანდაცობა, ხელი შეუწყოს დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა სახიფათო ზრდას.

ყველა ჩვენგანის უპირველესი მოვალეობა ის არის, — თქვა მოხსენებას უასარტულს ვ. შაღურმა, — ძირშივე აღმოვუხვრათ წარსულის მაგნი გადმონაშთის, ლოთობისა და ნარკომანიის ყოველგვარი გამოვლენა, ხელი შეგუწყოთ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას და შეურაცხებელი ვიყოთ იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავისი უხამსი ქცევით სახელს უტყუხენ რეს უბლიკას.

შემდეგ იხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ჯანმრთელ უბის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა კ. გიგელაშვილმა. იგი შეეხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაობას ლოთობისა და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და აღნიშნა, რომ ნერვოლოგიური სამსახური ჯერ ახალია, იგი დამოუკიდებელ რგოლად მხოლოდ 1976 წელს ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ წნის მანძილზე უკვე განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა დისპანსერებისა და კაბინეტების ქსელი, გაძლიერდა სტაციონარული რგოლი და, რაც მთავარია, გუგუქტიანდ ზორცილდება დიდი სამეცნიერო მუშაობა, რომელსაც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ხელმძღვანელობს. აქ განხორციელდა ალკოპოლიზმის ეპიდემიოლოგიის მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რაც დიდ სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს. საქმიანი კონტაქტი გვაქვს დამყარებული შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებებთან და სხვა უწყებებთან, რომლებიც

იმის ნათელ სურათს იძლევიან, თუ როგორი მდგომარეობა გვაქვს ამ მხორე რესპუბლიკაში, ნატურალური ღვინოებითა და მელღვინოების კულტურით საყოველთაოდ აღიარებულ ქვეყანაში. უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემიწნევა ნატურალური ღვინოების მოხმარების შემცირების საგანგაშო ტენდენცია. სამაგიეროდ გაიზარდა ალკოპოლური ფსიქოზების მაჩვენებლები — ალკოპოლიზმის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ვართულება.

მომხსენებელმა ილაპარაკა საზოგადოებრივი აქტივის ფართო მონაწილეობაზე ლოთობისა და ალკოპოლიზმთან ბრძოლის საქმეში და თქვა, ამ ბრძოლაში თანაბრად უნდა ჩაებან არა მარტო ექიმები და შინაგან საქმეთა ორგანოები, არამედ ყველა, რიგითი მოქალაქეებიც და მშრომელთა კოლექტივებიც განსაკუთრებით კი ლოთობის და ალკოპოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მრავალრიცხოვანი კომისიები, რომლებიც ყველა საწარმოსთან და ორგანიზაციასთან არის შექმნილი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნარკოლოგიური დისპანსერების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, კერძოდ კი ნარკოლოგიური კაბინეტების, მუშაობის სათანადო პირობების შექმნის აქტუალობას, ილაპარაკა ნარკოლოგიური სამსახურის სტაციონარული რგოლის გაფართოებაზე, სადაც ავადმყოფებს შეეძლებათ გაიარონ ალკოპოლის საწინააღმდეგო სპეციალური მკურნალობა წარმოებას მოუწყვეტილ, სამუშაოაროდ, რესპუბლიკაში ჯერ არა გვაქვს ასეთი სტაციონარი. ეს მაშინ, როცა სხვა რესპუბლიკებში მათ უკვე მოიპოვეს ავტორიტეტი და აღიარება.

ალკოპოლიზმთან ბრძოლის პრობლემებზე ისაუბრა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა სპირტიანი სასმელების მიღების სამი სახეობის არსებობაზე.

პირველი სახეობა, — თქვა აკადემიკოსმა, — გულისხმობს ყოფით სტუმართმოყვარეობას, როცა ზომიერი, თავშეკავებული მოხმარება დაკავშირებულია ერთმანეთისადმი სიყვარულისა და პატივისცემის კეთილშობილიურ, ამიღებულ გრძობებთან. აქ უნდა გავისხნეთ ნ. ა. პავლოვის და ა. მ. ბროკის დებულებები, რომელთა თანხმად, თუ კაცი იცნობს ღვინის სმის კულტურას და ესმის ღვინის გემო, იგი არასდროს არ გახდება ალკოპოლისტი.

მეორე სახეობაა იმ მსმელთა ჯგუფი, რომლებიც საკმაოდ ხშირად და უზომოდ ლეზბულიან სპირიტინ სასმელებს. ისინი ჯერ არ არიან ალკოჰოლისტიები. ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მაგრამ ერთი ნაბიჯი და აკლია. სწორედ ამ ჯგუფიდან ჩნდებიან ან იკრიბებიან ქრონიკული ალკოჰოლისტიები.

მესამე ჯგუფს შედგენენ დაჯერებული, გამოუწვრილებელი ლოთები. ეს ჯგუფები იცნევიან სათავედ ალკოჰოლური პათოლოგიის სხვადასხვა ფორმისა (მათ შორის როგორც ალკოჰოლური ფსიქოზის, ისე მძიმე ინტელექტუალურ-მორალური დეპრევიაციის).

აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა ღრმად გააშუქა ალკოჰოლის, ბოროტად გამოყენებით გამოწვეული ზნეობრივ-ეთიკური ასპექტები, მიკრო-სოციალური პრობლემები.

კონფერენციის მონაწილეთა წინაშე მოხსენება წაითხა აგრეთვე რისპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა, იუსტიციის III კლასის სახელმწიფო მრჩეველმა ზ. კვიციანიამ, რომელმაც თავისი გამოხსენება ძირითადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილი დადგენილების პრაქტიკული განხორციელების საკითხებს მიუძღვნა.

რესპუბლიკის პროკურატურამ, — თქვა ზ. კვიციანიამ, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე შეიმუშავა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს დროულ და კანონიერ მეთვალყურეობას იმ საწარმოებისა თუ ორგანიზაციებისადმი, სადაც ლოთობის გავრცელების ხელშემწყობი პირობები შეიმჩნევა.

პროკურატურის ორგანოებს საქმიანი ურთიერთობა აქვთ ადგილობრივი საბჭოების ადმინკომებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან, შინაგან საქმეთა და იუსტიციის განყოფილებებთან. ეს კავშირითიერთობა საშუალებას იძლევა ზუსტად დადგინდეს, თუ რომელ საწარმოში, დასახლებულ პუნქტში ან ქალაქში გავრცელებული სამართალდარღვევები ლოთობის ნიადაგზე და რა არის მათი ხელშემწყობი მიზეზები.

1979 წელს მოწყობილმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი რაიონის ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიები სუსტად მუშაობენ. მაგალითად, ყვარლის, გენგეჰორისა და აბაშის რაიონული კომისიები ყოველთვის თვითონ არ მსჯელობენ მასალებზე, დამრუვევთა შესახებ და მათ განსახილველად უგზავნიან ამხანაგურ სასამართლოებს. მოკვლეული მასალების გადაგზავნა-ვადმოგზავნა კი იწვევს ვადების გაუმართლებელ გაჭინაურებას, რაც

ხანდაზმულობის მიზეზით პირის სასჯელასაგან განთავისუფლების საფუძველი ხდება.

არადაამაკაყოფილებელი ინდომარობაა ამ მხრივ ქ. თბილისის რაიონულ აღმასკომებშიც. ლენინის, კირიკის, პირველი მაისის, 26. კომისრის და სხვა რაიონების აღმასკომებთან არსებული ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიები იშვიათად მართავენ სხდომებს, ვერ უზრუნველყოფენ ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის სულმძღვანელობას და კოორდინაციას.


თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომთან არსებულმა კომისიამ 1978 წელს სულ სამი სხდომა გამართა და გვემით გათვალისწინებული 24 საკითხის ნაცვლად მხოლოდ სამი განიხილა. პირველი მაისისა და კირიკის რაიონების შესაბამის კომისიებს კი ერთხელაც არ შეუძლონებიათ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა თავიანთი რაიონების წარმოება-დაწესებულებებში, არ მოუსმენიათ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ანგარიშები ამ საკითხზე. ასეთი მგაღლითები კი სხვაც ბევრია.

„სამართლებრივი ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის ა. ახესაძის მოხსენება.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ადმინისტრაციულ ორგანოთა შორის, — თქვა მომხსენებელმა, — განსაკუთრებული ადგილი უკავია სასამართლოს. კონსტრუქციით სწორედ იგია უფლებამოსილი გადაწყვიტოს სამართალში მიტეხული ალკოჰოლიკის ბრალულობის საკითხი. ამ მხრივ სასამართლოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან და ცუდად როდი იბრძვიან ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. კარგი მაჩვენებლებიც გვაქვს, მაგრამ ბევრგან მაინც შეიმჩნევა ხარვეზები და ნაკლოვანებები, რადგან იუსტიციის ზოგიერთი ორგანო არაკვალიფიციურად ახორციელებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დასახული აქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც გულისხმობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლას სპირტიანი სასმელების ვაჭრობის წესების დარღვევასთან დაკავშირებით. ადგილობრივი სასამართლო ორგანოები სისტემატურად შეისწავლიან ამხანაგური სასამართლოების მუშაობას ამ დარგში.

ვეჭირობთ, რომ კარგი შედეგი უნდა მოგვეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და უმაღლეს სასამართლოსთან ერთად იმ საქმეების სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ, რო-



მღებცი რესპუბლიკაში თვითნახადი არყის წარმოებასთან ბრძოლისა და მთვრალი მოზარდების დანაშაულობებს შეეხება.

ხშირად ფორმალური ხასიათისაა სსსამართლოთა ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება ავტომანქანის ჩამორთმევას იმ მფლობელთათვის, ვანმეორებით მთვრალები რომ ისხდნენ საჭესთან. ასეთი ფაქტები გამოვლინდა კასპის რაიონში, რისთვისაც მკაცრად დაისაჯა სსსამართლოს თავმჯდომარე.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებული ღონისძიებების განხორციელებაში, — თქვა ა. აბესაძემ, — დიდი მნიშვნელობა ენიჭება სსსამართლოების მიერ სამართალდარღვევათა ხელშემწყობი მიზეზების პირობების დადგენას, იმ კონკრეტულ პირთა დადგენას, რომლებიც არ მიმართავენ სათანადო ზომებს ასეთი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების თავიდან ასაცილებლად. შეუერიველი ბრძოლა უნდა გამოცხადდეს აგრეთვე სპირტიანი სასმელების მიღებას საწარმოებში და საბოლოოდ აღიკვეთოს სამუშაოზე ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მთვრალი პირების გამოჩენა. ამ ვალაუდებელი საქმის ვადაწყვეტაში სახალხო სსსამართლოებს უდიდესი როლი ეკისრებათ. მათი კანონი-

ერი და მკაცრი განაჩენების ძალას წამდგომალ უნდა გრძნობდნენ ადამიანები.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებსა და პერსპექტივებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელმა გ. მუჯირმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აგტიაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ვ. ლორთქიფანიძემ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტონისპექციის უფროსმა გ. როგავამ და სხვებმა.

თათბირის მეორე დღე სექციურ მუშაობას დაეთმო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებში გაიმართა პრინციპული და საქმიანი სჯა-ბაასი, რომელიც ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა.

კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს შესაბამისი ღონისძიებები.

გ. მუჯირმა,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დასახელებებისა და სასამართლო მრავალბიძის მუშაობის რეზიუმე ლიპარი თათბირი

გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების მუშაობა რესპუბლიკური თათბირი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის წარმომადგენლები, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და სასამართლო ექსპერტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელები, ქ. თბილისისა და რესპუბლიკის სახალხო სსსამართლოების თავმჯდომარეები, ნოტარიუსები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

მოსმენილ იქნა ორი მოხსენება: 1. კაღრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის დარგში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 15 მაისის ბიუროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილებების მი-

ხედვით (მომხსენებელი — ი. აღანია); 2. სოციალისტური კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების შემდგომი განმტკიცების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXV ყრილობის დადგენილებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებიდან (მომხსენებელი — 5. ზარკია).

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსმა ი. აღანიამ თავის მოხსენებაში პრინციპული, პარტიული პოზიციებიდან შეაფასა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 15 მაისის ბიუროს ცნობილი დადგენილების შემდეგ რესპუბლიკის იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების მიერ გაწეული მუშაობა და აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელებამ კადრებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად,

სისტემაში ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, ამაღლდა მომთხოვნელობა, მეტი ყურადღება ეთმობა მუშაკთა კვალიფიკაციის სრულყოფას, ეწყობა თეორიული ეკმინარებუ, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სისტემატურად ხდება სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის განზოგადება. გაყაროვდა სპეციალისტების გადამზადება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე, იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სააკვიზო ინსტიტუტში, სტაჟირება უმაღლეს სასამართლოში და სხვა. უფრო ქმედითი გახდა სამინისტროში დისციპლინური პრაქტიკა, რასაც ხელი შეუწყო სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებასა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის აქტიურმა საქმიანობამ.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა განამტკიცა სოციალისტური კანონიერება. შემცირდა გაუქმებული და შეცვლილი განაჩენების რაოდენობა, სასჯელის ზომად უფრო ნაკლებად უფარდებენ მოკლევადიან სასჯელებს, ხოლო მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულისათვის ფართოდ არის გამოყენებული ისეთი სასჯელები, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

მიუხედავად ამისა, იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში კვლავ შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებები, რაც იმის შედეგია, რომ მოთხოვნილებათა დონეზე არ ხდება მათი კომპლექსური შემოქმედა. სამინისტროს სტრუქტურული ქვეგანყოფილები ვერ იჩენენ ინიციატივასა და სიმტკიცეს სასამართლო ორგანოების, ადვოკატურის, ნოტარიატის და მმჩის ორგანოებს საქმიანობის გაუმჯობესების აქტუალური საკითხებისა და პრობლემების გადასაჭრელად, არ აყენებენ წინადადებებს ძირიული რგოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. სერიოზული ნაკლოვანებები იყო კადრების განყოფილების საქმიანობაშიც, სადაც ატესტაცია ფორმალურად ეწყობოდა, ხოლო კერძომესაკუთრული ჩვევების აღსაკვეთად იუსტიციის ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაკთა შორის არაფერი არ გაკეთებულა.

ამ ნაკლოვანებებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მართლმსაჯულების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი.

კადრებთან მუშაობის დაბალი დონე იმითაც იყო გამოწვეული, რომ იუსტიციის სამინისტროს პარტაული ორგანიზაცია საკვირო მომთხოვნელობას არ იჩენდა კომუნისტებისადმი,

არ ზრდიდა მათ პრინციპულობისა და არსებულ ნაკლოვანებებისადმი შეუჩირებლობის სულისკვეთებით, ნაკლებად ზრუნავდა იდეურ-თეორიული მომზადების დონის ამაღლებისათვის, ყურადღებას არ აქცევდა ახალგაზრდა სპეციალისტებთან, განსაკუთრებით კომკავშირელებთან მუშაობას.

შემდეგ მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა იუსტიციის სამინისტროს საკადრო პოლიტიკა, მოიყვანა შემჩნეული კადრევეებისა თუ ვადაციდომების კონკრეტული მაგალითები, დაასახელა ფაქტები, რომლებიც სახელს უტეხს მართლმსაჯულების მუშაკებს და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი დასახულ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კადრებთან მუშაობის შესახებ, — თქვა მომხსენებელმა, — პარტიის საკადრო პოლიტიკის განხორციელების, კადრებზე შეუწელებელი ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს უყურადღებოდ არ დარჩენია ის დადებითი მუშაობაც, რომელიც უკანასკნელ წლებში გასწიეს სამინისტრომ და მისმა კოლეგიამ. ამასთან ნათლად გამოიკვეთა ნაკლოვანებები. საკითხი მეტად სერიოზულია და იუსტიციის სამინისტროს მთელი აპარატი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო მითითებებს. ისინი განიხილა სამინისტროს გაფართოებულმა კოლეგიამ, რომელმაც დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი განუხრელი შესრულებისათვის. უკვე მიღწეული შედეგები იმის უფლებას გვაძლევს, რომ ვთქვათ, იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების მუშაკებმა საქმით უპასუხეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დროულ დადგენილებას.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ბარკაიამ.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგია და მისი პრეზიდიუმი, — თქვა მომხსენებელმა, — ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1978 წლის 29 აგვისტოს დადგენილებით „სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნათა შესრულების საქმეში რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შე-



სახეზე, და რაც მთავარია, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებსა და შრომებში გამოთქმული დებულებებით, განუხრელად ახორციელებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ადვოკატურის საქმიანობის სრულყოფა. მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების გაფართოება, ადვოკატთა კადრების შერჩევა-განაწილების, კოლეგიის წევრთა შემადგენლობის თვისებრივი გაუმჯობესება, მისი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის ღონის ამოღება.

თითქმის მთლიანად აღმოფხვრილია ადვოკატურაში ისეთ პირთა მიღების ფაქტები, რომლებსაც წინათ შებღალულად ჰქონდათ ავტორიტეტი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დიდი ყურადღება ექცევა პარტიული და საბჭოთა ორგანოების აზრს, მათ მიერ გაცემულ დახასიათებებს.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიაში მიღებულ იქნა 36 წევრი, რომელთაგან 13 ახალგაზრდა სპეციალისტია. მათ შარშან დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სტაჟირების გავლის შემდეგ მიღებულ იქნენ ადვოკატთა კოლეგიის წევრებად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩვენთან ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირებას. პრეზიდიუმში საგანგებოდ იხილავს სტაჟიორად მიღების საკითხს და თავისი დადგენილებით თათოეულ მთავანს გზავნის გამოცდილ, კვალიფიციურ ადვოკატთან. იმ ადვოკატთა ანგარიშს კი, რომლებიც ხელშემდგენლობენ სტაჟირებას, რეგულარულად ისმენს პრეზიდიუმში. პრეზიდიუმივე ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის თვეში ორჯერ აწყობს ლექციებს ადვოკატთა მოვლენების აქტუალურ საკითხებზე.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო ცნობილი დადგენილება რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის მუშაობის თაობაზე და ადვოკატურის წინაშე დასახა ამოცანები, ისეთი ღონისძიებები განხორციელდა, რომლებმაც მნიშვნელოვნად აამაღლა ადვოკატურის ავტორიტეტი რესპუბლიკის ადვოკატთა რიგებში ახლა ბევრია ისეთი, რომელთა პროფესიული დონე საკმაოდ მაღალია. ისინი კეთილსინდისიერნი,

საკუთარი თავისადმი მომთხოვნნი, კანონის განუხრელად გამტარებელნი არიან და ყოველთვის საუკეთესო მაგალითს იძლევიან პირად ცხოვრებაში, საადვოკატო მოღვაწეობაში.

მიუხედავად ამისა, — განაგრძო მომხსენებელმა, — სამწუხარო ფაქტები მაინც გვაქვს ჩვენ გვერდით კვლავ არიან ცალკეული ადვოკატები, რომლებიც არღვევენ საადვოკატო ეთიკის ნორმებს, შრომის დისციპლინას, იურიდიული კონსულტაციის გვერდის ავლით დებულობენ მოქალაქეებისაგან გასამარცხინო ფაქტი, რომელიც ბოლნისში მოხდა. ქრთამის გამოძალვისათვის დაპატარებულნი და პასუხისგებაშია მიცემული ბოლნისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ლ. მამედოვი.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა საგანგებოდ იმსჯელა ამ ფაქტზე და ლ. მამედოვა გარიცხა კოლეგიის შემადგენლობიდან. დაისჯა იურიდიული კონსულტაციის გამგე ბანცურცი. იგი მოიხსნა თანამდებობიდან და პირობით იქნა დატოვებული ადვოკატთა რიგებში.

კოლეგიის პრეზიდიუმში, — თქვა დასასრულ მომხსენებელმა, — კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სოციალისტური კონონდებლობისა და მართლმსაჯულების განმტკიცებას, კადრების შერჩევას, განაწილებას და აღზრდას, რაც ჩვენი მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესების საფუძველია.

მომხსენებელმა ირგვლივ გაიშართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე გ. შანიძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილების უფროსი ხ. ვაგლოვი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ამალგების რესპუბლიკური კურსების დირექტორი მ. კომახიძე, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე თ. ზოლქვაძე, სასამართლო ექსპერტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსის მოადგილე გ. გაბუნია და სხვები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. მუშანაშვილმა.

სასსსრ მუშაობაში საქართველოში მუშაობის სრულყოფისთვის

1980 წლის 21 მაისს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელთა უარბ.წ.ში გაიმართა სამეურნეო ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხებს. ასეთი სახის თბის დონისძიება პირველად მოეწყო. თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს

სამინისტროების, უწყებების, საწარმოო გაერთიანებათა და სახალხო მეურნეობის სხვა მსხველ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებში, ქადაქებისა და რაიონების სახალხო ეკუთუბატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებშია და მათში მოადგილეებში.

შესავალი სიტყვით თაობა-სემინარი გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა პ. უშუბანაშვილმა.

მოხსენება — „რესპუბლიკაში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობისა და იურიდიული სამსახურის ამოცანების შესახებ“ ვააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ლ. ტაბლაძეძემ.

საბჭოთა საზოგადოების წინაშე დასასულ ამოცანათა ხირთულემ და დიდმა მასშტაბებმა, — თქვა მომხსენებელმა, — წინა პლანზე წამოსწია პრობლემები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პოლიტიკურ-იურიდიული ზედნაშენის როლის შემდგომ განმტკიცებას. საბჭოთა კანონმდებლობა ყველაზე მოწინავე — კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელია და, ამდენად, იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებისადმი პატივისცემის სულიანკვეთებით მოქალაქეთა აღზრდის მძლავრი ფაქტორია. ჩვენი კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების განუხრელად დაცვასა და კომუნისტური შეგნებულობის შემდგომ ამაღლებაში.

ლ. ი. ბრეჟნევი, როცა შეეხო ამას წინათ გამოსულ კანონებს სახალხო კონტროლის, უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის, არბიტრაჟის და ადვოკატურის შესახებ, თქვა: „ეს კანონები, უდავოდ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. და, მასხადამე, მათ უშუალო დამოკიდებულება ექნებათ იმ საკითხებთანაც, რომელბზეც დღეს ვბჭობთ: კანონების მტკიცე, განუხრელი შესრულება ხომ მთელი სამეურნეო მექანიზმის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი უცილობელი წინამძღვარია. პარტიული ორგანოების ამოცანა, კომუნისტების ამოცანა ის არის, რომ განმარტონ ახალი კანონების შინაარსს, ღრმად დემოკრატიულად, აქტიურად შეუწყონ ხელი მათს განხორციელებაში, დარწმუნ მასები ყოველგვარი უკანონობის, საბჭოთა სოციალისტური მართლწესრიგისაგან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

კანონიერების ყველა გზის და მარღვევებს, პოლიტიკურად უმწიფარ ადამიანებს ზოგჯერ ექნებათ ყალბი წარმოდგენა, თითქოს კანონიერება ხელს უშლიდეს ეკონომიკური თუ

პოლიტიკური ღონისძიებების განხორციელებაში, ბოკავდეს მათ, ართულბდეს მუშაობას და ამიტომ, საქმის წარმატებისათვის, თითქოს აუცილებელი იყოს მათი დარღვევა, კანონები: დან გადასცევა.

ლენინად ილიას ძე ბრეჟნევის ზემოთ ნათქვამი სიტყვები მკაცრი პასუხია ასეთ შეხედულებათა მიქონე ადამიანებისათვის. ყველა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ კანონიერების გარეშე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. უფრო მეტიც, სამართლებრივ საშუალებათა გამოუყენებლად დღეისათვის წარმოდგენილია წარმოების ეფექტიანობა და, საერთოდ, ეკონომიკა. ამიტომ არის, რომ სამართლის საფუძვლების ცოდნა თითოეული ხელმძღვანელის პირდაპირი მოვალეობაა.

პროფ. ხ. ალექსევი, — განაგრძო მომხსენებელმა, — თავის მეტად საინტერესო წიგნში „სამართლი და ჩვენი ცხოვრება“ სვამს კითხვას „რატომ არის ჩვენთვის ძვირფასი ხამართალი?“ და თვითონვე უპასუხებს: „ეს ეკონომიკური და პოლიტიკური ღირებულებაა. ეს კულტურული და მორალური ღირებულებაა. საუნჯეა, რომელიც უნდა გამოვიყენოთ“. ამრიგად, სამართლებრივ კულტურას ვერ მოვწყვეტთ მართვის კულტურას, რომელიც პრაფისულთან ერთად ზნეობრივ და სამართლებრივ საწყისსაც შეიცავს. ამიტომ არის ხელმძღვანელი კადრების სამართლებრივი აღზრდა უაღრესად დიდი მნიშვნელობის საქმე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1970 წლის 15 სექტემბრის დადგენილებაში — „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ — საზოგადოებას, რომ „...საზოგადოების ყველა წევრის დისციპლინა და ორგანიზებულობა, თითოეულ ადამიანში მალაღი სამართლებრივი შეგნებისა და მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობის აღზრდა პირველხარისისოვან მნიშვნელობას იძენს“.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სამართლებრივი ნორმების სრულყოფას და სახალხო მეურნეობის აღმშენებლობაში მათ ყოველმხრივ გამოყენებას. ამის დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 დეკემბრის ერთობლივი დადგენილება „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების



საქმეში სამართლებრივ საშუალებათა ფართო გამოყენების საჭიროება.

მიუხედავად ამისა, — თქვა მომხსენებელმა, — ცალკეული სამინისტროების იურიდიული სამსახური ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს, ბევრჯერ — საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში და კომლექსურნობებში ჯეროვნად არ აფასებენ სამართლებრივი მუშაობის მნიშვნელობას. ირ- დევვა სახელშეკრულებო და სახელმწიფო დის- ციპლინა, არ სრულდება პროდუქციის გამოშვე- ბის, მისი რეალიზაციისა და ხარისხის საგეგ- მო დავალებები და ვალდებულებანი, იურის- ტები კი ნაკლებად მონაწილეობენ საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის დო- ნისძიებათა შემუშავებასა და განხორციელე- ბაში, არ წარმართავენ დამტაცებელთა წინააღ- მდეგ ბრძოლას, არ ზრუნავენ შრომითი კანონ- მდებლობის დარღვევათა აღმოფხვრისათვის.

ბოლო ხანს რესპუბლიკის მრავალმა სამინის- ტრომ და უწყებამ დასაბა და განხორციელა კიდევ კონკრეტული ღონისძიებანი იურიდი- ული სამსახურის გაუმჯობესებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ამ შსრზე მნიშ- ვნელოვანი მუშაობა ჩატარეს სოფლის მეურნეობის, სავაჭრო-ბილო ტრანსპორტის, მსუბუქი მრეწველობის, სასოფლო მშენებლო- ბისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინის- ტროებმა, სახანკმა და სხვებმა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაზარდეს იურისკონსულტების რაოდენობა. მთელი რესპუბლიკის სახალხო მე- ურნეობაში ამჟამად დაახლოებით 1200 იურის- კონსულტი მუშაობს.

მართალია, რესპუბლიკაში იურიდიული სამ- სახური ორგანიზაციულად განმტკიცდა და რა- ოდენობრივად გაიზარდა, ამავდროს იურიდი- ული განყოფილებებისა და იურისკონსულტე- ბის როლი საფინანსო და საგეგმო დისციპლი- ნის განმტკიცების, სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების დაცვის საქმეში, მაგრამ, ძირე- ული გარდატეხა ჯერ არ მომხდარა. რომელ სამართლებრივ მუშაობაზე შეიძლება ლაპარა- კი, თუ ნორმატიული აქტები არ მოწესრიგდა; ამიტომ იყო, რომ, სადირექტივო ორგანოების მითითებათა შესაბამისად, საქართველოს კომ- პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინის- ტრთა საბჭომ სამინისტროებსა და უწყებებს დაავალეს გადასინჯონ სამართლებრივი აქტები არა უგვიანეს 1977 წლისა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციით შეიქმნა შესაბამისი კომისი- ეები, მაგრამ ყველა ვადა ამოიწურა, მდგომარე- ობა კი კვლავ არადაამაყყოფილებელია. ეს შე- ენება სავაჭრო-ბილო გზების, მოსახლეობას

საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის, მელორაციისა და წყალთა მეურნეობის, სორ- ცისა და რძის მრეწველობის, კავშირგაბმულო- ბის, სოციალური უზრუნველყოფის, ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, კვების მრეწველობისა და მშენებლობის სამინისტრო- ეებს, აგრეთვე ცეკავშირს, თბილისის საქალაქო აღმასკომსა და სახელმწიფო კომიტეტების უმ- რავლეობას.

მრავალგზის ითქვა, რომ იურისკონსულტის მომზადება სტუდენტური მერხიდან უნდა იწ- ყებოდეს. ამაზე იყო ლაპარაკი როგორც სელ- მდგენელი ამხანაგების გამოსვლებში, ასევე სადირექტივო ორგანოების მიერ მიღებულ დოკუმენტებში, მაგრამ დღემდე ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე ადგილიდან არ დაძრუ- ლა. ვერა და ვერ გადაწყდა სამეურნეო სა- მართლის კათედრის შექმნის საკითხი. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულ- ტეტმა საერთოდ გააუქმა იურიდიულ სამსახურ- ში სპეციალიზაცია, თუმცა არსებობს უნივერსი- ტეტის რექტორის 1975 წლის 23 იანვრის ბრძანება სამეურნეო სამართლის კათედრის გა- მყოფლის მიხანშეწონილობის თაობაზე.

სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუ- შაობის შემდგომი სრულყოფისათვის განსაკუთ- რებით მწვავედ დგება კადრების გადაზღადე- ბის საკითხი. რა ვითარებაა ამ შსრზე რესპუბ- ლიკაში?

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ეს საკითხი პირდაპირ აუღებელ ციხედ იქცა. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ დროულად გა- ითვალისწინა შექმნილი ვითარება და იურის- კონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე თვისში ითავა. სამინისტროსთან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კურსები. გათვალისწინებული იყო ყოველწლიურად გადაზღადებულისყო 100- 120 იურისკონსულტი, შემუშავდა შესაბამისი პროგრამა, მოწვეულ იქნენ მეტად გამოცდი- ლი პედაგოგები. ამ განზრახვას მოწონებით შეხვდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და მიღებულ იქნა შესაბამისი განკარგულებაც. სამინისტროთა და უწყებთა ხელმძღვანელებმა მოიწონეს ეს წამოწყება... ფაქტობრივად კი რა გამოვიდა? მსმენელთა თითოეული ნაკლის ჩამოყალიბებისათვის პირდაპირ ბრძოლაა საჭი- რო. მინისტრთა საბჭომ ამ საკითხზე ორჯერ მიიღო დადგენილება, მაგრამ მიუხედავად ამი- ხის. მდგომარეობის გამოსწორების ნიშანსწავლა არ იგრძნობა. ცოდევა გამხდელი ჯობია, და უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა იურისკონსულტთა შორის ჯერ კიდევ ბევრი თავისი კვალიფიკაციით არ შეესაბამება დაკლებულ თანამდებობას, სოლო ზოგიერთ



უმაღლესი და საშუალო განათლებაც კი არა აქვს. ცხადია, ამის მოთმენა მომავალში აღარ შეიძლება.

ზოგიერთი სამინისტროს და უწყების ზელმდენელები დღემდე ჭეშოვან ყურადღებას არ იჩენენ საქვესაუწყებო ორგანიზაციების იურიდიული მომსახურების მოწესრიგებისადმი. მაგალითად, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში შედის 106 ორგანიზაცია და დაწესებულება, რომლებიც იურიდიული პირის უფლებებით სარგებლობენ. მთელ ამ სისტემაში მომუშავე 44851 მუშა მოხამსახურეს სულ 18 იურისკონსულტი ემსახურება. ხოლო სატყეო მეურნეობის სამინისტროს 26 ათას მოხამსახურეს — მხოლოდ სამი სწორედ ამის მიზეზია. რომ ამ სამინისტროებში სამეურნეო სახელმწიფოებო მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ ღვას, არ ანალიზდება დებიტორულ დავალიანებათა მიზეზები, არ ხორციელდება დონისძიება მათ საღიკავადციოდ. დასასრულდ, მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე, რომელთა გამოც ჭერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს სახელმწიფოებო და სასარჩელო საქმიანობა.

მომხსენების შემდეგ გაიმართა საქმიანი კამათი. გამოსულმა ამხანაგებმა — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გან-

ყოფილების უფროსმა თ. სტბაშვილმა, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილემ ლ. შუთათილაძემ, საქართველოს პროკურორის შრომის სამართლებრივი ინსპექციის უფროსმა ბ. ბახტაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილების უფროსმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. ლილუაშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ნ. წებრიამ, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრ ბ. ალაპიშვილმა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ რ. ჩხინძიმ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილემ ბ. თოდუნიამ და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ბირბანიამ კონკრეტულად ილაპარაკეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის როლსა და მნიშვნელობაზე, ამ საქმეში ჭერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე და გვებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ დროულად აღმოფხვრას და ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხის სრულყოფილად გადაჭრას.

სახლი უნივერსიტეტის პირველი საბიუჯეტი

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის ახალგაზრდა სახელმწიფო უნივერსიტეტთან შექმნილია ეკონომიკისა და სამართლის კათედრა, რომელიც ამჟამად იურისტებს სამართალმცოდნეობის სპეციალობით. იურისტთა ადგილობრივი კადრების მომზადება ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად არის დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „აფხაზეთის ასსრ კულტურისა და ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესახებ“.

იურისტები დღეს სჭირდება არა მარტო ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სამართლო ორგანოებს, არამედ ავტონომიური რესპუბლიკის მზარდ სახალხო მეურნეობას, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს და სხვა დაწესებულებებსა

და ორგანიზაციებს. ასეთი კადრები აფხაზეთს აკლია.

ეკონომიკისა და სამართლის კათედრა პირველ ნაბიჯებს ღვამს ამ მიმართულებით და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს ხანში უნივერსიტეტს ექნება იურიდიული ფაკულტეტიც.

მე მინდა გავაცნოთ ჩვენი კათედრის საქმიანობა.

მომავალი იურისტების 1970-80 სასწავლო წელი უკიდურესად დატვირთული იყო და ეს სავესებით გავაუმჯობესებ, რადგან პროგრამა საუნივერსიტეტოა. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტები იძენენ ფუნდამენტურ ცოდნას. პირველ ლექციას სავანში — „იურიდიული სპეციალობის შესავალი“ კითხულობს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. დოცენტი რ. ძიბა. ლექციის მოსმენის პროცესში ვხვდებით, რომ კენშარტი იუ-

რისტი შეიძლება გახდეს ის, ვინც ეს სპეციალობა მოწოდებით აირჩია. და გასაკვირი არ არის, რომ ასე უფრადღებით უსმენენ ლექტორს და ჩანაწერებით ავსებენ რვეულს სტუდენტები: ნანბ ცომბენიბ, ბმ-სლბნ ჩმპმბ და სხვები. ისინ ფრიაღოს-ნები არიან, თავიანთი მონღომებით, საქმით ამტკიცებენ, რომ „ფრიადი“ შეფასება — ეს არის გულმოდგინე შრომა იურიდიული და პოლიტიკური დისციპლინების საფუძვლების დასაფუძვლბლად. აი ზბშრ ლბკმ-ბბც. მისი დიდი სურვილია დაეუფლოს იურიდიულ სპეციალობას და ეს შემთხვევითი არ არის, იგი აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრის ვაჟია, ბავშვობიდანვე გაეცნო იურიდიულ ლიტერატურას, შეიყვარა ეს პროფესია და აირჩია იგი გულის კარნახით.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მომავალ იურისტებს მივცეთ არა მარტო პროფესიული ცოდნა, არამედ თითოეული მათგანი ვაქციოთ სამართლის პროპაგანდისტად. ამისთვის საჭიროა ღრმად დავაუფლოთ ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, პროპაგანდისტის ორატორულ ხელოვნებას. ამაში დიდ დახმარებას გვიწევს სკკპ ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი ხ. ბრღუნი. ამ ცოტა ხნის წინათ მან მოაწყო მომავალი იურისტების შეხვედრა სოხუმის ტყავ-ფხესაცემლის კომბინატის მუშებთან. შეხვედრას ასევე ერქვა — „ლექტორის პირველი ნაბიჯები.“

საინტერესოა ეკონომიკისა და სამართლის კათედრის გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ზაბბარბს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ბუ-

ბაზის, უფროსი მასწავლებლის ი. ლბკმ-ბბსბ და სხვების ლექციები.

მაგრამ განსაკუთრებით მაღლობელი ვართ ჩვენი რექტორის, საქართველოს ხსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ზ. ბნჩბბბმბს, რომელიც გვიკითხავს საქართველოსა და კავკასიის, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კურსს.

სამართალმცოდნეობის აუღიტორიაში უოველთვის ხალხმრავლობაა. განსაკუთრებით ზ. ბნჩბბბმბს ლექციებზე. ეს გასაგებია: ცნობილი მეცნიერის, ისტორიკოსის ლექციების უოველი დებულება. უოველი დასკვნა განმტკიცებულია საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ცხოვრებიდან მოყვანილი დამაჯერებელი მაგალითებით.

დამთავრდა მორიგი ლექცია, მაგრამ სტუდენტები არ იშლებიან, მჭიდრო რკაღლად ერტყმიან წევრ-კორესპონდენტს და ზედიზედ აურიან კითხვებს... მომავალ იურისტებს ბევრი რამ აინტერესებთ, ზ. ბნჩბბბმბს სიტყვა კი მათთვის ავტორიტეტულია. ბატონ ზურაბს ეს კარგად ესმის და თავის უოველ სიტყვასა და ფრაზას დიდი პასუხისმგებლობითა და მომთხონელობით ეკიდება.

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სამართლის კათედრის პროფესორ-მასწავლებელითა ერთსულოვანი და მეგობრული კოლექტივი დიდ და ხასარგებლი საქმეს აკეთებს — ამზადებს მომავალ იურისტებს.

შ. გვანცელაძე,

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის II კურსის სტუდენტი.

განწორება

უფრნალ „საბჭოთა სამართლის“ 1980 წლის მესამე ნომრის 62-ე გვერღზე მეორე სვეტის ზემოდან მე-8 და მე-9 სტრიქონებში „დაკადელი“-ს ნაცვლად უნდა იყოს „დაკავებული“, ხოლო 64-ე გვერღზე პირველი სვეტის ზემოდან მე-4 სტრიქონში „მიზნით“ იტვირთა მიმზადება“-ს ნაცვლად უნდა იყოს: „მიზნით იტვირთა მასალების მოზადება“.

ცნობები ავტორთა შესახებ

საქართველოს
სამართლებრივი
საბჭოთაო

- ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 28 მეცნიერული შრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- თამაზ ფილიმონის ძე საბიაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- დიმიტრი ფილიპის ძე მახარაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, მესამედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ჯამალთ ბიორგის ძე ბაბილაშვილი — საგარეჯოს რაიონის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 17 შრომისა და 1 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- მამედ აბდულის ძე პალაივი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ნადეჟდა ვიტალის ასული ბრონევა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- თამარ დიმიტრის ასული ცაბუაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- ელენე ზრიგოლის ასული მისპარანი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 12 შრომის ავტორი, მესუთედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- დავით ღვინთის ძე სულაშვილი — ზესტაფონის რაიონის პროკურორის თანამშემწე, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- კოლიპარაძე ოთარის ძე მონიაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესუთედ კურსის სტუდენტი, მახარაძის სახელობის სტიპენდიანტი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ვალერიან დუღარის ძე ვებრეშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 15 შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» № 4, 1980 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

146



3560 50 353.

ИНДЕКС 70185

